


ხმალნი და ზეზი

№ 1 (18)



არსივის სოფლის გუნდის კვლევა


დავით გურამიშვილი – 320

სწავლა მოსწავლეთა

ათთა სახმართა საქმეთა ჩაგონება ყრმათათვის

ისმინე, სწავლის მძებნელო! მოყევ დავითის მცნებასა,
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა;
თავს სინანული სჯობია ბოლოყამ დანანებასა, –
ჭირს მყოფი ლხინში შესული, შვებად მიითვლი ვნებასა.

დედამ რა შვას ძე, პირველთა ჭირთ აღარ მოიხსენებსა,
ძის სიხარულით დაჰკარგავს ილაოს მზგავსთა სენებსა;
მაშინ იხარებს მნიდნავი, ოდეს მოისთვლის მტევნებსა,
ეგრეთ მოსწავლე სწავლასა რა სრულყოფს, განისვენებსა.



სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი;
მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი.
სხვას ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი;
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი.

ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შეეკარების;
არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების,
ჭკუვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების!

ჩემის უცებით შევატყევ, ბრიყვთათვის რაც შემიტყვია.
ავი და კარგი გარჩევით, ვხედავ, რომ ახლოს მიწყვია.
მინდა და სწავლის სიმოკლით ცალ-ცალკე ვერ გამიყვია.
ჰგავს უხორთუმოს სპილოსა ჭკვიანი კაცი ბრიყვია!

ვით უსაჭურლოდ მამაცი ომშიგან გულად ლომობდეს,
გაცოფებული გულ-ბრაზად ვეფხვი უკლანჭოდ ომობდეს,
ვერ აღასრულოს სანადი, რაც ნებას, მისთვის ღონობდეს, –
ეგრეთ ჭკვიანი უწვრთელი ვერ მიხვდეს, რასაც ნდომობდეს.

ვსძებნე და ვერა ჰვპოე რა მჯობი ამ სწავლა-მცნებისა:
ბრძენსა აქვს თავის უფლება, სოფელში ყოფნა ნებისა;
ბრძენი სადაც არს, დარჩების, საუნჯე თან ექნებისა:
ბრძენი პურთათვის ჩემსავით მუხლთ არვის მოექნებისა!

ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი თავის ხელითა,
ხუცესი წირვით, ვაჭარი შორს წასვლით-მოსვლით ძნელითა,
მოლაშქრე სისხლის ქცევითა, მხვნელი ოფლითა ცხელითა,
გლახა კარის-კარ თხოვნითა, – ენა გნადს ან რომელითა?

„ከጠጥረው ጋር“

მანი

დადგენილებების განმარტება

2025 წელი



სსიპ

მარინე ცხვედიაშვილი
 ჯუმბერ უთრუთაშვილს 2

ნანა ჭიჭინაძე
 ლექსია ზოგის ცხოვრების კრედო.....2
 ჯუმბერ უთრუთაშვილის ლექსები4

რაულ ჩილაჩავა 6

პროცესი

გიორგი პაპუაშვილი
ქორნილი დედოფლის წყაროში 8

გიორგი ბალახაშვილი..... 13

ತೂಗು

გიგი ხორნაული
ქისტე მამის ანდერძი 16

ეკა ჯავახიშვილი..... 23
ნატალია ბეიტრიშვილი..... 25

პროცესი

თეა ირემაშვილი
ტყუპები და წივილა 26

აკაკი გაბრიჭიძე..... 29
თამარ ნასრაშვილი..... 32

პროცესი

ალექსანდრე კაკიაშვილი
 მოხუცი ბუკინისტი... 32

ნათია კაპანაძე..... 37

პროცესი

ჯემალ მესრიშვილი
კილო 39

პოეზია

თინა გახელაძე 42

პროლოგი

გიორგი გელაშვილი
წინაპართა ძეგლები 45
ექსტრემალი 47

პოეზია

გიორგი ჩერქეზია 48

კუგლისტიკა

სერგი ლომაძე
გრანელი – გენიალური ქართველი პოეტი..... 49

თარგმანი

უკრაინელი პოეტები
მთარგმნელი თამარ გაბოძე..... 54

റിസർച്ച

ნანა ჭიჭინაძე
 „პატარა კახი“ – მეფე რომელმაც 500
 ბრძოლაზე მეტი გადაიტანა..... 58

სელოვნება

ია ხურცილავა
ნათლისღება და მარადიული ღირებულებები
დედოფლისწუაროში 61

მარიკა პოპიაშვილი
 „იუმორინას“ საიუბილეო კონცერტი
 ფილარმონიაში..... 62

ნანა ქიქინაძე
ვერთერნი 63

ლმანახის გამოცემაში ხელშეწყობისათვის მადლობას მოვახსენებთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ნუგზარ პაპიაშვილს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის (კენჭრის დირექტორს ქალბატონ დოდო ხუნაშვილს.

რედაქტორ-გამომცემელი:

გიორგი ნატროშვილი

აღმანახის ქუდის ავტორი:

სერგო ქართველიშვილი

გარეკანი გაფორმებულია:

ამირან კოდიაშვილის ფოტოთი და
დიაკვან მირიან ზაღანიის ნახატებით

ᐃᓂᐃ: 598 85 18 15, 557 64 85 95 Email: gionatro0@gmail.com ISSN 2346-922X



2024 წლის ნოემბრის დასაწყისში გარდაიცვალა შესანიშნავი პოეტი და ადამიანი, დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ დამაარსებელი და წლების განმავლობაში მისი თავმჯდომარე ჯუმბერ უთრუთაშვილი

მარინე ცხვედიაშვილი

ჯუმბერ უთრუთაშვილს

ნოემბრის ნისლში მთები ისე ჩაყუდებულან, როგორც თქვენეულა თონეში მანდაური დედაკაცები. თითქოს მიწის გულს ჩაჰბლუიან და თავიანთი ჯანიანი ტორებით განგების ნიშანს ეძიებენ. თვალმც დაგიდგეს, ხორნაბუჯო. ვის შეუცვლია უფლის განანესი, თქვენ რომ შეცვალოთ. დღეს კიდევ ერთი კენჭი ჩამოგორდა შენი კალთებიდან, საფლავის ლოდივით მძიმე და ცრემლივით მსუბუქი.

არავის ეგონოს შემოდგომის ყავლგასული ფოთლებივით, ნოემბრის ქარებმა გაიყოლეს იგი. ისე როგორც დედის ასაკს არ კითხულობენ, ისე, როგორც მის სიყვარულს არ წონიან გირვანქოვით და არ თვლიან ჟამგადასულად, სწორედ ისე უკვდავია ქეშმარიტი მგოსნის სულიც.

დიდი ქიზიყის შვილო, არბოშიკელო ობოლო ბიჭო, ვინ გასწავლა ამდენი სიყვარული. როგორ დაივანა შენმა სულმა პოეზიაში. ლექსად რამ აგამლერა, ან რამ განერინა მწუხრის სტრიქონები. ალბათ, იმიტომ რომ ზომაზე მეტად ხალასი და თვითმყოფადი, უშუალო და კაცთმოყვარე, მამულის სიყვარულით გასხივოსნებული და პოეზიის სენით შეპყრობილი იყავი.

ბატონო ჯუმბერ, დავესესხები დიდ ოთარ ჭილაძეს და გეტყვი, თქვენისთანა კაცებს „მიწის მარილს“ უნოდებენ, ნაღებებს და უღალატოებს.

როცა დიონისე არეოპაგელს სჯიდნენ სანახაობის ჟინით აღტყინებულ ხალხმრავალ მოედანზე, მსხვერპლმა შენიშნა, თუ როგორ წაუვიდა გული ამ სისასტიკით შეძრულ, თეთრეულით სავსე კალათით მდგომ ახალგაზრდა ქალს, რის შემდეგაც დიონისემ თავისი წაკვეთილი თავი მადლიერების ნიშნად კალთაში ჩაუგორა მის ერთადერთ მოჭი-

რისუფლეს.

ჰოდა, ასეა ეს. თუ ერთი ადამიანის გულის კარი მაინც შეხსენი, თუ ერთი კაცის გრძნობის სიმი მაინც შეარხიე, თუ ერთ სასონარკვეთილს მაინც მოუფონე და იმედად ექეცი, ფუჭად არ გიმუშაკნია.

უცნაური ბედი კი გარგუნა განგებამ. ხან პოეზიის ხოდაბუნებში განებივრა როგორც შირაქის ველ-მინდვრებში მონანანვე მწყერი, ხანაც მონადირის ტყვია დაგანია ზურგში. ხან თუ რქანითელით სავსე ფიალები გაცლევინა, ხანაც წუთისოფლის ბინდისფერობით დაგისერა გული.

ალექსანდრე მაკედონელს, როცა მამამ, ფილიპე მეორემ აჩუქა მისი ცნობილი ცხენი, ახალგაზრდა მხედარს თურმე ძალიან გაუჭირდა მოთვინიერება და გადაწყვიტა, მზისკენ შეეტრიალებინა მისი თავი.

თქვენი მზიანი, უმშვენიერესი ლექსებით პოეზიის მოყვარული მრავალი გული დაიპყარით და მოათვინიერეთ, ბატონო ჯუმბერ. თქვენც მზიანი გზებით გველოთ მარადიულ სამყოფელში, პოეტო.

ისე კი დღეს, ხორნაბუჯის კალთებს ერთი პატარა, წერილი კენჭი ჩამოუგორდა საფლავის ლოდივით მძიმე და ცრემლივით მსუბუქი. ბრილიანტიც ხომ პატარაა, მაგრამ ბრილიანტია.

ნანა ჟიჟინაძე

ლეკია ზოგის ცხოვრების კრედი...

ჩემდა სამწუხაროდ თანდათან ვინროვდება არეალი იმ მწერლებისა, ვინც ათწლეულობის განმავლობაში ქართული მწერლობის სახელსა და დიდებას ჰქმნიდა, ვინც მართლაც მშვენებას წარმოადგენდა XX-XXI საუკუნეების ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურისა. მათ გვერდით ყოფნა მართლაც რომ ბედნიერება იყო ყველასთვის, ვისაც კი უყვარს მსოფლიოს და საქართველოს პოეზიის მარგალიტები.

2024 წლის 12 ნოემბერს დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში ზღვა ხალხმა მოიყარა თავი დედოფლისწყაროელი პოეტის ჯუმბერ უთრუთაშვილის გასვენებაზე, მისი ცხოვრების კრედი მართლაც რომ ლექსი იყო. მისი დაკრძალვის დღე დაემთხვა ჩვენი დროის გამორჩეული პოეტის და დიდი ადამიანის თემურ ჩალაბაშვილის დაბადების დღეს, რომლის ხსოვნას მიეძღვნა მწერალთა სახლში ედუარდ უგულავას რედაქტორობით გამოცემული წიგნის „მოგონებები თემურ ჩალაბაშვილზე“ პრეზენტაცია. ამის გამო ვერ ესწრებოდნენ გასვენებას საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი, თანათავმჯდომარე რეზო მიშველაძე, ბალათერ არაბული და სხვები.

ჯუმბერ უთრუთაშვილი იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება, რომელსაც თავისი შემოქმედებით და პატიოსნებით დავიწყება არ უწერია. მისთვის დამახასიათებელი იყო სულგრძელობა და სიღინჯე, რაც ალბათ მრავალი წლის წრთობის შედეგად გამოიმუშავა. მას უყვარდა მეგობრები, საამხანაგო, უყვარდა ყოველივე ქართული, ეროვნული. მან სიცოცხლეშივე მოიპოვა საქვეყნო აღიარება; სამწუხაროდ მე ვერ ვესწრებოდი მის გასვენებას და ქაშუეთის ეკლესიაში შევედი მისი სულის მოსახსენებლად, ხოლო შემდეგ პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თვალი გადავაგლე მის შემოქმედებას. ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა რომ გაიგეს მისი გარდაცვალების ამბავი, ცრემლმორეულებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მის ხსოვნას; ტანში ჟრუანტელმა დამიარა, გამახსენდა მისი ავტორობით გამოცემული წიგნის „ზედაშეს“ შესახებ რომ დაიბეჭდა ინფორმაცია გაზეთში „საქართველოს ლირიკა“ და მალევე ამავე გაზეთის რედაქტორის ეთერ ფაცურიას მოწადინებით ჯუმბერი მივიწვიეთ რედაქციაში, რათა უფრო ახლოს გაეცნოთ კოლეგებს მისი თავი. პოეტი ნანი საბანაძე აღფრთოვანდა მისი პოეზიით და სთხოვა მობილური ტელეფონის ნომერი; ტელეფონი არა მაქვსო უპასუხა პოეტმა. პირადად მე გამოგიგზავნი ტელეფონს და ყოველთვე თანხასაც ჩაგირიცხავო. მას კოლეგის ეს საჩუქარი ძალიან გაუხარდა...

ბატონ ჯუმბერზე ბევრი რამ მაქვს გასახსენებელი, მაგრამ მხოლოდ რამოდენიმეს გავიხსენებ: 90-იან წლებში, სოფლის მეურნეუბის სამმართველოში საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი ვიყავი, საზოგადოებრივ საწყისებზე ვიყავი ასევე ამავე დარგის პროფკავშირების რაიონული საბჭოს თავმჯდომარე და ამავე სამმართველოს მნიგნობართა რაიონული ორგანიზაციის მდივანი. ეს პერიოდი ყველას გვახსოვს, უმუშევრობაში, უხელფასობაში თავის გადარჩენა რომ ჭირდა... დედოფლისწყაროს კულტურის სახლის მცირე დარბაზში ჩემი სამსახურის თანამშრომლები: ჯემალ ყოჩიაშვილის, გურამ ნათელაძის, ივერი ჭუჭულაშვილის, თამაზი ჯანიკაშვილის, ნანა აფციაურის და სხვების მხარდაჭერით შეხვედრა მოვუწყვეთ ადგილობრივ პოეტებს: ჯუმბერ უთრუთაშვილს, თამაზ ნიკლაურს, ზაურ გონაშვილს და ლევან ალავედაშვილს. გამგებოიდან გვესწრებოდა პოეზიის უდიდესი თაყვანისმცემელი ნუგზარ პაპიაშვილი, რომელიც მოიხიბლა ადგილობრივი პოეტების შემოქმედებით და უღრმესი მადლობა გადამიხადა პირადად მე: „ამ გაუსაძლის პირობებში რამ მოგაფიქრებინა პოეზიის საღამოს ჩატარებაო“.

სამუსიკო სკოლაში თამილა ნადირაშვილის დირექტორობის პერიოდში ბახის, მოცარტის, შოპენის, აზარაშვილის მუსიკის ფონზე შეხვე-

დრა მოვუწყვეთ ჯუმბერ უთრუთაშვილს. მის ლექსებს მხატვრულად კითხულობდნენ მუსიკალური სკოლის პედაგოგები, მისი კოლეგა პოეტი თამაზ ნიკლაური და ახალგაზრდა პატარა დეკლამატორი, ჩემი შვილიშვილი, არსენა ყოჩიაშვილი; ამავე საღამოზე მოწვეული გვყავდნენ ჩვენი სახელოვანი თანამემამულეები ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორები (მელვინეობის დარგში) ვაჟა მამაიაშვილი და ვახუშტი ქიზიყურაშვილი. არსენა ყოჩიაშვილს ვახუშტი ქიზიყურაშვილმა საჩუქრად გადასცა ოთარ ნაცარაშვილის ავტორობით გამოცემული წიგნი „კახეთის გამოჩენილი ადამიანები“ და დასძინა, ამ წიგნში შენი დიდი პაპა მიშა ჭიჭინაძე არის წარმოჩენილი... ღონისძიების დასრულების შემდეგ ჯემალ ყოჩიაშვილმა პოეტები და თავისი კოლეგები სახლში მიგვიწვია და დიდებულიად გვიმასპინძლა.

2015 წელს დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში პირადად ჩემი ინიციატივით გაიმართა პროექტი „სიკეთის ნერგი იხარებს“ საქართველო მასშტაბით გარდამავალ პერიოდში გამოვლინდნენ საუკეთესო სკოლის დირექტორები: სვეტლანა შალვაშვილი და ნანა მერაბიშვილი, მათ საპატივსაცემოდ თბილისის კონსერვატორიიდან მოვიწვიეთ ახალგაზრდა პედაგოგის დოდო დიასამიძის კლასის სტუდენტები; სიუპრიზი მოგვიწყო დოდო დიასამიძემ და სტუდენტებთან ერთად მოიწვია რუსთავი-2-ის ანსამბლი; მათ მიერ შესრულებულმა სიმღერები: „წინწყარო“, „დაიგვიანეს“, „თუ ასე კარგი იყავი, რად ვერ გამჩნევდი იაო“ და სხვები, მართლაც რომ სიუპრიზი იყო თვითოეული ჩვენთაგანისათვის. საკონცერტო ნომრების დასრულების შემდეგ რესტორან „ნიკალაში“ სტუმრებს უმასპინძლა ნანა მერაბიშვილის მეუღლემ ნუგზარ მამუკელაშვილმა, საქართველოს მასშტაბით გამოვლენილმა საუკეთესო თამადად და მისმა შვილმა თსუ-ს და კემბრიჯის წარმატებულმა კურსდამთავრებულმა ზურაბ მამუკელაშვილმა; ბატონმა ნუგზარმა სუფრის წარმმართველად აირჩია ჩვენი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო თამადა, ძველ ანაგაში დაბადებული, ბეჟან ჩალაბაშვილის ოჯახში აღზრდილი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე – თემურ ჩალაბაშვილი, რომელიც ამ საღამოზე სპეციალურად მე დავპატიჟე. ბატონმა ნუგზარმა სუფრაზე მოიწვია ასევე ადგილობრივი პოეტები: ჯუმბერ უთრუთაშვილი, თამაზ ნიკლაური და ლევან ალავედაშვილი; როდესაც სტუმრები გავაცილეთ ნუგზარმა თამადა – ბატონი თემური დატოვა და უთხრა: ბატონო თემურ ახლა პოეზიის შედეგებს მოგასმენინებთ, საოცრად კითხულობენ თავის ლექსებს თამაზი და ლევანო; მე ვილა წამიყვანს თბილისში? გაკვირვებულმა იკითხა თემურიმ. პირადად თქვენ ჩემი შვილი ზურიკო წაგიყვანთ და ქიზიყურ პურ-მარილსაც, თქვენ რომ გიყვართ ქუმბათის ვენახის

რქანთელის ღვინოს, დედას პურებს და პირველი კერძო მენარმის ზაალ მოდებადის სულგუნებსაც გაგატანო. მართლაც თამაზ ნიკლაურმა და ლევან ალავერდაშვილმა პოეზიის ცეცხლი დაანთეს სუფრაზე. ჯუმბერის ლექსებს თავად მასპინძელი – ნუგზარ მამუკელაშვილი კითხულობდა. შემოგვათენდა კიდეც. უფაღმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი ოთხ განუმეორებელ პოეტს: ზაურ გონაშვილს, ლევან ალავერდაშვილს, თემურ ჩალაბაშვლს და ჯუმბერ უთრუთაშვილს.

მწიგნობართა ასოციაციის სახელით ხშირად ვაწყობდი ღონისძიებებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და სამუსიკო სკოლაში და ვინწევდი სოფლის მეურნეობის სამმართველოს თანამშრომლებს და ადგილობრივ პოეტებს. ჯემალ ყოჩიაშვილი სიყვარულით ეძახდა ზაურის, ლევანის და ჯუმბერის „სამ მუშკეტერს“...

2019 წლის 3 მაისს დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დიდ საკონცერტო დარბაზში კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორის ილია მარტყოფლიშვილის თაოსნობით გაიმართა ჯუმბერ უთრუთაშვილის 80 წლის საიუბილეო საღამო, რომელსაც ესწრებოდა ზაალ ბოტკოველი და თემურ ჩალაბაშვილი, რომელიც დიდსა და პატარას ერთნაირად ეფერებოდა და ესიყვარულეობდა. სადღესასწაულო ტრაპეზს კი დედოფლისწყაროს მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი ნატროშვილი თამადაობდა.

ჯუმბერზე მოგონებას დავასრულებ მისივე ლექსის სტრიქონებით და სამძიმრის წერილილით, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „შირაქის“ 2024 წლის 16 ნოემბრის 42-ე ნომერში.

„...ზოგი ლექსებით ამაყობს, დიდობს,
ლექსია ზოგის ცხოვრების კრედი,
ღმერთო ისეთ ლექსს არ დამაჭიდო,
იმისი ზიდვა რომ ვერ გავბედო!“

ნანა ჭიჭინაძე და ლალი გურასაშაული ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ცნობილი პოეტის, „მეტრის“ ნომინანტის – ჯუმბერ უთრუთაშვილის, გარდაცვალების გამო“.

თავისი ლექსებით არაერთმა თაობამ შეიყვარა და მას საპატიო ადგილი აქვს დამკვიდრებული საქართველოს მწერალთა კავშირში და დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანში“.

გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს, ლიტერატურულ აღმანახ „ხორნაბუჯის“ გამომცემლებს, დედოფლისწყაროს მოსახლეობას, ყველას – ვინც იცოდა ამ პოეტის ფასი.

აქვე გთავაზობთ ჯუმბერ უთრუთაშვილისადმი მიძღვნილ **გიული სამუკაშვილის** ლექსს, შემდეგ კი თავად ჯუმბერის ლექსებსაც ნაიკითხავთ:

ჯუმბერ უთრუთაშვილს

„ამაღლებამ“ და „ზედაშემ“
ხელი ჩამჭიდეს ძმაო,
დამაქროლებენ კახეთში,
გადამავინყეს მთაო.
თვალს მივაყოლებ სტრიქონებს,
ჩამესმის შენი ხმაო.
ალალი გულის მოძახილს
მე რა დავარქვა სხვაო
თუ არა ნაღდი პოეტის
ლექსით დაგვა და წვაო,
რაც იწვის მუდამ ანათებს,
სიმართლე უნდა ვთქვაო.
„ზედაშემ“ ჯვარი დაგწერა
აბორგებულო ზღვაო,
„ამაღლებით“ კი ამაღლდი,
მხრებზე შეიდგი ცაო.
ამ დღიდან უკვე დამთავრდა
შენი შამათით სვლაო,
მკითხველთა გულებისაკენ
გაკაფული გაქვს გზაო.

ჯუმბერ უთრუთაშვილის ლექსები

მაუღლეს

ბედმა გარგუნა უფულო ქმარი,
იქნება გული ძალიან დაგწყდა,
შენი ღირსება სწორედ ის არის,
რომ სამდურავი ერთხელ არ დაგცდა.
უღელი ისე ერთგულად სწიე,
რომ არ დაუდე ქმარს წამით ტოლი,
ბედნიერებას თუმც ვერ ეწიე,
მაგრამ ხარ ნაღდი მეუღლე, ცოლი.
ემმამ მოგიწყო დიდი გამოცდა,
სიავეს მაინც არ დაემონე.
მადლობა შენდა, ამის გამოც და,
უფლის მცნებები რომ გაიგონე.
თურმე რამხელა გული გქონია,
გავიგე შვილის სიკვდილის შემდეგ,
მხოლოდ ზღაპრად თუ გამიგონია,
შენ იმსიმაღლე კვარცხლბეკზე შესდექ!

პოეტს ხელავენ სიკვდილის მირა

ლექსი პოეტის სულის ასლია,
ლექსში ჩანს მგოსნის ზნე და თვისება,
თუ პოეტს ყავლი ჯერ არ გასვლია,
ლექსი ლამაზი რითმით ივსება.
ჭეშმარიტ პოეტს დარდს რა დაუღევს,
დარდი ხომ გულში ცეცხლივით ბოლავს,
დაგჩხავის მუზა, როგორც აულებს

მინარეთიდან უძილო მოლა.
 პოეტს ტკივილი ალაპარაკებს,
 მამულის სენიც ასევდიანებს,
 ლექსში ღიმილი დაიბანაკებს,
 ხალხებს თუ ხედავს სახემზიანებს.
 პოეტის გული ისე ნაზია,
 ფეხაუდგმელი, ვით ბალლი თოთო.
 პოეტს აქვს ფიქრი და ფანტაზია,
 ლექსი რითმებით, თუ როგორ მორთოს,
 ბედი და ჟამი პოეტს არ სწყალობს,
 პოეტს ხედავენ სიკვდილის მერე,
 ოღონდ გახსოვდეს, ფუჭად არ წვალობ,
 თუკი ნამდვილი ლექსები წერე.

* * *

გინახავთ ქვევრის ღვინო კახური,
 წინწკლებს რომ ისვრის ოდნავ მომწკლარტოს;
 ხირსის, ენამთის ყურძნის ნაწური,
 მისი სურნელი დაგათრობს მარტო.
 ენამჭევრობა გხიბლავს თამადის,
 ყველი თუშური და თონის პური,
 სვავ, არ ითვრები, იტყვი – რა მამდის?!
 სისხლი იყივლებს მამა-პაპური.
 ჟრჟოლისმომგვრელი ლექსი-შაირი
 და ოხუნჯობა ძმური, უხინჯო,
 საჭმელ-სასმელი ათასნაირი;
 გსურს გემო მაინც რომ გაუსინჯო.
 ჰა, მასპინძელიც ქცეულა თაფლად,
 მიაქვს და მოაქვს ხელადა სველი,
 ქართული მინის მაღლს იგრძნობ მძაფრად
 და გიხარია, რომ ხარ ქართველი.

* * *

ლექსო, იმედით შენ მავსებ,
 მიქარვებ დარდს და იარებს,
 ვით მოძღვარს ძე შეცდენილი
 ცოდვებსაც შენ გიზიარებ.
 შენა ხარ ჩემი ნუგეში,
 გული შენ გამიქვიტკირე,
 ვით ბალღმა დედის უბეში,
 მეც შენთან ბევრჯერ ვიტირე.
 რითმით რომ გაგალამაზებ,
 სული სიამით ბრწყინდება,
 შენთან ყოფნა და ალერსი
 ძილშიაც არა მწყინდება.

* * *

რაც თავი მახსოვს, სულ მუდამ
 უფლის მცნებებით ვიარე,

ჩემს ტკივილს ვერა ვშველოდი,
 სხვას ვუამებდი იარებს.
 თვითონ სულ თვალცრემლიანმა
 მოძმისთვის ვიმგლოვიარე.
 როგორც ქართველს და ქრისტიანს
 ჩემად მიმაჩნდა სხვის ჭირი,
 მოყვასის გულისტკივილით
 გული მტკივა და მეც ვტირი.
 დარდებს ლექსებად ვაკვნესებ,
 ხან მიმუნჯდება მე პირი.
 გულის სალბუნი მეგონა,
 ლექსი მით დავიმეგობრე,
 მუზაც კი სიმშვიდეს მპარავს,
 როგორც ქურდი და მეკობრე.

* * *

მივყვები დიდი ფიქრის ქარავანს,
 მამულის მკერდზე სახეტილოდ,
 დავეჭიდები მუზას – ფალავანს,
 რადგან მსურს ლექსი დავანკრიოლო.
 სამშობლოს მთა-ბარს გადვიბალახებ,
 ვით დამშეული ფარა ცხვრებისა,
 ქართულ მიწა-წყლის ტურფა სანახებს
 ეტყობა კვალი ვერაგ მტრებისა.
 მაღლიან მინის ლამაზ სხეულზე
 ვხედავ უამრავ წყლულს და მუნუკებს,
 ვტირი და ვკვნესი იმ დრო წყეულზე,
 ქართველებს სულს რომ ახლაც უწუხებს.
 მივქრივარ ჩემი ფიქრის ტაიჭით
 ხან დარდიანი და ხან მლიმარი,
 გულს მიკლავს მწარე ბოღმა და იჭვი:
 სამშობლოს მხსნელი, აბა, ვინ არი?!
 თუმცა არა ვარ ერეკლე მეფე
 და არც იმისი ბრძენი მსაჯული,
 თუ არ ვიფხიზლე, თუ არ ვიყეფე,
 ცოლსაც წამართმევს უცხო, სხვა რჯული.
 მწარე ფიქრების ტყვე ვარ მე ისევ,
 არსაით მოჩანს გზა საიმედო.
 ღმერთო, ცხოვრების დიდო მეისრევ,
 დასალუპავად არ გაგვიმეტო!

* * *

თუ შეეხება შენს ლექსს სხვის ხელი,
 დაგეკარგება განცდა ნეტარი,
 გულიც, სიცოცხლის სათნო მრიცხველი,
 აგტკივა თითქოს გჩხვლეთდეს ეკალი
 და ხალხის ქებას ანდა ძაგებას
 უცხო კაცივით ისმენ ავტორი,
 სულსაც წარუშლელ ლაქად აჩნდება,
 ლექსში შეჭრილი ყალბი სხვა ტონი.

მოგავალი ნიგნიდან „ზუგდიდური ელემენტები“



რაულ ჩილაჩავა

**უკეთილსამართლო
წიგნი
მე ჩემი თავი...**

აგერ, ამ წუთას, დასცხო, მაგრამ, რა დასცხო!.. მგონი, მიდამო იძრა... აყირავდა ეზოში ნაძვი. თუმცა რისი ეზო, არემარეს იმგვარად აწვიმს, გაციებულმა მინამ ლამის დაკარგოს გონი. მობეზრდა ჩაპას სახლში ჯდომა... ვერ გადის გარეთ, მე ჩავკირკიტებ ძველ ქალაქებს, საესეა სახლი არქივით... მოკლედ, მოწყენილი ვართ მე და ძალი, ხან ერთს გვეწვევა, ხან მეორეს ფიქრები მწარე. შენ კი... შენ უკვე არ გადარდებს, გვწყურია, გვმია? არც მე გწერ რამეს, შენც დუმხარ და ვართ ასე უბრად. არ გამიშლია, რა ხანია, ზალაში სუფრა, მეც და ოთხფეხსაც თითქოს ყველა სიიდან გვშლიან. მშვიდობა გქონდეს!.. ყველაფერი მთავრდება როსმე. უკეთ გამაცნეს ამ წვიმებმა მე ჩემი თავი... უქმად რომ იდო, ავიღე და გავბერე ნავი და ველოდები ხვალ დილისთვის ნიჩბების მომსმელს!

26 ოქტომბერი, 2024, ძველი აბასთუმანი.

დადლილი გული ერზე ფიქრით ისევ ბაერით...

მზე ამოვიდა. ყველაფერი თითქოს დალაგდა. უბრუნდებიან კალაპოტებს შლეგი რუები, თუმცა მიდამო, ელჭექებით განაყრუები, ჯერ კიდევ ელავს ავდრისფერად ალაგ-ალაგ და აჩნია კვალი წყალდიდობის... მე მოვასწარი ამ მცირე დროში ბევრი რამის გადაფასება, ვნახე ახალი მთვარეცა და მთვარის გავსებაც და ის ღვარცოფიც შევაჩერე, შენ რომ დასძარი. მაღლობა, ცაო! დედამინავ, მაღლობა შენაც! სანამ ვიყავი თქვენი ტყვე და თქვენი მიძვალა, მე გავისტუმრე ბოლო ვალი ბოლო მევალის, გადავაქციე სიტკბოს ენად ტკივილის ენა! დადლილი გული ერზე ფიქრით ისევ გაერთო, ზოგჯერ ვიფიქრებ: ფიქრო ჩემო, ჭკუიდან შემშლი!.. მე მიყვარს ჩემი საქართველო, რომელიც ჩემში ნათობს და უკვე მზეჩასულთან არ აქვს საერთო!

27 ოქტომბერი, 2024, ძველი აბასთუმანი

რა ტკბილი იყო სიჭაბუკის იგავ-არაკი...

ის, რაც გადავდე, ვერასოდეს ვერ გავაკეთე, თითზე კბენანი გვიან იყო... და ახლა მტკივა აუხდენელი ოცნებები, ასხმული მძივად, ქარი მაფრთხილებს: „მოვდივარ და კარი დაკეტე!“ არადა მქონდა დროც და ძალაც, ნიჭიც, უნარიც, დღეს კი არც ერთი აღარ შემრჩა უკვე ამათგან, ვილაც ახმახი შოლტით ხელში თავზე დამადგა და შემახსენა ძველი სიბრძნე გაუხუნარი: „ანრთე ფოლადი მანამ, სანამ ცხელია ქურა...“ (რატომ მეგონა, ქურა მუდამ იქნება ცხელი!) თითქოს მე მედო ყველა ნატვრის მაჯაზე ხელი, ჩემს საამებლად ჭიხვინებდნენ ცხენები ურა! ამასობაში ყველაფერი დაღმა დაქანდა და მზეც საცაა, გაიკეთებს ზღვაში ხარაკირს... რა ტკბილი იყო სიჭაბუკის იგავ-არაკი და რა მწარეა მისი ბოლო ბოლო ბაქანთან!

31 ოქტომბერი, 2024, ძველი აბასთუმანი

და ხელავს ვითობა დაფარვლილი ტრფობის კოცონთან...

ბოლომდე მაინც ვერ დავიცხრე, ვერ დავიოკე ვნება, რომელიც ხანძარივით ტანზე მომენთო. ო, მობრიალე სიყვარულის მწველო მომენტო, შენ მართლაც სულზე მოუსწარი სულის ხრიოკებს. მიდი, აქციე ნაცარტუტად, როგორც გჩვევია, რაც გადარჩა და გადარჩენის ღირსი არ იყო, ვით საფლავის ქვა, უსახელო და უთარილო, რომელსაც დღემდე სასწაულით მოუღწევია. მე ყველაფერი გამოვცადე: ლაჭვარდებს ზემოთ ფრენის სიამე, ძირს დაშვების შიში და ჟრჟოლა. ახლა მგონია, რომ წარსულის ნანგრევი ბოლავს და თავს მახსენებს განწყვეტილი ალერსის გემო. რა დრო გაფრინდა: მეც მოვწონდი და მეც მომწონდა,

იყო ზეიმი, კარნავალი, შოუ, გართობა. ბოლოს კი... ბოლოს წუთისოფლის უკუღმართობა... და ხელებს ვითობა დაფარვლილი ტრფობის კოცონთან.

31 ოქტომბერი, 2024, ძველი აბასთუმანი

და უკვე ვიცი, რომ ამ ღამით დამესიზმრავი!..

დაუსიზმრებელ სიზმრებიდან მოხვედი... გხედავ, სანაპიროსკენ უდარდელად მიემართები. ის ქარაფები, ის ხრამები, ის აღმართები, მართლაც წარსულის უფსკრულებში დატოვე, ნეტავ? მე გაკვირდები: კვლავ ისეთი ნატიფი რხევა საროს ტანისა... კვლავ ის ოქროს დაღალ-კავები, რომელთა ქსელშიც უიმედოდ ერთხელ გავები,

გავხვედდი ემხით და მგონია, აქამდე ხე ვარ!
რა საოცარი გაზაფხული გველირსა მაშინ,
როცა ერთმანეთს მივაპყართ მზერა შორიდან.
მერე დაიწყო სხეულებში ვნების კორიდა
და განგაშმა და მღელვარებამ იმატა ხმაში!
ზმნები აღზევდნენ, აბობოქრდნენ და მეც ის ზმნები
არ მასვენებენ, მიშმაგებენ უწყინარ ფრაზებს.
შეგნიშნე უცებ: ჩამოსულხარ ფარულად ზღვაზე
და უკვე ვიცი, რომ ამ ღამით დამესიზმრები!

3 ნოემბერი, 2024, ძველი აბასთუმანი

ვარ უკვე, როგორც ფანჯარა საზამთრო მსხალი...

სამეგრელოში წელს ზამთარი ადრე გვეწვია,
დილით თრთვილსა დებს, ხოლო ღამით იმგვარად
ცივა,
ხეებს ჰკიდია გაყინული წვეთები მძივად
და ჩასულ მზეზე გულდანყვევით ტირის მზენვია.
მე აქ ამ დროსთვის უფრო თბილი მახსოვს დარები,
მაგრამ მას შემდეგ, უჰ, რამდენი წელი გავიდა!
ახლა სიცივეს ვილა ჩივის, მე მას ავიტან,
ოღონდ ამიხდეს, რასაც უფალს ვემუდარები!
შინ ჩამოვდი, მაგრამ ველარ ვიპოვე მე „შინ“,
ალარც ვენახი, ალარც ბაღი, ალარც და-ძმები
და ახალ სახლში როცა გვიან მარტო დავწვები,
თვალთაგან დიდხანს არ მშორდება ფერები მრეში.
რაც განვიცადე, რაც ვიგრძენი, რაც ვნახე, ესლა
შემრჩა და ისიც სანამ არჩევს შავ და თეთრს თვალი,
ვარ უკვე, როგორც ფანჯარა საზამთრო
მსხალი,
რომელსაც ადრე ახალ წლამდე ნაყოფი ესხა!

8 ნოემბერი, 2024, ძველი აბასთუმანი.

გისრულა ერთხელ დანაპირებს – სდუმან გაგენი...

მე შემოძლია არაფერი გითხრა... მდუმარე
ბაგეებს ზოგჯერ შეუძლიათ მეტის თქმა, ვიდრე
ეტრატებს, წიგნებს, კინოკადრებს, კადრებზე –
ტიტრებს...
ამ ღამით შენი უჩინარი მე ვარ სტუმარი
და სიბნელეში გაგებინებ სიჩუმის ენით,
რომ მომიხმობდა, ის ჭიშკარი აღარ იღება
და მიჭირს უკვე ბოლო ლექსის დათარიღება,
სადაც წერია შავით თეთრზე სახელი შენი.
მე გვიან მივხვდი: ყველაფერი როდესაც იცი,
ხუნდება ხიბლი მიუწვდომლის და იდუმალის.
და იქნებ სულაც ცრემლით სველი თავსასთუმალი
არის სასტიკი საზღაური გატეხილ ფიცის.

გისრულა ერთხელ დანაპირებს – სდუმან ბაგენი.
ჩემი გულია გარდაცვლილი ტრფობის საძვალე.
უკვე ვერასდროს ვერ გაიგებ მას, რაც მანვალებს,
მაგრამ შემატყობ: დანგრეული ვარ კართაგენი.

8 ნოემბერი, 2024, ძველი აბასთუმანი

დღეები დღეებს ენაცვლება... მე კვლავ დაგაქვს...

მე შენს ნაკვალევს ვეძებ ყველგან, მუდამ,
ყოველთვის,
როცა დარია, როცა წვიმს და როცა ჰქრის ქარი.
ჩემი დაისი, ჩემი ღამე, ჩემი ცისკარი,
როგორც იდუმალ ნაპირს ტალღა, ისე მოგელტვის.
მე ვხედავ თითქოს სილუეტებს და ერთ-ერთ
მათგანს
აქვს შენი ტანი, შენი სახე, შენი თვალები
და მეჩვენება, რომ შუადღე მზის ელვარებით
მოოჭვილ სხივებს თავზე ოქროს გვირგვინად
გადგამს.
ევრიკა! – უცებ აღტაცებით დამცდება... მაგრამ
ვიდრე მოვასწრებ გონზე მოსვლას, დამტოვებს
ჯადო.
მერე რამდენიც, ო, რამდენიც არ უნდა ვცადო,
ვერ დაგინახავ, რადგან ხილვა ერთბაშად გაქრა.
დღეები დღეებს ენაცვლება... მე კვლავ დაგეძებ...
მითხარი, ჩემი წერილები ხომ ისევ მოგდის!..
ნაიკითხავდი, ალბათ: „ჩემო, მე მაშინ მოგვედი,
როცა შენ ჩვენი სიყვარულის წიგნი დაკეცი!“

10 ნოემბერი, 2024, ძველი აბასთუმანი

და... დედამინა კვლავ იბრუნებს ღერძის ბარშემო...

ჩამოვქვეითდი მეცხრე ციდან. მიწაზე ვდგავარ.
ვარკვევ ნელ-ნელა, რა ხდება და რა ამბავია!
გაუქმდა ხაზი სარკინიგზო, განყდა ავია,
რაც მთავარია, უსასრულო დასრულდა დავა.
მე ბევრი რამე აღარ მესმის უკვე, რაც ხდება,
ვერც იმას ვხვდები, რას მიყვება ფუკოს ქანქარა.
დანრეტილია სიხარულის წყარო ანკარა,
გული გალიის ჩიტის მსგავსად ნეკნებს აწყდება.
ამ შემოდგომას ჩემგან მაინც მადლობა წრფელი,
ზამთრის პირამდე მომაცილა თავსხმით და თქეშით.
მე მათ მუსიკას მერამდენედ ვისხენებ დღეში
და მერამდენედ, მერამდენედ ხელახლა ველი!
სულის ქვევრიდან ამოხაპავს ცრემლებს ორშიმო,
იჟიჟივებენ ბელურები ირგვლივ გუნდებად.
ჩვენ არ შევხვდებით, სიყვარული არ დაბრუნდება
და... დედამინა კვლავ იბრუნებს ღერძის გარშემო.

11 ნოემბერი, 2024, ძველი აბასთუმანი

გიორგი პაპუაშვილი



ქორწილი დედოფლისწყაროში

– კაცო, რა იყო, თითქოს ჩვენი მოსვლა არ გაგეხარდა... – ცოტა არ იყოს იჭენეული ღიმილით თქვა მამაჩემმა

– არა, გოგი, გამეხარდა რომელია. უბრალოდ, რაღაცის თქმა მინდა და მეშინია, შენებურად არ გაჯიუტდე.

– მე, კაცო, მე გავეჯიუტდე?! ღიმილითა და გაკვირვებით შეაგება პასუხი მამაჩემმა მეგობარს, რომელიც ასევე ღიმილით, ოღონდ უფრო ეშმაკურით, ხან მამაჩემს შეჰყურებდა, ხანაც ჩემსკენ გამოაპარებდა თვალს. ვიღიმოდი მეც, რადგან ოთარ ხუციშვილს, მამას განუყრელ მეგობარს, ბავშვობიდან ვიცნობდი და მათი ერთმანეთთან ასეთი პაექრობა ხუთი თითივით ვიცოდი.

ახლა თელავში ვიყავით. ცოტა ხნის წინათ, ოთარი ძია, გაზეთ „ალაზნის განთიადის“ რედაქტორად დანიშნეს და მე და მამაჩემმაც ჩავაკითხეთ. ეს უკვე ძნელი არ იყო, რადგან მანქანა, შინდისფერი 01, სულ ახალი ნაყიდი გვყავდა და აქეთ-იქით სიარული კიდეც გვხალისებოდა.

რედაქციაში ვიყავით, ოთარი ძიას კაბინეტში. შაბათი კი იყო, მაგრამ, ეტყობა, აქ ყოფნა ერჩია, ვიდრე მისთვის ახლადგამოყოფილ, ჯერაც მოუწყობელ ბინაში, სადაც ასევე მარტო იყო, რადგან ცოლ-შვილი თბილისში ჰყავდა.

– კარგი, რახან არ გაჯიუტდები, გეტყვი, სალამოსკენ ქორწილში უნდა წავიდეთ!

– სადა, კაცო, ვის ქორწილში? – მეცბა მამაჩემი და მანაც გამომხედა, ასეთ სისულელეს მეუბნება და კიდეც მე მეძახის ჯიუტსო.

– შენ არ გეცოდინება, კარგად მეც არ ვიცი, მაგრამ შევპირდი იმ კაცს და რომ არ წავიდე, ძალიან ეწყინება.

– მერე, შე კაი კაცო, თუ თავად არ იცნობ, მე მეპატიჟები? – გაიკვირვა მამაჩემმა და ახლა უკვე

საშველად გამომხედა.

ოთარი ძიამ ისარგებლა ამ წამით და თვალი მიყო.

– აი, ხომ ვთქვი, დაინყებ ახლა, უცხო ოჯახს როგორ მივადგე, რას იტყვიანო...

– მერე, მართალი არ ვიქნები?! – სიცილი ვერ შეიკავა მამაჩემმა, რომელსაც გზა არ დაუტოვა მეგობარმა. ან უნდა ელიარებინა თავისი სიჯიუტე, ანდა, უსიტყო კაპიტულაცია გამოეცხადებინა და დათანხმებოდა.

ვიგრძენი, რომ ახლა ჩემს პოზიციას მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა, რადგან, მართალია, მართვის მოწმობა ჯერაც არ მქონდა, მაგრამ საჭესთან სწორედ მე ვიჯექი. თანაც, უკვე კაცად მთვლიდნენ და ხშირად აზრსაც მეკითხებოდნენ. არადა, ქორწილი და თანაც მაშინდელი, დიდად არ მხიბლავდა, რადგან ღამისთევას, მაშინ რომ „მოდაში“ იყო, ვერ ვუძლებდი და სუფრის მიტოვება კი მთლად შენზე არ იყო დამოკიდებული. არც აყალ-მაყალი მიყვარდა, ზოგჯერ აქა-იქ რომ იფეთებდა ხოლმე, მაგრამ ოთარი ძიასი უმალ გავიგე და მხნედ ვკითხე, სად მივდივართ – მეთქი, რითაც დავას წერტილი დავუსვი.

– აქვე, ნითელწყაროში! – გაიხარა ოთარი ძიამ და შევატყვე მამაჩემიც კმაყოფილი დარჩა საკითხის ამგვარი გადაწყვეტით.

მაშინ, დედოფლისწყაროს, ჯერაც ნითელწყარო ერქვა, მხოლოდ რუკაზე ვიცოდი მისი არსებობა. დაუსახლებელი, მიმზიდველი ველები, შირაქისა და ელდარის ვრცელი საძოვრები, ამინდის გამოცხადებისას არასოდეს რომ ივიწყებდნენ სინოპტიკოსები და, რაც მთავარია, ვაშლოვანის ნაკრძალი, ჯეირანების გუნდით რომ იყო რუკაზე მონიშნული, დიდი ხანია იღუმალად მიზიდავდა. ამ ყველაფერს კი განსაკუთრებულ ელფერს სძენდა სამხრეთით იორი და ჩრდილოეთით ალაზანი, ერთმანეთის სიახლოვეს, ბორბალოს მთაზე რომ იღებდნენ სათავეს, მერე შორდებოდნენ, თავიანთ გზაზე მოდიოდნენ, არწყულებდნენ კახეთის ბარაქიან მიწას და ბოლოს ძმებივით ისევ ერთმანეთს ეხუტებოდნენ. ისიც ვიცოდი, რომ სილნალთან ერთად, ეს რაიონი ქიზიყად იხსენიებოდა და მისი ახლოს გაცნობა უფრო მეტად მომინდა.

მოკლედ, საკითხი უცებ გადაწყდა. მე და მამაჩემი „ინტურისტში“ დავბინავდით თუ არა, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორს, გოგი ჯავახიშვილს ვესტუმრეთ, რომელიც ჩვენი ოჯახის მეტად ახლობელი იყო და ერთი პერიოდი, ღრმალელეში, ბიძაჩემისა და მამიდაჩემის სახლში, კიდეც ერთად ვცხოვრობდით.

სულ მოკლე დროში, გოგი ძია იმდენ საინტერესო ამბავს მოგვიყვა, იმდენი უნიკალური ფოტო გვაჩვენა და მერე, ქალაქში, იმდენი ოჯახებში დაცული ნახატი თუ რელიქვიური ნივთები გვანახა, რომ თელავი უმალ ვაღიარე საქართვე-

ლოს ყველაზე კულტურულ ქალაქად და ეს რწმენა დღემდე არ შემრყევია.

ყველაზე მეტად გამაოცა კერძო კოლეჯიაში დაცულმა ავთო ვარაზის ნახატებმა. მისი შემოქმედება პირველად ვნახე და უმაღლესი მომხიბლა, მომაჯადოვა და ეს განწყობა კვლავაც მომყვება.

დავიარეთ თელავის ძველი უბნები, სავაჭროები და დუქნები, ბაზარი, ალალი გლეხებით რომ იყო სავსე და თბილისელობას რომ შეგატყობდნენ უმაღლესი გეპატიჟებოდნენ.

– ნამო, კაცო, ღვინო დაგაღვინოთ, უნახავი გახდებით. შარშანდელია, ახალი კი არა! – მოგვაძახა შუახანს მიტანებულმა, მომცრო ტანის, თუმცა ჩადგმულმა კაცმა, უთუოდ კარგი მოჭიდავე რომ იქნებოდა თავის დროზე. გოგამ ის ვარდისუბნელად გაგვაცნო, როგორც ქვევრების ოსტატთა ჩამომავალი და მამაჩემმა კიდეც ჰკითხა რაღაცეები, თუმცა, მას დამაჯერებელი პასუხი არ ჰქონდა. აი, ჩემმა ძმამ კი ყველაფერი ხუთიანზე იცის და იმას უნდა ჰკითხოთო.

– მაგან ღვინისა რა იცის, ჩემთან წავიდეთ, – როგორც კი იდროვა სიტყვა ჩაუჭრა თუშურქუდიანმა კაცმა, თეთრი თმა რომ გამოქცეოდა და წარა-მარა ხელს აშველებდა, ქუდი არ მომძვრესო.

უკვე ის დრო იყო, შუადღეგადასული, მთელი დღე ბაზარში დგომით გადაღლილებს რომ მოშიებოდათ და თანამეინახეს ეძებდნენ. მზად იყვნენ სამუშაო დღე დასრულებულად ჩათვალათ და კარგი მასპინძლობაც გაეწიათ. ჩვენ მორიდებული ღიმილით ვუარობდით, თუმცა, ვიდრე არ ვთქვით, სალამოს ქორწილში მივდივართ, წითელწყაროშიო, დაპატიჟების სურვილზე ხელი ვერ ავალბინეთ.

აი, მაშინ კი მოიწყინეს. – ეგრე გეთქვათ, კაცო, არ დაგვალეთ პატიჟითა! იქაურებმა ისეთი ლხინი იციან და ღვინოც იგეთი აქვთ, ჩვენზე მეტი თუ არა, არანაკლები. არა მცალია, თორემ გამოგყვებოდით კიდეცა. განა ისეთი ვინ იქნება, მისვლა რომ არ მეკუთვნოდეს!

მე და მამაჩემს სიცილი აგვიტყდა.

– ჰოდა, რახან ესეა, დღეს რაღა იქნება და ხვალ დილით კი, ხინკალზე გეპატიჟებით! – ისევ იმედი მიეცა პირველს. – აქ ვიქნები, არ დამალალოთ!

გოგი ძია ჩუმად არის, ამაყი ღიმილით შემოგვყურებს. უხარია თანაქალაქელების გულუხვობა, ალალი სიყვარული და ამ ბოლო წინადადებას კიდეც გაეხმიანა, – მართალს გეუბნებიან, გოგი. აქ რომ ხინკალს აკეთებენ, ძნელად რაიმე შეედაროსო.

– არ ვიცი, კაცო, ჯერ სად მივდივართ ის არ ვიცი და ახლა კიდეც ხვალის ხინკალზე რა პირობა უნდა მოგცეთ, ამბობს სიცილით მამაჩემი და მოპატიჟეს ხელს ართმევს.

– მე ჩემი გითხარი და თქვენი თქვენ იცით. დილიდან აქა ვარ!

მოკლედ, გოგი ქორწილში წამოსვლაზე ვერ დავითანხმეთ და დათქმულ დროს, ოთართან ერთად, წითელწყაროსკენ დავიძარი.

* * *

წყნარი სალამოა, თბილი. ოქტომბერია და ფოთოლი კარგა შეყვითლებული. სერებზე შეფენილ სოფლებს, ზაფხულში ალბათ რომ ვერც შეამჩნივდით, სახლები უკვე ატყვიათ და თითქოს ყველა მათგანი გეპატიჟება, გულს გიხსნის.

ჩვენ ვაკეზე მივქრით. ტყისპირებზე ცხვრის მომცრო ფარები გულდინჯად ძოვენ. ისეთები არიან, იმხელები და ისეთი სუფთები, კომბლეს ცხვრებს გაგახსენებდათ. მერე და მერე მთლად მოვაკდა, მოშიშვლდა და ჭრელ მინდორზე გაშლილი ქალაქიც გამოჩნდა.

ზედ შესასვლელში, ბაზართან კაცი დაგვხვდა. ოთარი ძია და ის კაცი ერთმანეთს თბილად გადაეხვივნენ, რაღაც-რაღაცეები ილაპარაკეს, ხელები აქეთ-იქით იშვირეს და როგორც იქნა მანქანისკენ გამოემართნენ.

ეს კაცი უცებ გაგვიშინაურდა. მანქანა კი მოგვიწონა, მაგრამ „ვოლგა“ მირჩევია, ამას ხახვიფურცლის სისქის „ჟემტი“ აქვს და ის რკინააო. მერე მარჯვნივ ჩაუხვიე, მარცხნივო, პირდაპირ იარეო და მეც ისე ბრმად ვასრულებდი მტურვალის ბრძანებებს, სად და როგორ მივედი, ახლა კი არა, მერეც ვერ გავიხსენე, ოცდაათიოდე წლის წინათ, როცა ამ რაიონში საკმაოდ ხანგრძლივად მომინია მუშაობა დოკუმენტურ ფილმებზე.

დიდი სახლები იდგა, გამართული. ბოსტნები უკვე გაკრეფილიყო და მათ ხბორები თუ ცხვარი დაპატრონებოდა. არც ქათამ-ინდაური აკლდათ, ერთმანეთს პირიდან რომ აცლიდნენ საკენკს.

სეფა ვრცელ ეზოში გაეშალათ. კარგი ამინდი იყო და კალთები აეკეცათ. მაგიდები რამდენიმე პირად გაემწკრივებინათ. ხალხი ის-ის იყო სხდებოდა. მასპინძელი სიხარულით შეგვეგება, გულში ჩავვიკრა, თქვენლა გელოდით, აქამდე სადა ხართო ისე გვითხრა, უცხოვს ეგონებოდა, რომ არ მისულიყავით, იქნება კიდეც ჩაშლილიყო ქორწილი.

ესენი, მართლაც ცოტა სხვანაირი კახელები ყოფილან. – გავიფიქრე და ხალხი შევათვალე. მსხვილ-მსხვილი ბიჭები ისხდნენ, სუფთადგაპარსულ-დავარცხნილები. დიდი, ნაჯაფი ხელები მუხლებზე დაეწყით მორჩილად, თითქოს ასვენებენო და ასეც იქნებოდა. აქაურებმა ხომ რთველი რა ხანია ჩაათავეს, ღვინოც დაანმინდავეს და ალბათ არყის ხდასაც მალე დაიწყებენ, როცა ჩვენთან, გარე-კახეთში, ჯერაც რომ არ დაუკრეფია ზოგიერთს, ღამით ცოტა სიცივემ დაჰკრას ყურძენსო.

ერთმანეთში ჩუმად საუბრობენ, დინჯად, ყაყანს რომ ვერ დაარქმევ. თითქოს მართლაც ჩვენ გველოდნენ, მაგრამ როცა დავსხედით არც მაშინ შეცვლილა არაფერი. კაციშვილს საჭმლისკენ

ხელი არ წაუღია, ან პური აეტება, ან – ყველი. არადა, მართლაც ისეთი სუფრა იყო გაშლილი, დიდი გაბედულობა გინდოდა, რომ მისი სილამაზე შეგელახა.

შუა სუფრაზე გრძელი შოთები ეწყო, მეტრიანები მაინც, დაუჭრელი, თითქოს დიასახლისს ვერ გაემეტებინა მისი მთლიანობის შელახვა და ეს საქმე ჯამაათისთვის მიენდო. ჯერ კიდევ თბილი ჩანდა და ისეთ სურნელს აფრქევდა, მთელს სეფას ედებოდა და მადას აღძრავდა. ყველიც დაუჭრელი იყო, თუშური, მსხვილფორიანი და გულყვითელა, მისი სურნელი პურისას რომ ერწყმოდა და ყველა დანარჩენს ამეტებდა. აბა, ასეთ ხეაგრიელ სუფრაზე პური და ყველი რომ მოგინდებოდა, განა სასაცილო არ იყო? არადა, დედლებიც თითქმის დაუჭრელი გეგონებოდა, რამდენიმე ნაჭრად იყო დახლეჩილი და სურნელი და სითბო იმისიც არ მოგასვენებდა. იქით ბურვაკის მოხარშული ხორცი თამთამებდა, აქეთ კი ალაზნის ლოქო და ივრის მურნა ეწყო, ჩალისფერი და მსუქანი.

ეს ისე, თვალის ერთი გადავლებით, თორემ მე უფრო შემრეშილი მსხვილი პამიდორი და ქორფა მწვანელი მიყვარდა, ახლადჩადებული, უკვე შენითლებული კომბოსტოს მწნილი, გვერდით გრძელი, ქარვისფერი წინაკა რომ შემოეწყოთ და კახური ზეთის სურნელი ავარდნოდა. და, აი, ასეთი სუფრა, ცხვირში რომ გიღიტინებს, ვითომ არც ყოფილა, მისკენ ხელს არავინ იშვერს და არ ილმურძლება, თითქოს ეს დასჯადი ყოფილიყოს.

ბოლოს, როცა ყველა დავლაგდით, მასპინძელმა მობრძანებისთვის მადლობა გვითხრა, თამადა წარმოგვიდგინა, ჩვენი დიმიტრიო და დიმიტრიმაც ერთი წინადადებით შესწირა

– მადლი უფალს, ელიას სახით რომ გადმოჰყურებდა ქალაქს.

ხალხი ფეხზე წამოუდგა უფალს, ჭიქა ჩაანახევრეს და მშვიდადვე დასხდნენ.

ჩემს წინ მჯდომმა ბიჭმა, ჩალისფერი, ხუჭუჭა თმა და თაფლისფერი თვალები რომ ჰქონდა და აქაურებისგან ამით გამოირჩეოდა, თხელპირა და გრძელი ჯიბის დანით შოთი და ყველიც უმაღლესადაა და მიირთვითო, მორიდებით თქვა.

არც მანამდე და არც მერე არ მიყვარდა და მიყვარს, ვინმე თეფშზე რაიმეს რომ გადმოგიღებს თავისი გემოვნებით, ან ჭიქას პირამდე შეგივსებს და თან ბოლომდე დაცლას გთხოვს, მაგრამ აქ არც შენი თეფში აინტერესებდა ვინმეს და არც ჭიქა, ნახევარს ოდნავ რომ იყო ღვინო აცდენილი და არავინ გზევრავდა რამდენს დალევი. სწორედ ამ „უყურადღებობამ“ საშუალება მომცა მართლაც გემრიელად დავნაყრებულიყავი და სმაშიც კიდევ გავყევი სუფრას რამდენიმე ჭიქით.

თამადა ყველა სადღეგრძელოს რიხით იწყებდა, ძმებო! მერე ამ რიხს სადღეგრძელოს ერთ წინადადებაში კიდევ გააყოლებდა, ვთქვათ, ჩვენი

წინაპრები გავიხსენოთო და მერე კი, როცა თავადაც მცირე პაუზას გააკეთებდა, სუფრა დაწყნარდებოდა და ხალხი ჭამასაც კი წყვეტდა, უკვე გარკვევით ისმოდა მისი ხმა და ზედმეტი ძალისხმევა საჭირო აღარ იყო. ყველა სადღეგრძელო, რალაცნაირად შენც გეხებოდა, შენს ოჯახს, მშობლებს, წინაპრებს, სამშობლოს და ამან ისე დამაახლოვა ამ ხალხთან, აშკარად ვიგრძენი, რომ ერთი მათგანი ვიყავი ათადან და ბაბადან...

დიახ, ეს ხომ ისედაც ასე იყო, მაგრამ გრძნობით ახლალა ვიგრძენი. მამაჩემი და ოთარი ძია უმაღლესი გაუმინაურდნენ სუფრას და მგონი იმდენი ნაცნობიც იპოვეს, რომ არ წამოსულიყვნენ უთუოდ სამარცხვინო იქნებოდა. მეც ყველა თანატოლად მთვლიდა, მეტადაც. სიყვარულით მიყურებდნენ და ოღონდ რაიმე წამომცდენოდა, ღიმილით თავს მიკრავდნენ და მეთანხმებოდნენ. მერე „ვისია, ვისია ქალი ლამაზი“-ო, გაიწკრიალა ზარივით ხმამ და ფეხზე წამომაყენა, ნეფე-დედოფალი კარგად რომ დამენახა. ტანიანი სიძე-პატარძალი იდგა. უღვაშგანკეპილ ბიჭს კოსტუმი, გოგონას კი საპატარძლო კაბა ეცვა და ხელში ბალლი ეჭირა. მაშინ ვიფიქრე, რომ ვაჟს ჩოხა მოუხდებოდა და მე, ქორწილში, სწორედაც ჩოხას ჩავიცვამდი. სუფრა ხარობდა, რომ ეს ლამაზი პატარძალი სწორედ მათი იყო და არც არავის დაუთმობდნენ.

მერე, სიმღერა როგორც კი მინელდა, საიდანაც ქართული საცეკვაო შემოიპარა და კიდევ გაბატონდა.... ხალხი გასუსული იყო, თვალანთებული შესცქეროდა ნეფე-პატარძალს და მათაც არ დაახანეს, საცეკვაო მოედანზე ჩავიდნენ და ხელი გაშალეს... გოგო-ბიჭები ერთმანეთს დაუსრულებლად ენაცვლებოდნენ საცეკვაო მოედანზე და დამკვრელებთან ერთად ცეცხლს ანთებდნენ. ყველა ფეხზე ვიდექით და მათი ცქერით ვხარობდით...

მერე ჰაერში ბული ავარდა და ხაშლამა მოდისო, სუფრას ჩურჩურმა ჩამოუარა.

– ჭედილებია, გუშინ ამაიყვანეს დილიჩადან, – დინჯად განმარტა ასაკით ჩემზე ორიოდე წლით და ასევე ზომა-წონით ორჯერ აღმატებულმა ბიჭმა, ორთქლში გახვეულ სინს რომ ველარ მონყვიტა თვალი. – თითოს ფუთამდე მარტო ღუმა ჰქონდა. მოზვრებამდე ჯერ სადა ხარ!

ხალხი თეფშების მოსუფთავებას შეუდგა. მწვანისა და ყველის თეფშები შეავინროვეს, გამოთავისუფლებულ თეფშებს „გრუზავიკი“ დაარქვეს და კიდევ დატვირთეს ნარჩენებით, მოცქრიალე ქალებმა უცებვე რომ წამოკრიფეს.

ცხვრის ხორცი მაშინ არ მიყვარდა და დიდად არც არაფერი გამხარებია, მაგრამ ეს ორთქლა-ვარდნილი სინი ჩემს წინ რომ შეაჩერეს, ერთ ნაჭერს მაინც მივწვდი.

კაი მსხვილ – მსხვილი ნაჭრები ეყარა, ყველა მათგანს თავისი თამთამა, თეთრი ლურთი ება.

აქა-იქ წითელი წინაკის, ხახვისა და ნიახურის ნაფლეთები, ორიოდ დაფნის ფოთოლი სინს თითქოს ალამაზებდა და ხორციც ნაკლებად გაშინებდა.

– აბა, ეგ რა არი? – მისაყვედურა გვერდით მჯდომმა, ახლა რომ წამოდგარიყო და ხელებში შემომყურებდა, აქაოდა არჩევანში არ შეცდესო – აგე, მაგის გვერძე რომ დევს, ისიც მიაყოლე. კარგი ვქენი რომ დავუჯერე. ლურთს ცხიმისა არაფერი ეტყობოდა, ასე რომ მაშინებდა მისი გემო და კიდეც ძალიან მომეწონა.

ხორცმა ღვინო მოითხოვა, ღვინომ – სადღეგრძელო, სადღეგრძელომ – სიმღერა და სულსხვა მხრიდან, სადაც წელანდელი მომღერლები ისხდნენ, ვილაცის წკრიალა ხმამ ჰაერი გააპო – „შენ ბიჭო, ანაგურელო, ანაგურელოო“... სუფრა გაისუსა და ახლა ამ მხარეს მიუმარჯვეს ყური.

– ვინ არიან? – იკითხა ვილაცამ.

– რავი, ის ერთი, მსხვილი ბიჭი როა, არბოშიკელია, ჯემალა კირვალიძე. დედამისის ისეთი ინდაურები დაუდის ბოსტანში, საახალწლოდ მაგნაირი არავის ეყოლება, გვერძე რო უზის აქეთა მხრიდან, – ანაგელი. აი, ხმას რო აწკრიალებს, მგონი ოზაანელია... ქალაქში ცხოვრობს.

– იმ დღეს, დღეობაშიც იმღერეს მაგათ.

– მართლა კარგადა მღერიან, მაგრამ „ანაგურელო“ შეცდომაა თქვა მამაჩემმა, ტაში რომ დაცხრა. და მთელი ჩვენი სამეზობლოს ყურადღება მიიპყრო.

– ვითომ რათა? – გაიკვირვა მის წინ მჯდომმა კაცმა, ერთიანად ჭაღარა თმა და წამოწითლებული სახე რომ ჰქონდა და ყველას მაგივრად დასმულ კითხვას, ყველა ინტერესითა და ერთგვარი გაოცებით მამაჩემს მიაჯაჭვა. მამაჩემი უბრალოდ არასოდეს არაფერს იტყოდა. ეგ არის ბევრს უჭირდა ხოლმე განსხვავებული აზრის მოსმენა, მეც კი, მაგრამ რომ ჩავუფიქრებოდი მუდამ მართალი იყო. ამას დღეს უფრო ვგრძნობ, სიბერეში. მაშინ, ცოტაარიყოს, შემეშინდა, ეს საიდან მოიტანა – მეთქი. ის კი არა, ოთარი ძიამაც შეანელა ლუკმის ლეჭვა და მოემზადა მამაჩემის დასაცავად, რომელსაც ჭროლა თვალები ჩვეულებისამებრ აუციმციმდა. ის პროფესიით ფილოლოგი იყო, სტუდენტობისას გოგლას ორგანიზებულ ფოლკლორულ ექსპედიციებში აქტიურად რომ მონაწილეობდა და მისი ჩანაწერები კიდეც ამშვენებს ცოტა მოგვიანებით გამოცემულ ტომებს. მამაჩემი კიდეც მასწავლებლობდა გარკვეულ ხანს და კარგად იცოდა მსმენელის მიტყუებაც, რაც ცოტას მამშვიდებდა.

– რათა და, თქვენ ასე ამბობთ, ანაგურელი ბიჭი შემხვდაო?

– არა, ანაგელს ვამბობთ, მაგრამ ეგ სიმღერა-შია. – იყო მტკიცე პასუხი.

– ჰო, ანაგელი. შეიძლება ვინმემ ანაგურიც თქვას, მაგრამ „ანაგურელი“ შეცდომაა და არც არავინ იტყვის, როგორც, მაგალითად, კაკაბელს

იტყვიან, კაკაბურსაც, მაგრამ კაკაბურელს – არავინ! – არ მოეშვა მამაჩემი. – უნდა იყოს, „შენ ბიჭო, აზამბურელო!“

– აზამბური რაღა? – გაიკვირვა მოკამათემ.

– რაღა და, ადგილია გარეკახეთში, სართი-ჭალას ქვემოთ, სადაც ვრცელი სათიბებია და მკარომ იწყება, ხალხი, გარეკახეთის ახლო-მახლო სოფლებიდან, მაშინ საჩერქეზოს რომ ეძახდნენ, კვირობით იქ მიდიოდა, რომ ბალახი გაეთიბა, გაეშრო, აეხვეტა და დაეზვინა.

– გარეკახეთის შირაქი ეგ იყო... ჰოდა, ის ბიჭი მთოხნელი კი არა, თოხს ქვიან მინას რომ ურტყამდეს, მომკელია, ხელში ნამგალი ეჭირა და წყალს-გალმა სწორედ მისი ნამგლის წკრიალი ისმოდა.

– ეგ მეც მიფიქრია, ხომ იცი, – საუბარში ჩაერია ჰალსტუხიანი და მოკლუღვამიანი კაცი, თავიდანვე სკოლის დირექტორად, მინიმუმ სასწავლო ნაწილად რომ ჩავთვალე. – ჩვენში კაცები არცა თოხნიდნენ. არც ეხლა ეხალისებათ, მითუმეტეს. მთოხნელ კაცს, როდის იყო სიმღერას უძღვნიდნენ – მეთქი.

– სწორედაც გიფიქრია! ტექსტი ასეთია: „შენ ბიჭო, აზამბურელო, შენი ხმა ჩამოდიოდა, ხმა ტკბილი, შენი ნამგლისა წკრიალი, წყალგალმა გამოდიოდა“...

მთიბავიც და მომკელიც დიდი პატივისცემით სარგებლობდა ხალხში და აღმოსავლეთ საქართველოს ფოლკლორში ერთ-ერთი გმირული ფიგურაა. ფოლკლორიდან კი ჩანს, რომ ბატონმა, ალბათ ჩერქეზიშვილმა, სწორედაც აზამბურში გამოაცხადა, ვინც ყველაზე დიდ ფართობს მომკის, ჩემს ულამაზეს ქალს, იას, იმას მივათხოვებო და შეჯიბრი გაიმართა. იმ მომკელმა, ვისაც სიმღერა ეძღვნება, თურმე ყველას აჯობა, მაგრამ, ქალი კი ვერ შეირთო, რადგან, შიგნით, ორგანიზმში, იქნებ დაუზოგავი შრომისაგან, რაღაც იტკინა და უცებ გარდაიცვალა. აკი, სხვა ხალხურ ლექსში წერია:

„აზამბურელი მომკელი, ქალმა მე მოვკალ, იამო“... ანუ, ჩემს გამო არ დაზოგა თავი და იმიტომ დაემართა ასეო...

– ვაა! აღმოხდა თეთრთმიან და წითურსახიან კაცს. – მეც არა ვთქვი, ამ სიმღერაში რად არის ასეთი სევდა – მეთქი... უყურე შენა, თურმე რა ყოფილა...

– ჰოდა, უთხარი მაგ ბიჭებს სწორად იმღერონ.

– ვეტყვი, მაგრამ ვინ დაგიჯერებს, ხო იცი როგოა. ერთი თუ გამრუდდა მერე აღარა სწორდება.

– მართალს ამბობს, გოგი. ეგ კიდეც, რაც მოყევი, ამაღამვე დამიწერე და პირდაპირ ნომერში ჩავდებ, ისტორიას მაინც დარჩება... – ხელი მოხვია ოთარმა მამაჩემს და ახალ სადღეგრძელოს წამოუდგნენ ფეხზე...

თამადამ ორი-სამი სადღეგრძელო წასულებს მიუძღვნა, წინაპრებს და ერთი-ორი ისეთი ამბავიც

მიაცილა, ყველასთვის სასახელო და საამაყო რომ იყო. ხალხი გატრუნული უსმენდა, ზოგი მაჯით იმშრალეზდა სველ თვალს, ზოგი კი დანანებით იქნევდა თავს. ფეხზე ყველა სადღეგრძელოს უდგებოდნენ და მოშორებით მჯდარ მეგობრებს უჩვენებდნენ ცარიელ ჭიქებს. მერე კიდევ, თამა-
დამ ჩოხა-ახალუხიანი და ჩანგურიანი ბიჭი მაგი-
დაზევე შემოასკუპა და ბიჭმაც არ დაახანა, სიმებს ჩამოჰკრა და ხმაც აანკრიალა:

– „გოგომ ღიმილი მაჩუქა, მატკინა გულის ფი-
ცარი,

მე იმის სახელს არ ვიტყვი, ღმერთმა უშველოს
ვინც არი!“

– ნუ იტყვი, შენ შემოგველე, ნუ იტყვი... ჩაი-
ლაპარაკა სუფრასთან მოტრიალე დედაკაცმა, ისე
ალაღად, რომ კიდევ ვიფიქრე, ან ამ ბიჭის ბებო
იქნება, ან იმ გოგოსი-მეთქი.

ბიჭი ტაშით გააცილეს და ახლა ქართულკაბი-
ანი გოგო შემოსვს.

– „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა
ეცეს“... დაიწყო გოგონამ და ცრემლი ვერ შე-
ვიკავე. შემრცხვასავით, მაგრამ მე ვინ მიყურებდა,
ყველა იცრემლებოდა...

გოგონამ ლექსი ჩაათავა თუ არა, გარმონი გაი-
ნია და ახლა ეს ლექსი ასეთივე წკრიალა, ოღონდ
გაცილებით დახვეწილი ხმით ამღედა.

„საქართველოს ცხელ გულს“ კიდევ ერთხელ
ფეხზე წამოუდგა ხალხი და მის დიდებას და მარა-
დიულობას ანეული ჭიქიანი მარჯვენებით უხმოდ
შეუერთდნენ...

მოკლედ ისეთი ემოცია იყო, დათრობისთვის
ადგილი არ რჩებოდა. ღვინომ ძარღვები დაბერა,
ხალხს ენა აუხსნა, შუბლი გაუნათა და ერთმანეთს
სიყვარულსა და ერთგულებას აფიცებდა. მერე
სუფრამ თითქოს წათვლიმო. იქნებ მე მომერია
რული.

პირველ საათს უკვე კარგად იყო გადაცდენი-
ლი, ხაშლამა რომ შემოიტანეს და უკვე შემცივნულ
ჰაერს ბული აადინა, სუფრა ისევ გამოცოცხლდა.
ისევ გამოინახა და დაიტვირთა ნარჩენებით „გრუ-
ზავიკები“ და ისევ შეივსო ჭიქები. თამადამ კიდევ
ერთხელ დალოცა ნეფე-დედოფალი და ამით ფაქ-
ტიურად ნება დართო, მოესვენათ დამღლელი
რიტუალისგან.

წამსვლელები ნელნელა აიშალნენ, სუფრები
შეთხელდა. მეც დავაპირე, წავალ, მანქანაში მი-
ვწვები-მეთქი და კიდევ დამადგა ბიცოლა ქალი
თავს, შვილო, თუ გედროვება, მობრძანდი, მოის-
ვენე, კაცებს რას უყურებ, თქვენი ლოგინები გაშ-
ლილიაო.

ცოტა ხანს კიდევ დავრჩი. მალე, დიასახ-
ლისებმა, ერთი გრძელი სუფრა აალაგეს, ახალი
სუფრა გაშალეს და იქ მიგვიწვიეს.

თამადაც იქ გადმობრძანდა, სამზარეულო-
ში მოტრიალებმაც სასუფრედ მოიცალეს, აქაო-

და ხაშის ქვაბები მოვქაფეთო და დამკვრელებიც,
რომლებმაც ახლად გაიხსნეს კრიჭა და ღვინოსაც
გაუბედეს, აქამდე თავს რომ იკავებდნენ.

ახალ სუფრაზე დიდხანს არ დავრჩენილვარ,
იმ მადლიან ბიცოლას გავყევი, შორიახლოს რომ
ტრიალებდა, ადვილად მიპოვოსო, ცოტახანს სიბ-
ნელეში ბილიკზე მივყევი, ორსართულიანი სახლის
მეორე სართულზე ავყევი და ჩემთვის დაგებული
თბილ, მატყლის ლოგინში შევძვერი...

* * *

ადრედილით გამეღვიძა. გამიკვირდა, მამაჩე-
ბის და ოთარი ძიას ლოგინები ხელუხლებელი რომ
იყო. უცებ ჩავიცვი და ეზოში ჩავედი. წელში მოხ-
რილი შავოსანი ბებო ქათმებს აპურებდა და ყვი-
თელ-ყვითელ მარცვლებს კალთიდან გულუხვად
ფანტავდა, თან „ჯუ-ჯუ, ჯუ-ჯუ“-ო, უხმოდა.
ქათმები ერთმანეთს ახტებოდნენ და ეცილებოდ-
ნენ საკენკს. ისეთი მსუქნები იყვნენ, ვიფიქრე, ალ-
ბათ დასათვლელად თუ დაუყარა საკენკი-მეთქი,
თორემ ვრცელ ბოსტანში საკენკის და საპოვნის
მეტი რა იყო? დათვლით არა, მაგრამ ბებია უფრო
თვალთ მიხვდა, რომ არცერთი აკლდა. მერე,
კმაყოფილმა დაცლილი კალთა ისე დააბერტყა
ქათმებს, თითქოს აჩვენა, აი, სულ დაგიყარეთ შინ
არაფერი შემაქვსო და შემოტრიალდა. რომ დამი-
ნახა, გაიღვიძე, ბებო გენაცვალოს, რა გეჩქარე-
ბოდა, ცოტა კიდევ მოგესვენაო, მითხრა და პირფ-
ვარი გადამწერა. მერე ბილიკი მიჩვენა, ჩაჰყევი და
ზედ მიადგებო...

მზე სულ ახლა ამოდიოდა ჰაერი გამჭვირვალე
იყო, ნოტიო. ქვითკირის, აგურით მოპირკეთებუ-
ლი კოხტა სახლები არცთუ შორიშორს იდგა და
ერთიან სივრცეს პირობითად ყოფდნენ. თითქმის
ყველა ეზოში ედგათ კარალიოკები და ხურმები,
ეზოებს ოქროსფრად რომ ანთებდნენ და აცოცხ-
ლებდნენ.

ბილიკს ჩავყევი და მექორწინეებს სულ სხვა
მხრიდან მივადექი. როგორც დავტოვე, ისე ისხდ-
ნენ. ეგ არის, სეფის კალთა ჩამოეშვათ, საიდანაც
ნიაღვი უბერავდა. ჩემი ადგილიც ხელუხლებლად
იყო და რომ მივედი, ისე მიმიღეს, ვითომც ეს წუ-
თია რაც გავედი... თითქოს ჩემს მისვლას ელოდ-
ნენო, ხაშიც წამოვიდა... სამ-სამი არაყი დალიეს,
ღმერთი ახსენეს, თეფშები მოასუფთავეს და რო-
გორც დასხდნენ, ისე აიშალნენ ბიჭები.

მას შემდეგ ორმოცი გრძელი წელი გავიდა, ვინ
იცის, რამდენ სუფრაზე ვარ წამყოფი, მაგრამ არა-
სოდეს დამავინწყდება ქორწილი დედოფლისწყარო-
ში, მაშინ, მგონი, წითელწყაროს რომ ეძახდნენ...



ბიორბი
ბალახაშვილი

შეხვედრებს შორის პაუზები.
ნეტავ, ამ ზამთარსაც გავუძლებდე.
იცი? გაზაფხულიც აგვიანებს.

ნარატივი

თბილისი. საღამო. მტკვრისპირა
სიცივე. ხმაური. მეტეხი.
ორივე ჯიუტი. უტეხი –
ვჩერდებით ერთურთის პირისპირ.
ხანდახან კარგია სიყალბეც.
სიტყვები – მჩატე და ლიტონი.
ჯანდაბას ყოველი რიტორი.
ჯანდაბას ყოველი იდალგო.
ხანდახან თამაშიც კარგია.
მიმების. ვალუტის. ბრიჯისაც.
ხანდახან კარგია ბრინჯაოც.
ხანდახან ოქროც კი არ გარგებს.
სიჩუმე კარგია ხანგრძლივად.
მეტეხთან – მტვერში და ხმაურში.
დარდიც არსაითკენ გავუშვათ.
მინდვრად მობნეული ანწლივით.
ლამეც – მლიქვნელების მსახური.
ლამე ფლირტების და რომანთა.
ყველა საიდუმლო მომანდე.
მერე ანგარიშიც დავხუროთ.
თბილისი. საღამო. მტკვრისპირა
სიცივე. ხმაური. მეტეხი.
ორივე ჯიუტი. უტეხი –
ვჩერდებით ერთურთის პირისპირ.

პაუზები

დეკემბრის ღამეთა სტაგნაცია.
შეხვედრებს შორის პაუზები.
ვფიქრობ, ამ ზამთარსაც გაუძლებენ
ხელები და ვიდრე გამაციებს
ქარი – შორეული სადგურიდან,
მიგდებულ ვაგონს ვეფარები...
ტერფებს კი სუსხი ეპარება.
შენგან ნახსოვარი ამულეტი
თითქოს შემეზარდა ხელისგულთან.
ეგ შენი გიშერი – უშავესი.
ახლა ქარის ხმა ყრუდ ჩამესმის.
ახლა ქედებიც შენისლულან.
იცი? გაზაფხულიც იგვიანებს.
მოსვლას აყოვნებენ მარტ-აპრილი.
ისევ ორი აბი კაპტოპრილი.
აღარც გულისცემა – რიგიანი.
აღარც მაჯისცემა – გვარიანად.

ნირვანა

ნირვანის ყვითელი გვირაბი.
სიზმართა მუდმივი სამიზნე.
გიტაცებს ობოლს და უდღეურს,
რომ მოინადირო კურდღლები,
რომ შენი თავი გახიზნო
ოთახის უმწვანეს გვიმრებთან.
დილიდან მიიღებ ციკლოდოლს,
რომ ოდნავ, სულ ოდნავ მოეშვა
და რომ არაფერზე იფიქრო.
დაგცინის სარკე და გრიფი კი,
სუნთქავს შენს სიახლოვეში,
თან ცერზე აყენებს ციკლოპებს.
გადიხარ, ჯერ ისევ არსაით,
მერე არსაიდან ბრუნდები
და გხვდება უწყლო ნიჟარა,
რომელზეც არა ღირს იჯავრო,
არავის მოუწყო ბუნტები,
გახედე, ზაფხულიც კარსაა.
გატეხე სარკე და მიაგდე,
ფასიც, ანფასიც და პროფილიც
და მერე ძილის წინ ილოცე,
თუნდაც უჩარჩო ტილოზე,
რომ ასე თვითკმაყოფილი
ზეპირად იცნობ იადგარს.
ნირვანის ყვითელი გვირაბი –
გაგიყვანს უმწვანეს გვიმრებთან...

აბრაკადაბრა

მე მახსოვს შენი წითელი კაბა,
როგორც შეცვლილი პროფილის ფოტო,
ჩუმად წამოგცდა: „აბრაკადაბრა“,
იმის იმედად, რომ ღამით მოთოვს
და მთელი ღამე საოცრად თოვდა
და მთელი ღამე საოცრად ცრიდა,
მე კი ჯიუტად დარჩენას გთხოვდი
და მთელი ღამე გხედავდი სიზმრად.
ვიზეპირებდი შენს ბავშვურ ლიმილს,
შენი თვალების უმანკო მზერას,
როგორ მოგგავდით მდუმარე მიმებს,
ვუფრთხილდებოდით სიტყვებსაც: მჯერა.
მიყვარხარ. გიცდი. მომენდე. მოდი.
მაკოცე. დარჩი. ნახვიდე არსად.
შორს კი მოჩანდა სოხუმის პორტი.
შორს კი მოჩანდა ქალაქი წყალზე
და მთელი ღამე საოცრად თოვდა
და მთელი ღამე საოცრად ცრიდა,
მე კი ჯიუტად დარჩენას გთხოვდი
და მთელი ღამე გხედავდი სიზმრად.

დეპრესია

ჩნდება უსაშველოდ დიდი დეპრესია,
მეგობრებისათვის თავის არიდება.
არის მარტოობის ვრცელი თარიღები.
არის უძილობა – ძილის რევერსიდან.
არის სიგარეტზეც თავის დანებება.
არის უმნიშვნელო დოზით კონიაკი.
უნდა გადაფურცლო ზოგჯერ მორიაკიც.
ცეცხლში შეუკეთო ოქმი. ბრძანებები.
გაიგაზაფხულო მთელი იანვარი.
თევზივით გაეხვე ხავსიან ბადეში.
სიზმარში იხილო ჩრდილო ბანგლადეში.
აზიის სამიტი. ხუნტა. მინამარი.
მარტიდან ისმინო კატების კრუტუნნი.
თვითგვემის ნიშნადაც კონიაკს შეეშვა.
დასახლდე აყალო მინაზე. პერევეში.
გაისად ესტუმრო კომოს და კროტონეს.
ყველა გამომცემელს ხელში მიაჩეჩო –
დიდი პოეზია. მცირე ჰონორარით.
იმგზავრებ. პურს შეჭამ. აბი – პრონორანი.
თვალეები დახუჭე. ბარი. პიაჩენცა.
მოკვდეს უსაშველოდ დიდი დეპრესია.
მარტოობისათვის თავის არიდება.
არის უძილობის ვრცელი თარიღები.
არიან სიზმრებიც – ძილის რევერსიდან.

Drinking Songs

ხანდახან არის,
ფეხები გიცივდება.
ყურებში შუილი გაქვს.
წელი გტკივა
და კისერი გელრიცება.
გძულს მთელი ქალაქი,
რომელსაც სძინავს.
შენ კი თვალეებს ვერ ხუჭავ,
უფრო სწორად ხუჭავ,
მაგრამ უცნაური ხმაური
გჭამს შიგნიდან
და გინდა,
რომ მთელს ხმაზე იყვირო,
რათა დაიცალო ხმაურისგან.
დილით მეგობარი გაკითხავს.
არაფერს იმჩნევ წინა ღამის უძილობიდან.
ჯდება მანქანაში.
იანვრის სუსხი გულს გირევს.
მეგობარი მანქანის გათბობას,
მერე ნიქ ქეივს გირთავს.
ნება მიეცი მზეს,
თვალი მოგჭრას.
გაგინწყლიანოს.
გაუღიმე.
ცოტა ხნით ფეხზე დაიკიდე
დისკოზიც და ოსტეოქონდროზიც.

დღეს პირველად მოისმენ მეთ ელიოტს.
დატკბი დლით...

ოქროშინდა

თუ დამიჯერებ, ბოლოს ყველანი
ჩვენივე თავის სიზმრად ვიქცევით,
კონკებითა და მრუმე ნიღბებით,
ათასი კოჭლი, ყრუ და ელამი.
დაკარგავს გემოს ყველი. ინდიკა.
თეთრი ქერივი და ლურჯი სიზმარი.
ალბათ ოდესმე გამოვიზამთრებთ
და შუამთიდან ოქროშინდა კი
დაკრიფე ისე რიდით და კრძალვით,
თითქოს პეპელას ფრთებზე ეხები,
თითქოს კლდეებზე გაჩნდა ეხები,
რალაც უცნაურ, უხილავ ძალით.
თუ ნაიმღერებ გულში მაყრულსაც,
სანამ აგევსო უბე შინდებით.
ნუ შეშინდები.
ნუ შეშინდები.
ნუ შეშინდები,
მაგრამ თვალ-ყური
ადევნე ჯირკთან მძინარე ქოფაკს,
ხანდახან, დღისით თვალეებს მილულავს.
სიზმრებით ასე რომ მოხიბლულა,
ძილში არ ახსოვს ძაღლური ყოფა.
გადავა მზე და მოსვლამდე მწუხრის
ისწავლი ყველა კარნახის წერას.
გაელვიძება ქოფაკს თუ მწევარს.
ჩამოიბერტყავ იმდენხანს მუხლებს,
შინისკენ წახვალ ამაყად. გზნებით.
ოქროშინდებით სავსე პერანგით.
თუ დამიჯერებ, ბოლოს ყველანი
სიზმრებად ანდა გზებად ვიქცევით...

1 აპრილი

ღმერთო,
რა მყიფეა მოჩვენებითი ქედმაღლობა
ბავშვურ სინრფელესთან.
აღარარსებობის შიშით გატარებული
წუთების შეჯამება –
ესეც რა სასაცილო რამაა.
იცოდე შენი სიდიდე და თავს იპატარავებდე,
ანდა პირიქით.
მისალმების ზედაპირიდან,
უკეთ რომ ვთქვათ,
ზედაპირული გამარჯობიდან –
სიღრმე დაინახო.
გაუღიმო სრულიად უცხო ადამიანს,
რომლის თვალის ფერიც მოგწონს.
სისულელეა ყველა თრობა,
დამიჯერე,
რომელსაც ამაზრზენ სიფხიზლემდე მივყავართ.

ბედნიერებისთვის –
მხოლოდ ღამეების
დაგრძელება იკმარე,
რომ მიხვდე,
რას ნიშნავს იყო უბრალო.

საპარჯიშოაზი

ვინაა ქვეყნად ხევისბერზე უგონ(ავ)ესი?
სასაცილოა. ბანალური. ადვილიც, ეგ ზომ.
რევოლუცია. ბოლივარი. მზე და ეგზემა.
საბანეტა და კარაკასი. უგო ჩავესი.
დაიაურთ და შეთეკაურთ მუცო თავისად
მიუჩნევიათ. მუცოს იქვე უწევს არდოტი.
უადგილოა. სირცხვილია. ბარში გარბოდე.
ცოტაც არ იყო. დარჩე ფთილა-უცოტავესო.
შემოაფრინე: ორი კოლო. ბუზი ნოესი.
გადართვალე: ოკუპანტი. მოროდირი.
რა არის ქვეყნად სიკვდილივით მარადიული?
რა არის ქვეყნად სიყვარულზე უზენაესი?!

საპარჯიშოაზი 2

ხანდახან სიჩერჩეტე მეტადაც მიხდება.
კი არ დავჭკვიანდი. მგონია, დავბერდი.
ახლა სულერთია ღამე. მაძახურა.
მტრებიც მენატრება, რომ შემოვირიგო.
სანამ გუბურაში ცა მოსჩანს. ინდიგო.
სანამ მთების იქით ღავრას გადავყურებ.
სანამ გადაუნვათ ოშკი და შატბერდი.
ღამის მეც ჩავერთო რბოლაში ვირთხების.
დაგმე სიდიადის შენთან შეფარდება,
როგორც ჰერალდიკა, სამხრეთ კორეული,
ანდა სინდრომები: სტოკჰოლმის. ლიმაის.
დამრი. დაინრიტე, როგორც კალაჰარი.
ჩემზე ნუ იდარდება. მინდა გაგახარო.
იფიქრე სიზმრებში ვერმოსულ წვიმაზე.
დროდადრო იკითხე საათი. ორუელიც.
დახატე ჟირაფი. ფეხმარდი გეპარდები.

პეიზაჟი

რა ღამაზია მაისის წვიმა,
თითქოს ანგელოზები შხაპს იღებენ.
ქარი?
ქარი – ცაცხვების პარკინსონია.
ყური დაუგდე მათ შრიალს.
ვინ იცის,
ბუნების რომელ საიდუმლოს ამხელენ?!

უთიზი

არავინ იცის, დამიჯერე, თუ რის ფასადა,
გვინევს შევნილბოთ ჩვენი ყოფის მყიფე ფასადი.
ვიცხოვროთ ასე, პოეზიით. უხელფასოდ.

გვერქვას სახელი უხეირო, ვინმე რაფსოდის.
მოკვეთილივით მთელ სამყაროს უნდა განუდგე.
არ დაიტოვო დაბრუნების ერთი აუტი.
რა დონ კიხოტი ან ტრისტანი. რისი ალუდა?
მსოფლიო წესრიგს დღეს ამყარებს

კრიპტოვალუტა.

მაისის ბოლოს გაშავდება ყველა თუთის ხე.
ან გათეთრდება. სულერთია, რა ვიგულისხმე.
ყველა ბალახი გადარჩება ცოცხლად. უთიბი.
ზღვამ გადაყლაპოს მზის მზითვები. მზეთა ქათიბი.

თუთიზი

შეხედე თუ როგორ ცვივიან თუთები,
ნიავის უბრალო, უმნიშვნელო შეხებით,
იფიქრე იმაზე, რომ ველარ შევხვდებით,
ველარ ვიკამათებთ, არც დასაბუთება
მოგვინევს რაიმის, არადა გვინევდა,
აბეზარ ბავშვებსაც მოვგავდით ხანდახან,
თუ გახსოვს ივნისი და ოქროს ჩარდახი
ან ჩვენი წითელი, აყალო მინები?
ახლა კი სახლები სიზმრებად გადაიქცნენ,
სიზმრებად გადაიქცნენ შავ-შავი თუთებიც,
მეზობლის ბალიდან გოგრა ბლის ქურდობა,
მეზობლის ბალიდან გაქუსვლა სახლისკენ.
შუადღეს მდინარე. რიყზე ქოთქოთი.
რა ფეხზე გვეკიდა ნიცში და ფროიდი.
არ გვექონდა კოდაკი ან პოლაროიდი.
ბავშვობა – შემკული ფერადი ფოტოთი.
არც მობილურიდან ვგზავნიდით მესიჯებს,
ხშირადაც უსიტყვოდ ერთურთი გვიყვარდა,
მერე ცაცხვებიდან დაფრთხობა ჭილყავათა
და სეტყვის ყინულთა მარცვლების მეჯლისი.
ჩვენც გამოგვაძევეს ბავშვობის ზღაპრიდან,
მახსოვს, უკითხავად დიდები დაგვარქვეს,
რა ძნელი ყოფილა, იმ დღეთა დაკარგვა.
გაფრინდნენ...

მადათოვთან

ხანდახან დღეებმა პურივით იციან დაობება.
სიგრძე აქვთ იმხელა. რა გითხრა. ბაობაბის.
აუტანელია ამგვარი დღეების სიმძაღე.
ჯანდაბას, რაც იყო, გათავდა. მიძალღდა.
ჩვენ ვერ ამოვაშრეთ ხსოვნის ჭაობები.
თვალეები დახუჭე. იქნება წყვდიადი განათდეს.
შენი მიოზია ტყუილია. გუშინ მიღებული ბარათიც,
რომ ჩემი წასვლიდან მოსვლას დარაჯობდი,
რომ არ დაუფერთხავთ მტვერი ყაყაჩოებს,
რომელსაც ჩათვლემილ ჰიპნოსის ვპარავდი.
დროა მიუტევეო. იმანაც. დროა ასეთიც. მიატოვეო.
იყოს იანვარი. ახალ ბალი მეიდანისა. მადა თოვლის.
ენა გამოუყო ფანტელეებს. ცვიოდეს ფენტანილი.
ილოცე. იბუტბუტე. და სამი მცირე მეტანია.
ერთიც დიდი. თვალეები დახუჭე. მადათოვთან.



გიორგი ხორნაული

ქისტე მამის ანდერძი

ყიზლარის ზამთრის საძოვრებს მიუყვებოდა თეთრი ვოლგა. შემგლისფერებულ ტრიალ მინდორზე ორ ზოლად გატყეპნილ შარაზე მისრიალებდა დინჯად, გულის დამასვენებელი სივსივით, ჰგავდა, თითქოს მოქურუხებულ ცაზე თეთრი მტრედი მიფრინავსო. ჩანდა, საჭესთან თავმდაბალი, ზრდილი ადამიანი იჯდა. საერთოდ, მანქანის მოძრაობის მიხედვით შეიძლება მივხედეთ, როგორი ადამიანი მართავს მას, თავმდაბალი თუ თავხედი. თუმცა თეთრ ვოლგაში თავხედი და ამპარტავანი ადამიანი არ იჯდებოდა. საბჭოთა კავშირის არსებობის მეორე ნახევარში გამოუშვეს იმ დროისთვის ყველაზე კარგი მანქანა. ორი ფერის იყო – თეთრი და შავი. ორივე სადიდკაცო, თუმცა თეთრი ფერი შავ ფერთან შედარებით რატომღაც მდარედ ითვლებოდა და გადალოცვილი იყო საზოგადოების გამოჩენილი მოღვაწეებისათვის: დიდი მეცნიერების, დიდი მწერლების, დიდი მსახიობებისა და დიდი სპორტსმენებისთვის. ურიგოდ შესყიდვის უფლებით ეძლეოდათ შრომის გმირებსაც.

შავი ფერის ვოლგები კი რატომღაც ცეკა-რაიკომების მაღალჩინოსნებისთვის იყო მხოლოდ და მასთან გათანაბრებული „შავების“ ანუ „კანონიერი ქურდებისთვის“. ისინი ხომ ხალხის მორჩილებაში ყოლისთვის სჭირდებოდათ. მაღალი თანამდებობა და შავი ვოლგა საოცნებო იყო „პარტიის ერთგული შვილებისათვის“, რომლებიც ქლესობითა და ყველაფრის კადრებით აღწევდნენ მიზანს. ამ საზარლად გადაფოფრილ პარაზიტულ ორგანიზაციას ეკუთვნოდა საბჭოეთის ყოველგვარი სიკეთე, საქმე კი – არაფერი, მხოლოდ იდეოლოგია. ამ შავი ვოლგებითაც ყოველთვის ქმნიდნენ ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს სადღაც ერქარებოდათ, სადღაც აგვიანდებოდათ, ქუჩებში წივილ-კივილით აცილებდა საგზაო ინსპექცია.

თეთრმა ვოლგამ წყნარი სივსივით მიაღწია გუდამაყრელთა ცხვრის ბინამდე და შემოუღობავი ეზოს განაპირებით გაჩერდა. გაჩერებაზეც ეტყობოდა, ვინ იჯდა მანქანაში. შავი ვოლგა უსათუოდ ბინის კართან მიჭენდებოდა და მიასიგნალებდა. თეთრი ვოლგიდან სასიამოვნო გარეგნობის, მაღალ-მაღალი, ქერა სახის ახალგაზრდა კაცი გადმოვიდა. ტანთ ლამაზი სპორტული ფორმა ეცვა, რაღაც „არაამქვეყნიური“. ბინიდანაც ზუსტად ისეთივე გარეგნობის, ისეთივე მაღალი, ისეთივე ქერა ახალგაზრდა გამოვიდა, იტყოდა კაცი, ტყუპი ძმები არიანო. ამას ტანთ შინააქსოვი შალის გალიფე და ჯემპრი ეცვა – მწყემსისთვის აუცილებელი ტანსაცმელი.

– გამარჯობა! ისმაილ ამხადოვი! – ხელი გაუწოდა სტუმარმა.

– გაგიმარჯოს! გიორგი წიკლაური! – ხელი ჩამოართვა მასპინძელმა.

– ჟორა ვინ არის?

– ჟორაც მე ვარ.

– კარგი საკლავი მჭირდება და თქვენთან მომასწავლეს.

– მოიცა, მოიცა, ვინა ვარო? ისმაილ ამხადოვი?

– ჩაეკითხა გიორგი.

– კი, ისმაილ ამხადოვი.

– მთელ ქისტეთში განთქმული ვაჟკაცი ისმაილ ამხადოვი თქვენა ხართ?

– კი, მთელ ქისტეთში განთქმული ვაჟკაცობისა რა მოგახსენოთ, ისმაილ ამხადოვი ნამდვილად მე ვარ.

– ვაჰ, ღმერთო, ეს რა დღე გამითენდა, თქვენი ქება ბევრჯერ მომისმენია. სულ ვნატრობდი თქვენს გაცნობას, ამას როგორ წარმოვიდგენდი, რომ თქვენ მესტუმრებოდით. წამობრძანდით, შიგნით შევიდეთ, იქ ვისაუბროთ! – შეიპატიჟა გიორგიმ და შევიდნენ.

ოთახის შუაგულში გაგუზგუზებულ ლუმელზე ქვაბი თუხთუხებდა.

– დღეს მე ვარ მორიგე, – ჩაილაპარაკა გიორგიმ,

– დაველოდოთ საღამომდე, ბიჭები როცა მორეკავენ ფარას, ჩემი საკუთარი სამასი სული მყავს, აარჩიე, რომელიც მოგეწონება და წაიყვანე, მე შენ ფულს როგორ გამოგართმევ!

– არა, მე სამაგისოდ არ მიჭირს, ფასს გადავიხდი.

– ასეთ გაუგონარი ქველმოქმედებით ცნობილ ვაჟკაცს, ყველა გაჭირვებულს, ნათესავსა თუ სხვას უფასოდ რომ ურიგებს წყალობას, მე ერთი საკლავი ვერ უნდა მივცე?! თანაც ქვრივ-ობოლსა და ღარიბს არავის დააჩაგვრინებსო. ერთი ისეთი რქადაგრეხილი უნდა შეგირჩიო, უკეთესი რომ არ იქნება. ეს გადანყვეტილია, ამაზე აღარ ვილაპარაკოთ... ერთი ეს მითხარი, ქართული საიდან იცი ასე კარგად?

– საიდანა და გადასახლებიდან რომ დავბრუნდით, ჩვენს ძველ სოფელში, ღილღოს, არხოტელეები დაგვხვდნენ. სანამ არხოტშივე დაბრუნდებოდნენ, იმათ ბალებთან ერთად ვიზრდებოდი მთელი ხუთი-ექვსი წელი. ჩვენს სახლში ცხოვრობდა გაბრიელ ჯაბუშანური, თქვენი და ჩვენი საერთო პოეტი. მამამ სახლიდან არ მოიშორა, არ გაუშვა, რადგან მას არ უნდოდა არხოტში დაბრუნება, ვინაიდან მშობლები და თავისი შეყვარებული, მზექალა, ჩვენს სოფელ ოზიკში ჰყავდა დასაფლავებული. ის მასწავლიდა ქართულს სხვა ბავშვებთან ერთად და ქართულ წიგნებსაც მაკითხებდა. ქორძო წაროზაულმა თავისი შეიდასი სული ფარიდან ასი გვაჩუქა და უცებ გავიმართენით, ოჯახისა და ერთი კაცის შენახვა არ გვიჭირდა.

გიორგიმ ჯამში ჩამარილებული ხორცის ხელი-სოდენა ორი ნაჭერი შამფურზე წამოაგო და პირდაპირ შეაგდო ლუმელში. ისმაილს ღიმილმა გადაუარა სახეზე, ამ მხრივაც გულგებობა რომ დაამტკიცა მასპინძელმა.

– მე და ჩემს ძმას, – თქვა გორგიმ, – მამაჩემმა შუაზე გაგვიყო თავისი მეცხვარეობის დროს ნაგროვები ცხვარი და ჩვენც არა გვიჭირს რა ამ გაძვალტყავებულ, გასაცოდავებულ ქვეყანაში, გუდამაყარში თუ ვინმე ცხოვრობს, ჩვენცა ვცხოვრობთ. თამამად შემოძლია მივცე კიდეც საკლავი, ვისაც მინდა, დავკლა კიდეც. აი, ეს ცხვარი გუშინ ჩემი დავკალი, შემოგვითვალა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, მე და აღმასკომის თავმჯდომარე ჩამოვივლით ბრიგადებს და პურს შენთანა ვჭამთო. მეც მოვემზადე. ცხვარი ბარაქიანია, ალბათ შენც ცხვრისაგანა გაქვს მაგარი წელი, ამდენ ქველმოქმედებას რომ ეწევი.

– კი, ცხვრისგანა და ფუტკრისგან... მამაჩემმა ქორძოსაგან ნაჩუქარი ასი სული ცხვარი რამდენიმე წელში ათას სულად აქცია. მამაჩემი მარტო ველარ აუდიოდა საქმეს, ამიტომ, თოთხმეტი წლისა ვიყავი, სკოლიდან რომ გამომიყვანა – მე უფრო ბევრსა და კარგ საქმეს გასწავლი, ვიდრე რუსის სკოლაში გასწავლიანო. საქმე არ მეზარებოდა. მამაჩემი კმაყოფილი იყო ჩემით. რაც გინდა მძიმე სამუშაო ყოფილიყო – ცხვრის პარსვა, წველა, დოლი – ყველაფერს ხელმარჯვედ ვაკეთებდი. ჩვენი ქონება იზრდებოდა. იზრდებოდა საბანკო ანგარიშებიც. დიდი ორსართულიანი სახლი ავაშენეთ იშორაში, რადგან ლილლოში ცხოვრებას გვიკრძალავდნენ. მამაჩემმა, ცხვრის პარალელურად, ფუტკრის მომრავლებაც დაიწყო. ლილლო იდეალური ადგილია ცხვრისთვისაცა და ფუტკრისთვისაც. მე და მამაჩემი მარტონი ველარ ავუდიოდით საქმეს, ხალხს ეკირაობდით პარსვის დროს, თაფლის დანურვის დროს. ვერტმფრენი ვერ აუდიოდა ჩვენი თაფლისა და მატყლის გადმოზიდვას, გროზნოში ვაბარებდით. ოცდასამი წლისა ვიყავი, მამაჩემი რომ გარდაიცვალა. მარტო ველარ გავუძლევბოდი ამხელა მეურნეობას – ერთ-ერთი უნდა დამეტოვებინა – ან ცხვარი, ან ფუტკარი. მე ფუტკარი ვირჩიე. ცხვარი მთლიანად გავყიდე. ბანკში უკვე დიდ ანგარიშს კიდეც დიდი ანგარიში მიემატა. მისი პროცენტები უკვე იმდენია, ქველმოქმედება თავისუფლად შემიძლია გავწიო. მე ამდენი ფული მქონდეს, კიდეც ფუტკრიდანაც ყოველ ზაფხულს თითქმის ოცდაათი ათასს ვამატებ, ამ დროს ჩემ გვერდზე ბიძაშვილსა თუ მეზობელს ბავშვებისთვის საჭმლის ფული არა ჰქონდეთ, რა დამაძინებს. ოქტომბრის შემდეგ, როცა ფუტკარს დავაზამთრებ, აპრილამდე ფუტკართან არა მაქვს სამუშაო. ვზივარ უსაქმურად, მარტო წიგნების კითხვა არა მშველის, მოძრაობა მინდა, საქმე მინდა, თან შემანუხეს უსაქმურმა ბიძაშვილებმა და მეგობრებმა – გვაქეიფეო, პური გვაჭამეო. მე ასე უაზრო სმასა და ქეიფს ვერ ვიტან. სად წავიდე, სად გავიქცეო, ჩემთვის ვფიქრობდი, და აი ახლა შენ რომ დაგინახე, რომ გაგიცანი, უცებ გადავწყვიტე, რომ ზამთრის განმავლობაში შენთან ვიმუშაო, თუ მეცხვარედ ამიყვან.

გიორგიმ ამ დროს ღუმელიდან ნაკვერჩხლებასხმული მწვადი გამოიღო, ისმაილის სიტყვები რომ გაიგონა, შამფური კინაღამ ხელიდან გაუვარდა.

– რაო? ჩემთან მწყემსად გინდა მოხვიდე?! ღმერთო, ეს რა მესმის, შენ ჩემთან უნდა მოხვიდე მწყემ-

სად? ამაზე სასიხარულოს რას გავიგონებდი, დიდი სიამოვნებითა და სიხარულით, ოღონდ შენ ჩვენთან მოდი, რასაც კოლმეურნეობა გადაგიხდის, იმდენს მე ჩემსას დაგიმატებ.

– არა, გიორგი, მე საფასურისთვის არ მინდა თქვენთან მოსვლა. არა მჭირდება. მე მინდა ჩემი სიამოვნებისთვის, მიყვარს ცხვარი და მწყემსობა, და კიდეც იცი რა?! ყველაზე მთავარი: მამაჩემმა ანდერძად დამიტოვა, თუ ძმა და მეგობარი გინდა, ქართველებთან იმეგობრეო, ქართველი არ გიღალატებსო. მე ვხედავ, სწორედ ასეთ სამეგობრო კაცთან მოვხვდი. ერთი შენი დალაპარაკება, ერთი შენი ქცევა და უკვე ვიცი, რა კაცი ხარ. ალლო არასდროს მღალატობს.

– ვაჰ, ბიჭო, ეს რა ბედნიერი დღე გამითენდა! ძმობას გეფიცები, დღეს დილიდან სასიხარულოდ მითამაშებდა მარჯვენა მხარი, ვიცოდი, რალაცა გამიხარდებოდა, მაგრამ ამას კი ვერ წარმოვიდგენდი. ჩვენ აქ კაცნაკლულადა ვართ, სამნი ორი ათას სულ ცხვარზე. მპირდებოდა თავმჯდომარე, მოგაშველებთო, გამოვაგზავნი ვინმესო. ვერავინ გამოგზავნა. თუ თავისი ცხვარი არ ჰყავს, მწყემსობა არავის უნდა, ყველა გარბის. ეხლა კიდე ჯანდაბას, ასე თუ ისე ვწვდებით საქმეს, დოლში რას ვიზამთ სამი კაცი, ამაზე მიტრიალებდა მწარე ფიქრები, ოთხიც ცოტაა, ექვსი კაცი მაინც უნდა იყოს.

– დოლის დროს მე ვიქნები თქვენთან, ძმაო, გიორგი, და ნუ გეშინია, დიდი გამოცდილება მაქვს. მე და მამაჩემი ორნი ავუდიოდით ათას სულ ცხვარს.

გიორგიმ ხელში შერჩენილი მწვადი მათლაფაზე დააგდო, წამოვარდა და ისმაილს გადაეხვია.

– არ გამაგიჟო, არ გამაგიჟო, ისმაილ, ეს რა საოცრება ხდება ჩემს თავს.

ისმაილი დაჯდა, გიორგიმ კი დანა ამოიძრო ქარქაშიდან და მწვადის ჩანათალი თეფშზე დაყარა, მერე კარადიდან არაყიანი ბოთლი და ჭიქები მოიტანა, შეავსო და დაილოცა:

– ღმერთო და ჩვენი მთის სალოცავებო, რჯულიან-ურჯულოთა ანგელოზებო, დიდებულნო და გამარჯვებულნო, თქვენ შეენიენით ჩვენს ძმობას! – მოიყუდა და უცებ გადაჰკრა.

ისმაილმაც აიღო ჭიქა – არ ვსვამ, უფრო არაყს გაეურბივარ, მაგრამ ამ შემთხვევაში შხამსაც დაუფიქრებლად დავლეე – ჩვენს ძმობას გაუმარჯოს! – მოიყუდა და გამოცალა, მერე ცვარგამოჟონილი მწვადი აიღო, მაღიანად ჩაკბიჩა და წაილულულა: აი, მწვადიო და გააგრძელა:

– გიორგი, ლაპარაკი რომ ლაპარაკად არ დარჩეს, მინდა ხელშეკრულება გავაფორმო თქვენს თავმჯდომარესთან. თქვენი თავმჯდომარე როცა მოვა აქ, უთხარი ყველაფერი, დამირეკეთ და იმავე წუთს აქ გავჩნდები. ტელეფონს დაგიტოვებ.

კიდეც თითო-ორი დღიეც გიორგიმ და ისმაილმა თავის გუნება-განწყობილების კარნახით, კიდეც ისაუბრეს და ამასობაში ცხვრის ფარაც მოჩქამდა.

გიორგიმ გასძახა თავის ძმა ნოდარსა და ბიძაშვილ არსენას, აქ მოდიოთ. ისმაილი გააცნო, უთხრა ისიც,

ჩვენთან უნდა მწყემსობაო, მერე ნოდარს დაავალა, ჩემი რქადაგრეხილი გამოიყვანეო, ფეხები გაუბეს, საბარგულში ჩაუსვეს და დიდი ხვევნა-კოცნით გაისტუმრეს.

* * *

მეორე დღესაც ვერ მოაღწია კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გიორგის ბინამდე, სხვა ბინების ჩამოვლა გაგრძელებოდათ. მესამე დღეს მოადრებით მოვიდნენ, თან დუშეთის აღმასკომის თავმჯდომარე გოგი ნიკლაური ახლდათ, არხოტიონი ხევსური. ბინაზე მესამე დღესაც ისევ გიორგი იყო, როგორც სარქალი, ის უნდა დახვედროდა უფროსებს, თან პურიც აქ უნდა ეჭამათ. გიორგიმ მოკლედ აუხსნა მათ ისმაილის ამბავი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ადამ ქავთარაძე შეეჭვდა, ასეთი განთქმული კაცი, ასეთი მდიდარი, მწყემსად რატომ მოდისო. გოგი ნიკლაურმა დაამშვიდა, მე მაგის მამაზე და თავად ისმაილზეც ბევრი რამ კარგი მსმენია, თაღლითობას არ იკადრებსო.

– გენდობითო, – დათანხმდა ადამი და აღმასკომის მანქანის ტელეფონით გამოუძახეს ისმაილს.

პურის ჭამა არა ჰქონდათ მომთავრებული, ისმაილი უცებ მოსრიალდა, სიხარულით გააფორმეს ოქმი. ისმაილი მეცხვარეობას პირველი ნოემბრიდან უნდა შესდგომოდა და ისიც სრულ მზადყოფნაში გამოცხადდა გიორგის განკარგულებაში. მდიდრული ლოგინი კი არ მოიტანა, არამედ ლეიბ-საბანი, რომელზეც მწყემსებს ტანგაუხდელად სძინავთ. მოიტანა თავისი ოპტიკიანი შაშხანა, მოიტანა კონსერვები და ძეხვები, ასევე მოიტანა ერთი ბიდონი თაფლი ავადობისა და სიცოცხლის გასაფრთხოვად.

ბიჭებს, როგორც მთიულებს, როგორც უიარაღობით მგლებისაგან შენუხებულებს, როგორც საიგებზე ნადირობის მოსურნეებს, ოპტიკიანი შაშხანის დანახვა უფრო გაუხარდათ. ამ აკრძალული თოფის დანახვით კიდევ უფრო დარწმუნდნენ გუდამაყრელნი, რომ მართლაც დიდ ვაჟკაცთან ჰქონდათ საქმე. საიგები თითქმის ყოველდღე ჩნდებოდნენ ფარის სიახლოვეს, ამიტომ პირველ გასვლაზე სამივენი გაჰყვნენ ფარას, უნდოდათ ისმაილის ნადირობა ენახათ. თითქოს ჯობრზეო, საიგები არსად ჩანდნენ. ინერვიულეს კიდეც, ვილაც მოტოციკლიანმა მონადირეებმა ხომ არ გადააფრთხესო. არა, მოგვიანებით მაინც გამოჩნდნენ სადღაც 600-700 მეტრის იქით. მიეპარეო, ურჩევდნენ ბიჭები. საჯიხვეებში გამოცდილმა ისმაილმა მიპარვა არ ჩათვალა საჭიროდ, წამოუწვა, იდაყვები დაუბჯინა თოფს და ესროლა. საიგა ადგილზე დაეცა. სხვები ოდნავ შეფრთხნენ და იქვე გაჩერდნენ. მეორე ვაცი ამოიღო მიზანში ისმაილმა. მეორეც ადგილზე დარჩა. მერე ღრიანცელით გაცვივდნენ ბიჭები, არცე უნდა ჩვენი საძოვრებიდან გავაფრთხოთო. თითო საიგა მოკიდებული მოიტანეს და ასევე წაიღეს ბინაზე გასატყავებლად და ღია ფარდულში დასაკიდებლად. ეს ორი კვირის საკვები იყო და მეტისაც. ისმაილმა დაამშვიდა, ამ ზამთარს ცხვრების დაკვლა აღარ დაგჭირდებათო. სამწვადე ხორცი არ მოჰკლებიათ, მათ ძაღლებს კი – ხორციანი ძვლები. მათი მწყემსური

ცხოვრებაც გადაახალისა ისმაილმა. საიგების გარდა, მგლები თუ სადმე გამოჩნდნენ, იმათაც ბოლო მოუღო. გახალისება კი, მაგრამ მწყემსი ცხვართან როცა მარტოა, მაშინაც არ არის მონყენილი, ყველა მწყემსი ვაჟკაცია, ვაჟკაცისთვის კი რაც უფრო აუტანელია გასაჭირი, მით უფრო სიამოვნების მომტანია. მწყემსი ხვავიანი და ბარაქიანი ზაფხულის იმედით არაფრად აგდებს არც მარტოობას და არც თოვლსა და ქარბუქს. როგორც მევენახეს არა ბეზრდება ფუს-ფუსი გაზაფხულიდან შემოდგომამდე, ისე მეცხვარეს არა ბეზრდება ცხვართან ყოფნა. მეცხვარის რთველი ზაფხულია, როცა ორჯერ გაპარსავს ცხვარს, ორჯერ მიიღებს ნაპარსს, მიიღებს ნაწველსა და ნამატს, თუნდაც სამას სულ ცხვარზე ეს ისეთი შემოსავალია, რომ ერთს კი არა, ათ ოჯახს შეინახავს. ცხვრის მეპატრონენი ასეთ რამეს ჰყვებიან: ცხვარი შევიდა ღარიბის ოჯახში და სიღარიბეს ფეხები დაუბაკუნა – აბა, აქედან გადიო. სიღარიბე შეეხვეწა – ერთ კუთხეში მაინც გამაჩერეო. არა, ოთხივე კუთხე მე მჭირდებაო: ერთში მატყლი უნდა დავაწყო, მეორეში – ყველი, მესამეში ბატკანი უნდა დავაყენო, მეოთხეში თავად უნდა დავდგეო. მწყემსის ყველაზე დიდი გასაჭირი დოლია, თებერვლის თვე, როცა ბატკნები იბადებიან. და ის დროც მალე მოვიდა. გაჩნდნენ ბიჭა ბატკნები. გუდამაყრელებს აინტერესებდათ, რას იზამდა ქისტი, ეგონათ, ლუმელს ვერ მოსცილდებო, თავს გაუფრთხილდებო. მათდა გასაოცრად, ისმაილი მათთვის უჩვეულო სისწრაფით მირბი-მორბოდა, ახალდაბადებულ ბატკანს ცხვირ-პირიდან ლოპრს ერთი ხელის მოსმით აცლიდა, მერე ხის გრძელ დანას დაუსვამდა ტანზე, ლოპრს გააცლიდა და დედასთან ერთად მიარბენინებდა კორაკანაში. იქ შეკეტავდა დედა-შვილს, რათა ცხვარს ბოლომდე გაელოკა ბატკანი და მერე ძუძუც მოეწოვებინა, მისი სუნი დაემასხოვრებინა. ბიჭებიც იმავეს აკეთებდნენ, მაგრამ გაყინულ ხელებს ვერაფერს შეელოდნენ.

– გადაყარეთ ეგ სველი ჩვრები! – გასძახა ისმაილმა, – და ხელები დედა ცხვარზე შეიმშრალეთ.

მათთვის ეს აღმოჩენა იყო და გაუჟკირდათ კიდეც, რატომ აქამდე თავად ვერ მოვისაზრეთო. დროდადრო შეუძახებდა ისმაილი: არ გასტყდათ, არხოტიონნო, გატყნით რა იქნებისა! და ბიჭებმაც სისწრაფეში დაიწყეს გათბობა. რაკი ბატკანი მუდმივად მოდიოდა და ყურადღების მოკლება არ შეიძლებოდა, გადაწყვიტეს ორ-ორს ორ-ორი საათი ემორიგევა, დროდადრო გამთბარიყვნენ და თვალიც მოეტყუებინათ. ასე მართლა გამირული შრომით გაატარეს მთელი ერთი თვე. ბოლოს გაირკვა შემონმებაზე ჩამოვლილი უფროსობისგან, რომ გიორგის ბინას უდანაკარგოდ ჩაეტარებინა დოლი. ამის გამო ისინი გამარჯვებულად გამოაცხადეს და პრემიაზეც წარადგინეს. გამოჩნდნენ ჟურნალისტები, მათ შესახებ ინერებოდა და გადაიკცმოდა თურმე მთელ საქართველოში. უნდოდათ, წაეყვანათ და საზეიმოდ გადაეცათ ჯილდოები, მაგრამ უარი თქვეს – ცხვარს ერთი დღითაც ვერ მივატოვებთო, ჩვენ ეგენი არ გვანტერესებსო. ისმაილმაც მტკიცე უარი განაცხადა – მე აპრილის პირველი რიცხვებიდან ლილღოს

ჩემს ფუტკარს უნდა მივხედო და ოქტომბრის ბოლომდე თავის მოსაფხანადაც არ მეცლებო. ისმაილი გიორგის შეჰპირდა, მომავალ ზამთარშიც მე თქვენთან ვიქნებიო.

* * *

გაიარა ზაფხულმა, გუდამაყრელებმა გუდამაყარში მიიღეს ბარაქა; ისმაილმა ლილლოში მიიღო ასევე უხვი ღალა და მოვიდა სექტემბრის ბოლო, როცა ცხვრის ფარები საყიზლაროდ ემზადებოდნენ. პირობის თანახმად, სწორედ ამ დროისათვის ელოდა ისმაილს გუდამაყარში გიორგი. მას უნდა მიეღო აქ მაქართის კოლმეურნეობის გამგეობაში თავისი ჯამაგირი და პრემია და განეახლებინა მომავალი ზამთრის ხელშეკრულება. გიორგის გაფრთხილებული ჰყავდა გამგეობის ხალხი, ისმაილი გადმოვაო, თავისი და, თამროც, გააფრთხილა, სუფრის თადარიგი დაიჭირო. თვითონ კი ფშარაოს წავიდა ბიჭებთან ერთად ფარის ჩამოსარეკად. თამრო ორი ძმის საფიცარი და იყო, საოცარი გარეგნობის, მაღალი, ცისფერთვალეზა, ქერათმიანი, გათხოვება თითქმის დაგვიანებულიც ჰქონდა უკვე, 27 თუ 28 წლის იყო. მოხოვნილიც ბევრი ჰყავდა, მაგრამ არავის იკარებდა, მაქართის ახლადამენეულ სახლში მარტო იყო, მშობლები, ჯერ ისევ ჯან-ლონით სავსენი, ძველ სოფელში იყვნენ მაღლა, ალისურთაში, საქონელი იქა ჰყავდათ და სახნავ-სათესებიც იქა ჰქონდათ. თამრო სამსახურის გამო იყო აქ, კიტოხის საბჭოში მუშაობდა და ყოველდღე იქ მიდიოდა და მოდიოდა. იმ დღეს, როცა ისმაილი უნდა გამოჩენილიყო, სამსახურში აღარ წასულა, გაღმა, გამგეობისკენ ეჭირა თვალი, როდის გამოჩნდებოდა თეთრი ვოლგა, ხაჭაპურები უკვე გამოაცხო, ერბოში ამობანილი, ერთურთზე დააღაგა, ხინკლის ცომიც მოზელილი ჰქონდა და ეხლა ხინკლის გულს ამზადებდა. და უცებ დაინახა, თეთრი ვოლგა როგორ გაჩერდა გამგეობასთან. გული უცნაურად შეუხტა, ისმაილზე იმდენი საოცარი რამე უამბეს ძმებმა, ისე დაუხასიათეს, რომ თამროს თითქოს დაუსწრებლად უყვარდა კიდეც. თეთრი ვოლგის გამოჩენასაც თეთრი რაშვიტ ელოდა. ძმების ნაამბოზი და თამროს ნაოცნებარი საოცრად დაემთხვა ერთმანეთს. მის წარმოდგენაში მოსაწონარი ნამდვილი ვაჟკაცი მწყემსი უნდა ყოფილიყო და არა საცოდავ სამსახურში მობლუნძული, სიგარეტის მწველი ტიპი. დიდხანს არ გაგრძელებულა ისმაილის გამგეობაში ყოფნა. გამოჰყვნენ გარეთ, გამოაცილეს, გიორგის სახლი დაანახვეს და ისმაილიც დაუყვა ხიდისაკენ მიმავალ გზას. თამრომ ჩათვალა, რომ ისმაილი მანქანას არაგვთან გააჩერებდა, სხვა მსუბუქი მანქანების მსგავსად, მაგრამ არა, ხევზე ჩანმენდილ ქვიან გზას შემოაყოლა და ნელ-ნელა მოინეჭა. თამრომ ჭიშკარი გააღო და ეზოში დაელოდა. ისმაილმა მანქანა ლოდებზე ახოხილა, თავამდე ამოვიდა და ეზოში შემოვარდა, მანქანიდან გადმოვიდა და იქვე შორიახლო მდგარ თამროს მიაშურა.

– თამრო თქვენა ხართ? – ჰკითხა და ხელი მაგრად ჩამოართვა, დონდლოდ კი არა, ხელის მოჭერით. იგრძნო თამრომ, ეს მართლაც სხვა მამაკაცი იყო.

– კი, მე გახლავართ თამრო, – და თავისდაუნებურად წამოწილდა.

– გიორგი-ჟორა არ არის შინ? მითხრეს, ცხვრის ჩამოსარეკად წავიდაო.

– კი, ცხვარი უნდა ჩამორეკონ დღეს. ხვალ ყიზლარისკენ ემზადებიან... თქვენზე მითხრა, დამელოდოს, არ წავიდესო... შინ წამობრძანდით.

– სამსახურში არ წახვედით?

– არა, რაკი თქვენ გელოდებოდით, როგორ წავიდოდი. აქ ჩემ მეტი არავინ არის.

ისმაილმა უკვე აღარ იცოდა, რა ეთქვა, თითქოს ენა დაებო. გიორგისაგან კი იცოდა, რომ ლამაზი და ჰყავდა, საფიცარი, რომ მსგავსი გოგო არათუ გუდამაყარში, არც სხვაგან სადმე ეგულებოდა. თვითონაც ფიქრობდა ბევრს, თავისთვის გეგმებს აწყობდა, მაგრამ ნანახმა მართლაც უცებ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მით უმეტეს, მამისაგან ანდერძად ისაც ჰქონდა დატოვებული, ეცადე, ცოლად ქართველი ქალი მოიყვანო, ჩვენი ქალებიც არ არიან ურიგონი, არც ჩერქეზის ქალები, მაგრამ ქართველები გარეგნობითაც და ჭკუა-გონებითაც, ერთგულებითაც ყველას აღემატებიანო.

ისმაილმა წიგნების თაროს თვალიერება დაიწყო.

– რა ბევრი წიგნი გქონიათ! როგორ მიყვარს უცხო ოჯახში რომ შევალ და წიგნებს დავინახავ. მაშინვე კარგი შთაბეჭდილება მექმნება. მეც ბევრი წიგნი მაქვს, ბევრსა ვკითხულობ. გაბრიელ ჯაბუშაძის ხომ გაგიგია?

– კი, როგორ არა.

– ჰოდა, გადასახლებიდან რომ დავბრუნდით, ისა ცხოვრობდა ჩვენთან. გაბრიელი ქართულ წერა-კითხვას მასწავლიდა, მაკითხებდა თავის წიგნებს; ყაზბეგი, ვაჟა, თავად გაბრიელი ხომ ჩვენი მწერლებიც არიან.

– ეს რა წიგნს კითხულობ? – თამროს ლოგინზე გადაშლილ წიგნს მიაქცია ყურადღება.

– ყაზბეგია. ყაზბეგი მიყვარს ძალიან.

– „მამის მკვლელს“ ხომ არა კითხულობ? – ღიმილით შემოჰხედა ისმაილმა.

– საიდან მიხვდი? – გაოცდა თამრო.

– გულთმისანი ვარ. რუსულ წიგნებსაც კითხულობ?

– კი, ჩვენ ყველანი, მამაჩემიც.

– რუსებიდან ვინ მოგწონს?

– რუსებიდან ყველაზე მეტად მომწონს ლევ ტოლსტოის მოთხრობები, ვიქტორ ასტაფიევი, ჩინგიზ აიტმატოვი. ეს ჩინგიზი ყირგიზია, მაგრამ რუსულად წერს. ჩემი აზრით, ყველას სჯობია.

– ჩემს გულში ლაპარაკობ, მართალი ხარ. ლიტერატურა მართლა კარგი აქვთ რატომღაც.

– დაბრძანდით მაგიდასთან, მიირთვით, მოგივდებოდათ. მაგრამ იქნებ ხელი გინდათ გადაიბანოთ? – შესთავაზა თამრომ.

– კი, კი, აუცილებლად! – ესიამოვნა ისმაილს, რადგან ქისტები წყალს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ხელიც ქათქათა ტილოთი გაანმენდინა.

ისმაილმა პირველი ხაჭაპური ჩაკბინა და ეგემრიელა.

– რა თქმა უნდა, თქვენი გამომცხვარია, არა, თამრო? შენი ძმები სულ შენს მზეს ფიცულობენ და, ჩანს, არცთუ ტყუილად. მართლა საოცარი გოგო ყოფილხარ. მაპატიე ამ პირდაპირობისთვის, არ მიწყინო, მაგრამ, რომ არ გითხრა, არ შემოიძლია.

თამრო კიდევ წამოწითლდა და არაფერი უპასუხა.

– ერთი რამე მინდა გკითხო და არც ეს მიწყინო. ჩვენ, მთიელი ხალხი, პირდაპირები ვართ და სათქმელს გული მკარნახობს. საქმრო გყავს? შეყვარებული? არავინა გთხოვლობს? ვერ დავიჯერებ.

– რა ვიცი, არიან ვილაცები, მე არავინ მომწონს. ჩემს ძმებზე ნაკლებ ვაჟკაცს ცოლად არ გავყვები.

– როგორ, სათხოვნელად არავინ ყოფილა?! – ჩაეკითხა ისმაილი, – ან პირადად შენთვის სიყვარული არავის აუხსნია?

– როგორ არა, არიან, ერთი ფასანაურელი მყავს გადაკიდებული, – გაეცინა, – ტურბაზაში მუშაობს. შეხედავ, გარეგნულად კაცსა ჰგავს, მშვენიერი ახალგაზრდაა, მაგრამ რუს ტურისტებში ისეა ათქვეფილი, იმას როგორ მივიკარებ. მეზიზღება. სამჯერ იყო, სამჯერვე უარი ვუთხარი. ეხლა დამუქრებული მყავს, მოგიტაცებო. იმან რომ მომიტაცოს, თავს არ ვიცოცხლებ. სამსახურში მიმოსვლისაც მეშინია, სადმე არ ჩამისაფრდეს მანქანით.

– თამრო, მე მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს არა ვარ ჩვეული, ამიტომ პირდაპირ გეტყვი: იმ ვილაცებმა რომ მოგიტაცონ, მეც არ ვიცოცხლებ თავს. გარდა ჩემი სურვილისა, მე მინდა, მამაჩემის ანდერძი ავასრულო – ცოლად ქართველი ქალი მოვიყვანო. შენ ამაზე რას იტყვი?

თამრო კიდევ უარესად წამოწითლდა, ვერაფერი თქვა, ამასობაში ხინკლიანი ქვაბი ადუღდა, დაბერილი ხინკლები მაღლა ამოცვივდა და, გუდამაყრული წესის თანახმად, ამოღებაც დაიწყო, ხინკლიანი ხონჩა წინ დაუდგა ისმაილს და ჭიქა არაყითაც შეუვსო.

– სასმელს არა ვსვამ, მაგრამ შენი ხელით დასხმულს შხამსაც შევსვამ.

თამრომ თეფში მოიტანა და მანაც გადმოიღო ხინკალი.

– თამრო, პასუხი არ გაგიცია. შენ რას ფიქრობ ჩემს ცოლობაზე?

– რა ვიცი!

– ე. ი. თანახმა ხარ?

ისმაილმა მისი ხელი ჩაბლუჯა და თვალებში მი-აშტერდა. თამრომაც თვალი გაუსწორა და ამ თანხმობის მზერამ ისმაილის გულში გაკვესა, მერე ღიტინის მაგვარმა სითბომ დაუარა მთელ სხეულში და ზეზე წამოაგდო. თამროც აჰყვა. ისმაილმა მკლავები შემოხვია, გულში ჩაიკრა და თავის დახრა დიდად არ დასჭირვებია. თამროს სახეც იქვე იყო. დაენაფა და აკოცა. მათთვის ეს იყო პირველი კოცნა. ამიტომ ნაჩქარევი და ნაპარავი, თითქოს ვილაცისაგან დანახვის ეშინიათო. მოკლე და უცაბედი იყო მათი კოცნა, მაგრამ გრძნობით სავსე, მხურვალე, იმდენად, რომ ორივენი ძლივს დაჰგანდნენ თავის სკამებს.

– ისმაილ, – ალულლულდა თამრო, – წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ ჩემს ქრისტიანობასა და შენს

მუსულმანობას რა ვუყოთ?

– მაგაზე მეც ვიფიქრე, მაგრამ არაფერია, ბოლო-ბოლო არც შენა ხარ ქრისტიანი და არც მე ვარ მუსულმანი, ჩვენ კავკასიელები ვართ, ოდესღაც ერთი სარწმუნოებისანი. ჩვენი წინაპრები სალოცავად მოდიოდნენ ფშავ-ხევსურეთის მთავარ სალოცავებში. დღეს მათ რჯულიან ურჯულოთა სალოცავებს ეძახიან. აი, შენ თვლი, რომ ქრისტიანი ხარ. შენ, შენი ძმები, შენი მეზობლები, ბიძაშვილები, რამდენჯერ ლოცულობთ დღეში?

– არც ერთხელ, – გაეცინა თამროს.

– ეკლესია გაქვთ გუდამაყარში, დადიხართ?

– არა.

– სამ წელიწადში ერთხელ დადიხართ თქვენს სალოცავში, არც ის არის მთლად ქრისტიანული, ისიც წარმართულია. ზოგი კი საერთოდ აღარ დადის. მე პირადადაც ჩვენს მუსულმანურ წესზე არა ვლოცულობ, აღარც მამაჩემი ლოცულობდა, არც ჩემი და-ძმები ლოცულობენ. ზოგი ჭირი მარგებელიაო. ურწმუნო რუსმა დაგვაგინა ღმერთი და ჩვენ თავადაც დავრწმუნდით, არავითარი ალაჰი არ არსებობს. ალაჰი რომ ყოფილიყო, ჩვენ რუსი ასეთ უბედურებას დაგვატეხდა თავს? გადასახლებაში გასაგზავნი ხალხი გამოყარეს სახლებიდან, შინ დარჩენილი ძუძუთა ბავშვები, მოხუცები, ავადმყოფები ხიშტებით ამოხოცეს, საჯინიბოებში შერეკეს და ცეცხლი წაუკიდეს. სად იყო ღმერთი? მე თქვენი ისტორიებიც ვიცი გაბრიელ ჯაბუშანურისაგან, როგორ უმოწყალოდ ჟლიტა თქვენი ხალხი რუსმა, როგორ ძარცვავდა და ანგრევდა ეკლესიებსა და ხატ-სალოცავებს. სად იყო ქრისტი? მოვეშვათ ამ თავის ტყუებას, საუკუნეების მანძილზე რომ გვახოცვინეს ერთმანეთი მუსულმანობისა და ქრისტიანობის საბაბით. ჩემი სალოცავი ერთადერთი ღმერთი დღეიდან იქნები შენ.

თამრო წამოდგა, მოეხვია ისმაილს და კოცნა გაუმეორა.

– როგორ კარგად ილაპარაკე, რა ჭკვიანი ყოფილხარ. მე ამ წუთებიდან შენი მორჩილი მეუღლე ვარ.

ახლა ისმაილი წამოიწია და აკოცა თამროს.

– აი, რას გეტყვი – ადექი ეხლა, აიღე შენი ბარგი, რაც გინდა წამოიღო, ჩაგისვამ მანქანაში და წავიდეთ ჩემ შინ. ჩვენ ისედაც ბევრი დრო გვაქვს დაკარგული და კიდევ გაჭიანურება არ არის საჭირო. ეს ჩვენი საქმეა და ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ. ბევრს ნურაფერს წამოიღებ, ჩემი მოსკოველი ბიძა, ნავთობის მაფიოზი, შეპირებულია, საქორწინო მოგზაურობაში პარიზში გაგიშვებო და იქ ვიყიდით ყველაფერს.

– პარიზში? – გაოცდა თამრო, – პარიზში ვინ გაგვიშვებს!

– კი, ჩვენ არავინ გაგვიშვებს, მაგრამ მოსკოვის კრიმინალურ-მაფიოზური მთავრობა ისე მიდი-მოდის ევროპის ქვეყნებში, როგორც შენ მიდი-მოდხარ კიტონში.

თამრომ ცოტა ხანს კიდევ იწვალა, თითქოს ვერ ბედავდა, თითქოს ვერ იჯერებდა, მაგრამ მერე შეუდგა თავისი ტანსაცმლისა და ნივთების ჩალაგებას. ყველაფერი რომ მოამზადა, დაჯდა მაგიდასთან

და მოკლე წერილი დაუტოვა თავის ძმებს: „ჩემო ძმა-ნო და დედ-მამანო, ისმაილს მივყევარ და მივყვები. მაპატიეთ. თამრო“.

ბარგი ისმაილმა გაიტანა, ჩადო საბარგულში, თამრომ კარი გამოკეტა, ჩაუჯდა მანქანაში და გაუდგნენ საქისტეთო გზას.

* * *

ისმაილმა გამოაცხადა, ქართული ქორწილი უნდა გადავიხადო და სამზადისაც შეუდგნენ. როგორც თამროსთან ერთად გაიანგარიშა, გუდამაყრელთა ცხვრის ფარები იშორამდე ორი კვირის თავზე მოაღწევდნენ. ესეც თამროსთან ერთად ჩაიფიქრა, რომ მისი ძმები ქორწილის პირველ დღეს აღმოჩენილიყვნენ იშორაში. სამზადისი პირველი დღეებიდანვე დაიწყო. ღვინო საქართველოდან, ახმეტიდან მოატანინა პანკისელი ქისტების დახმარებითა და დაპატიჟებით. გადანყვიტეს, სუფრებიც ქართულად ყოფილიყო დახვავებული. საამისოდ, მე შენ გეტყვი და, ფული არა ჰქონდა თუ რა. სახორცედ ხარი და-კლა და სამი ცხვარიც დაუსართა. მედოლგარმონეები და მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდი გროზნოდან დაიპატიჟა, მაღალი საზოგადოებაც იმდროინდელი ჩეჩენ-ინგუშეთის დედაქალაქ გროზნოდან მოიწვია. დანარჩენები ნათესავები, მეგობრები და მეზობლები იქნებოდნენ. ქორწილი ქართულად უნდა სამი დღე გაგრძელდესო, შაბათს დაიწყებო, კვირას გაგრძელდებო, ორშაბათს ქალის მაყრების გასასტუმრებელი ხინკალი მოიხარშებო.

საოცრად დაემთხვა დღეები ისმაილის ჩანაფიქრს, მზვერავებმა მოუტანეს ამბავი, გიორგი-ჟორა თავისი ცხვრის ფარით ზუსტად შაბათს შუადღის ხანს მოაღწევს ჩვენამდეო. და ასეც მოხდა. დაიწყო ქორწილი და გიორგი-ჟორას ფარაც მოადგა სოფელს.

ბიძაშვილები გამოეგებნენ, უთხრეს, ცხვრის ფარას ისმაილის ყორულში შევრეკავთ, თქვენ კი ქორწილში უნდა შემობრძანდეთო.

– როგორ, ჩვენ არაფერს შეგვეკითხნენ, არაფრად ჩაგვაგდეს, მე მაგათ ქორწილში შემოვალ?! – იყვირა გიორგი-ჟორამ, თან ღია ჭიშკრისაკენ მიდიოდა და მიჰყვებოდნენ მოპატიჟენი. როგორც შევიდა ეზოში, იძრო ტეტე და ორჯერ ისროლა ზედიზედ, – ისმაილი სად არის, გამოვიდეს, უნდა მოვკლაო!

– ისმაილს არავინ მოგაკვლევინებს, ცოტა ფრთხილად! – ჩაულაპარაკეს ისმაილის ბიძაშვილებმა და თან ყველამ თავ-თავისი იარაღი მოსინჯა. ეზოში ორ რიგად განწყობილ სუფრებთან მსხდომი ხალხი, მაღლა შუშაბანდში მაღალი საზოგადოება, შეტრიალდნენ.

– ჩამოვიდეს ისმაილი, სად იმალება! ცოცხალს არ გაუშვებ. ეგ თუ ქისტი ისმაილია, მე გუდამაყრელი გიორგი ვარ! – მთელი ხმით ყვიროდა გიორგი-ჟორა. ასე შეარქვა მას ისმაილმა.

– შენი და ისმაილს ძალად არ წამოუყვანია, თავისი ნებით გამოჰყვა! – შეახსენა ვილაძამ.

– აუჰ, იმანაც დიდი შეურაცხყოფა მოგვაყენა. ჩემს დასაც მოვკლავ, არცერთს არ ვაცოცხლებ! – ყვიროდა გიორგი-ჟორა.

კიბის თავზე გამოჩნდა ისმაილი და აჩქარებული

დაეშვა კიბეზე. ვილაძებმა დააპირეს მისი ჩაყოლა, ისმაილი მიუბრუნდა და შეუძახა, არ ჩამომეყვითო. ისინიც შეჩერდნენ. ისმაილი ჩამოვიდა, პირდაპირ გიორგისთან მივიდა და მის შემბოჭველ ქისტებს უყვირა, გაუშვითო. გიორგის ტეტე ისევ ხელში ეჭირა. მთიელთა წესით, ხელიდან იარაღის წართმევა დიდი შეურაცხყოფაა, უნდა აიძულონ, შეინახოს იარაღი, ხანჯალი ქარქაშში ჩააგოს. გიორგის ხელი გაუშვეს და ხელიარაღიანი დატოვეს ისმაილის პირისპირ. ღმერთს ნუ ექნა, გიორგის ხუმრობა გაეგრძელე-ბინა და ტეტე მოედერებინა ისმაილისთვის, ეგრევე დაცხრილული დავარდებოდა ძირს. ეს იცოდა და ამიტომ იარაღი ხარ-ტყავის შიგნითა ჯიბეში ჩაიცურა უცებ, მერე მკლავები მაღლა აყარა და ასევე მთელი ხმით შესძახა – ვაჰ, შენ გენაცვალე, სიძე-ბატონო! – გადაეხვია და გადაკოცნა. ისმაილმა წელზე შემოჰხვია ხელი და მაღლა ავიდეთო, უთხრა. შუშაბანდში შესვლისას გიორგიმ მკლავები ისევ ჭერისკენ აყარა და შესძახა: ქორწილს გაუმარჯოს, ქორწილს, თქვენ გენაცვალეთ, მექორწილენო! დასცხო საცეკვაო დოლ-გარმონმა და გიორგიმ მთიულური ჩაგრიხა. ჩაეცეკვა ისმაილიც და ულამაზესი ქისტური ილეთებით აუბა მხარი. ცოტა ნაიცეკვეს, მერე კვლავ გადაეხვივნენ ერთმანეთს, გადაკოცნეს, მექორწილეებმაც ტაში გააძლიერეს. მოიხედა გორგიმ და იქვე ელოდებოდა თვალცრემლიანი თამრო. ახლა იმას გადაეხვია გიორგი და თვითონაც აცრემლებული ალულულდა: ყოჩაღ, ჩემო საფიცარო დაო. ისმაილსა და გიორგის წინ გაუძღვა თამრო, თავის ადგილზე დაჯდა, დაჯდა ისმაილიც და გვერდით მოისვა გიორგი. თამადამ, გროზნოში მაღალ თანამდებობაზე დანიშნულმა პანკისელმა ქისტმა, მათე ციხისელმა, ერთი სკამით გადაინაცვლა და ჯიხვის ყანში შეუვსო. გიორგიმ დიდი მჭევრმეტყველებით შეამკო თავისი და-სიძენი და ბოლომდე გამოცალა. ამ დროს ცხვარი გაუთიბავი ბალახით სავსე ყორულში შერეკეს და ერთი მაღლი ეს იყო, შიმშილისაგან დაოსებული, როგორ ხარბად მიეძალა საკვებს. ნოდარიც ქორწილში წამოიყვანეს, ცხვართან კი არსენა და ისმაილის ბიძაშვილები დარჩნენ, იმათაც ბლომად სასმელ-საჭმელი და ღვინო გადაუტანეს.

ფარებს დუშეთის მილიციის ერთი ეკიპაჟი მიაცილებდა, აუვლ-ჩაუვლიდნენ ხოლმე, რომ არავის გაეხედა ცხვრის მოტაცება. იმ დღესაც დილით ჩაუარეს გუდამაყრის ფარებს ალთა-ბალთამდე, მერე ამოუარეს, უცებ გიორგი მოისაკლისეს და მისი ფარა. ვერ გაიგეს, რა უნდა მომხდარიყო, ასე მოულოდნელად სად უნდა გამქრალიყო, ვერაფერი მოიფიქრეს, გარდა იმისა, რომ ბაჯიგანიდან დუშეთში დარეკეს „აღმასკომ“ გოგი ნიკლაურთან – ასეთი და ასეთი ამბავიაო. გოგიმაც, რა თქმა უნდა, ვერაფერი გაიგო, ერთი ის კი გაახსენდა, ომის შემდგომ პერიოდში რომ გაქრა ფარა, გაქრა მისი კვალიც, მწყემსები კი თავდაჭრილები იპოვეს. ისმაილზე იეჭვიანა, იმისი მოწყობილი ხომ არაფერიაო, ხომ არ შემოგვატყუა თავიო. მილიციელებს უთხრა, იშორაში ჩადით, ისმაილ ამხადოვი იკითხეთ და ის რას იტყვისო, ან სად არისო. მილიციელები ასეც მოიქცნენ, წამოვიდნენ

და ისმაილი იკითხეს. უთხრეს, ისმაილს ქორწილი აქვს, იქ მიდითო. მივიდნენ, ჭიშკართან გაჩერდნენ და ვილაცებს სთხოვეს, მიდით, დაუძახეთ, სერიოზული საქმეა, სასწრაფოდ უნდა ვნახოთო. ბოლოს, როგორც იქნა, ჩამოვიდა ისმაილი და ეკიპაჟის უფროსმა ჰკითხა, ხომ არაფერი იცით, სად გაქრა გიორგის ფარაო. მე გავაქრეო, უთხრა ისმაილმა. მილიციელები არ ელოდნენ ასეთ პასუხს, ეგონათ, დამალავდა, იტყოდა, არაფერი ვიციო. ამიტომ სახე მოელრიცათ და თვალები დაუელმდათ. ისმაილმა აღარ აწვალა და პირდაპირ უთხრა, გიორგი ეხლა ჩემი ცოლისძმაა, აქ არის ქორწილში და ცხვარიც მე მყავს დაბინავებული, ნუ გეშინიათ, ცხვრის ერთი ბენვიც არ დაიკარგება, ეხლა კი თქვენც უნდა ცოტა ხნით სუფრასთან წამობრძანდეთ და გიორგის თვითონ დაელაპარაკეთო. მილიციელებმა იუარეს, მაგრამ მშვიდრები იყვნენ და ცოტა ხნით დათანხმდნენ. თითო დალიეს ორ-ორი და მერე დაავიწყდათ სამსახური, ამ დროს კი დუშეთში აღმასკომი ელოდა პასუხს, გაქრნენ მილიციელებიც. გოგი წიკლაურმა ითმინა, ითმინა და მერე ვალდებულიად ჩათვალა თავი, რაიკომის მდივნისთვის ეცნობებინა. იმან, თავის მხრივ, რაკი საქმე გაუჩნდა, თბილისში დაურეკა პირველს, თქვენ დაგვეხმარეთ, უთქვენოდ ჩვენ ვერაფერს გავარკვევთო. უსაქმურად მჯდომმა შევარდნაძემაც უხმო ბიუროს წევრებს და გააცნო საქმის ვითარება, თანაც აუხსნა, ამხანაგებო, ეს საქმე სახუმარო არ არის, თქვენ არ იცნობთ ქისტებს, ეგენი ყველანი ტერორისტები და ყაჩაღები არიან, მაგათი გადასახლებიდან დაბრუნება როგორ შეიძლებოდაო. ჯერ არ ვიცი, რა ხდება, მაგრამ, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, ცხვარი უკვე ნანილ-ნანილ არის გადამალული, მწყემსები და მილიციელები კი დახოცილები არიან და ბიუროსთან ერთად მიიღო „ერთადერთი სწორი“ და ბრძნული გადანყევტილება, სასწრაფოდ გაეგზავნათ ვერტმფრენი, დარეკა აეროპორტში უფროსთან და უბრძანა, სასწრაფოდ გაგზავნეთ ვერტმფრენი, ეგება ცხვარი როგორმე აღმოაჩინონო. იქიდან რა უპასუხეს, არავინ იცის, აქედან კი შევარდნაძე გაცხარდა, არავითარი ხვალ, დღესვე, სანამ ჯერ კიდევ დღეა, ვერტმფრენი გაუშვითო. იმათაც როგორღაც გაუშვეს ვერტმფრენი, რომელსაც თვითმფრინავის ხელოსანი მაზუთიანი რუსი მართავდა. როგორც კი ჩაუფრინეს იმორას, ყორულში შეყრილი ცხვარი დაინახეს. აი, სად შეურეკიათ ქურდებსო. იმორას შორიასხლოს დაეშვენ და გამოძიებლები სოფელში შევიდნენ. მათაც პირველივე შემხვედრმა უთხრა, ყორული ისმაილისაა, იმან შერეკა ის ფარა იქ და დანარჩენი მიდით და თვითონ ჰკითხეთ, ქორწილი აქვსო. მივიდნენ გამოძიებლები, მათაც გამოიძახეს ისმაილი და მიიღეს იგივე პასუხი, ეგ ფარა მე შევრეკე იქ, ჩემი ყორულიაო. გამოძიებლებსაც მოებრცათ სახე, მოკლედ, ისინიც აიძულა ისმაილმა, ცოტა ხანს შესულიყვნენ სუფრასთან, მათაც „გაჰკიდა ხელი სასმელმა“ და ამასობაში დალამდა კიდევ. ვერტმფრენის დაღლილმა მფრინავმა რაცია გამორთო და დაიძინა. გაქრა ვერტმფრენი და მისი ეკიპაჟი. გაცოფდა შევარდნაძე, დაუკავშირდა გოგი წიკლაურს, ეკითხებოდა რაღაცებს და თან

უმტკიცებდა, დამნაშავეები თქვენა ხართო. ყველას მოხსნითა და პასუხისგებაში მიცემით ემუქრებოდა. მეორე დღით ადრე გადმოუფრინა კავკასიონს დაკარგულმა ვერტმფრენმა და გადმოიტანა ამბავი, რითაც უცებ ცივი წყალი გადაასხა ადულებულ ხელმძღვანელობას და ყველაფერი თავისი გზით წავიდა. შევარდნაძე მოსკოვში აპირებდა დარეკვას დახმარების სათხოვნელად. ძალზე უკმაყოფილო დარჩა, მისი ნააზრევი რომ არ გამართლდა. იმორაში კი გრძელდებოდა ქისტურ-ქართული ქორწილი. მზის ამოსვლის ხანს განახლდა სუფრები და ეზოში წინა დღის თამადა, ხასო, ადგილზე იყო. ამ დროს კავკასიონზე ჩახჩახა მზე გადმოდგა და ღამენათევ მენახეთ თბილად მოელამუნა. პანკისელმა ქისტმა, ხასომ, ქისტებში საუკეთესო ქისტმა და ქართველებში საუკეთესო ქართველმა, პირველი სადღეგრძელო თავისებურად ჩაიფიქრა:

– ხალხნო, მზეს შეხედეთ, ჩვენს ხილულ ღმერთს, როგორი გაცივებული და როგორი ნასიამოვნებია, ჩვენი ნეფე-დედუფლის ბედნიერებით გახარებულია, ქისტებისა და ქართველების უხსოვარი დროიდან ძმობის გამშუქებულია. მზე იყო ჩვენი ძველთ-უძველესი წინაპრების საერთო, ხილული ღმერთი. მისი ნამოქმედარი სიკეთეც ხილულია, ლალია; უხილავი, იდუმალი კი ბნელია, დამშიშავია, დამთრგუნველია.

შემდეგში კი, როცა ცალ-ცალკე მოგვახვიეს ხალხთა დასამონებელი რელიგიები, ერთუთის მტრებად გვაქციეს. ვიქეცით რჯულიან-ურჯულოებად, ძაღლის ჯიშისებად და გიაურებად და სიბნელემ მოიცვა ჩვენი კავკასია. მზის შემოქმედება კი, რომელსაც თავისი თვალთ ხედავდა ყოველი ადამიანი, უხილავ ძალას, ღმერთს მიაწერეს, მისგან შექმნილად მიიჩნიეს – ბუნება, თავისი მცენარეებით, ფრინველები, ცხოველები, თვით ადამიანი. დღე-ღამეც ხომ მზის ბრუნვაზეა დამოკიდებული.

ადამიანებს კი რით ურევდნენ გონებას და რას ჩასჩინებენ დღესაც, ბოროტება სიკეთედ სალდება, სიკეთე – ბოროტებად.

ადამიანებს ველარ გაურჩევიათ, ვინ მტერია და ვინ – მოყვარე. მტერი მოყვარედ სალდება, მოყვარე – მტრად. ასეა მისული ქვეყანა დალუპვის პირას და ეს ბოროტება გაგრძელდება მანამდე, სანამ კავკასიონი არ დაეუბრუნდებით ძველისძველ, ჭეშმარიტ ღმერთს და არ აღვადგენთ კავკასიურ სახლს, რომელიც თავზე ჩამოგვანგრის. ჩვენ, ჩვენდა საუბედუროდ, დაგვაკარგვინეს მისამართი. ერთადერთი, ჯიუტმა ფხიებმა არ უღალატეს უძველეს ტრადიციას და დღესაც მათი ხევისბერი თუ ხუცესი „დიდებას“ ასე იწყებს: „დიდება მზესა, მაღლი მზესა, მზესა მზის მყოლ ანგელოზთა...“ მოდი, ჩვენც ფეხზე ადგომით ვადიდოთ მზე, მისი ძალა და მაღლი შეენიოს ჩვენს ნეფე-დედუფალს, ჩვენს „ახალყოილთ“. და აგრიალდა ქორწილი... ეს ნიშანი იყო კავკასიელთა გონთმოსვლისა.

აქეთ გუდამაყარი და ქედგადაღმა ღიღლო, ხურჯინით იყვნენ გადაკიდებულნი. ეს ხურჯინი სავსე იყო კავკასიის სამკაულებით, ისეთებით, როგორიც იყო: მაღალი ზნეობა, ძმადნაფიცობა, ძუძუმტეობა,

მორდუობა, ამანათობა, მესისხლეობა, მოყვრობა, კაიყმობა და სხვა მრავალი.

ეს ხურჯინი ბნელი სარდაფიდან გამოიტანეს

ჩვენმა „ახალყოილებმა“ და ამით იქნებ სათავე დაუდონ მთიელთა წაღმართს...



ეკა ჯავახიშვილი

შეხვედრა

ის იყო გამოველ ლეშხიდან,
დავრახმე თვალები მსტოვრები,
შემხედა ველური ეშხით და
გულზე არ დამადო ტორები?
ავინვი ყაყაჩოს ალმურით
შემცბარი უცაბედ ამ ხედით,
წამწამთა ტევრიდან ამური
მიმზერდა საყვარლად თავხედი.
იმ ჭკვაზე ვიყავი, უარი
რომ მეთქვა? ჰაი, რომ არა და...
ავხადე სიგიჟეს ვუალი
დილამდე ვუკითხე ბალადა.
აცეკვდენენ თვალებში ჭინკები
ძლეულნი ნაპერწკლით, ამ ციდიტ.
და როგორც დაცლილი ჭიქები
ნამიან ბალახზე დავცვივდით.

* * *

ბედთან ჩივილი მომიტანს არც რას,
დრო ან აჩალებს ან აქრობს კოცონს.
სანამდე ლექსთან გავდივარ ჯვარცმას
იქამდე უნდა იუდამ მკოცნოს!
უნდა უარმყოს მრავალმა პეტრემ,
დამცინონ, ლაფი შემომაყარონ,
ვთვლი გოლგოთამდე დარჩენილ მეტრებს,
welcome-პოეტი ქალის სამყარო.
ლალატის ქარი დაჰქრის უცხრები,
აჯილდოებენ ასს ოქროდ მხელელს,
თვალებზე მადგა ცრემლის კურცხლები,
ხვალ პილატე შიგ დაიბანს ხელებს.
„ახია, შენზე“ მეტყვიან მსჯავრზე
უმეცარნი და შურიტ მთვრალეები,
ჯერ დაუნერეულ ლექსების ჯვარზე
მიმაჭედებენ შენი თვალებით.

* * *

დარდი მაშინ გკლავს
დრო თუ გაქვს დარდის,

დრო კი ცხოვრების
ხარისხით ფასობს,
სიკვდილი ჩვენთან
ახლოში დადის
და დევის კბილებს
სანიშნედ ასობს.
წლებს ვაგროვებთ და
თან ვცხოვრობთ წუთით,
ვცლით წუთისოფლის
წამებს ცალებად,
საკუთარ თავებს
ვსწავლობთ და ვწურთნით
და მაინც ვრჩებით
გამოცანებად

* * *

...ალბათ ხელიდან
გავუსხლტი ბრმა წამს,
როგორც მარცვალი
შენყვეტილ ლოცვის,
მთელი ცხოვრება
ცრემლის ვგრეხ ბანარს
და უკვე ყულფი
კისერზე მკოცნის.
წვიმა ჰგავს მზეში
აღებულ ვერცხლებს,
სწორ გზაზე დადის
ლალატი მრუდე,
გაბზარულ სულის
კედლებზე მერცხლებს
წელს ჩამოშლილი
დაუხვდათ ბუდე.

* * *

ყაყაჩოების იწვის ველები
იწვის ანბანიც ჰოემდე ანი,
ჩვენ ვამბობთ – გვყავდა არაგველები,
ხვალ ჩვენზე რა თქვან, ვართ ვინ და რანი.
ვერ დაგიცავით, ვერც დაჭრილს გემტლეთ
და წყლად ვაქციეთ ზედაშის ღვინო,
ჩვენ ვამბობთ – გვყავდა მეფე დემეტრე,
ხვალ ჩვენზე რა თქვან, გვყავდაო ვინ-ო?
წახდეს ქვეყანა რა წახდეს ერი,
ქვეყნის გუთანში შევებათ ხარად!
ჩვენ ვამბობთ – გვყავდა თევდორე ბერი
ხვალ ჩვენზე ვინ თქვან, არ ვიცი, არა!
ბებერო ვაზო ცრემლები ღვარე
და დაინურე სისხლად მტევანო,
სხვა საქართველო იქნება ხვალე
უთამარო და უქეთევანო.

თუ მთებს დავკარგავთ, წავა ველებიც,
გალავანებში ჩავენყოთ ვით ქვა.
ჩვენ ვამბობთ დღეს, რომ ვართ ქართველები,
ღმერთმა ნუ ქნას და ხვალ აღარ ითქვას!

* * *

ვისთვის ვლოცულობ არ მაქვს ვერსია,
საკმეველ-გუნდრუკს ანდა სად ვაკმევ,
რით ვერ დავბადეთ ჩვენი მესია
ბაზალეთის ტბის ოქროს სააკვნედ.
ვერ ვუმკურნალეთ ნაჯიჯგნ და ნაკორტნს,
წევს მკლავმოჭრილი „კარგის ამგები“,
ჰგავს საქართველო ჩავარდნილ აკორდს,
თემურ ლენგივით კოჭლი ჰანგებით.
ფაფახს იგლეჯენ ქედები სიმწრით,
საით წასულხართ მთათა ნაირნო,
გაუმაძლარნი ქართული მიწით,
ბალახებივით გვძოვენ ვაი, რომ!
მთებო მოგვეცი ექო, ჩამო ბანს,
ერთ ბედსა ვჩივით ერთ ბედზე მწყრალნი
და თუმცა სისხლი სისხლს ვერ ჩამობანს
მტერს სხვისმა ლექსმა დაუსხას წყალი.


* * *

ეს რა ჩაიდინე ციციკორე,
რისთვის აამხედრე შარა-ყორე,
ვირზე სიყვარული შემოსვი და
სოფლის წყევლა-კრულვა ააყოლე.
შენ არ გყვარებია ციციკორე,
შენ არ გაგიღენავს კალო ვნების?!
ის რაც ციურია, არ ეხება
მაგას დედამიწის კანონები.
მის ძალს გაჰქცევია ვერც სრა მეფის,
მის ძალს გაექცევა ვერც ოდები,
მე იმ სიყვარულში განვმეორდი
და შენც დღემდის ხარ და
მეცოდები!

* * *

აფხაზეთებად ამოჭრილ ხორცებს,
გადატარებულ სხეულზე ერქვანს,
ჩვენ ის ბიჭები ამოგვიხოცეს
საქართველო რომ მომავლის ერქვა.
ძმობის ხიდები ქცეული ნაცრად
და ჩვენს მკერდამდე ტყვიების დრომი,
„ომობანობას“ თამაშის ნაცვლად,
ბავშვებმა ნახეს ნამდვილი ომი.
ქარის ამინდი, ცეცხლის ნათება,
სისხლი ვადინეთ ზეცაზე ირისს,
დაძარღვულია მავთულხლართებად
სხეული და შიგ ენგური ტირის.
არსად წასულა ჯერ ომის ელდა,
ჯერ სუნი ისმის გადამწვარი ტყის...
აღბათ მოვა დრო და მოყმის დედა
ვეფხვის დედასთან სამძიმარს იტყვის!

ნათალია ბაიბრიშვილი



ვერ დაგიჩემებ

ვერ დაგიჩემებ, სიყვარულო,
რადგან შენს გამო იმდენჯერ ვიჯიჯგნე, იმდენჯერ
დავინვი, იმდენი ცრემლი ვღვარე
კმარა, არ ყოფილხარ საჩემო
და გამეშვი.

ვერ დაგიჩემებ, სიბრძნევ,
ასეთი ეკლიანი რომ არ იყო შესაგროვებლად,
ასეთი მძიმე რომ არ იყო სატარებლად,
ასეთი მოუხელთებელი – ხელსაყრელად
კიდევ ხო.

ვერ დაგიჩემებ, ღიმილო,
ყოველ ჩემს ღიმილზე
იმდენჯერ დავისაჯე, იმდენჯერ მოვკვდი
იმდენჯერ დავიტანჯები, იმდენჯერ მოვკვდები
რომ დავიღალე.

ვერც შენ დაგიჩემებ, ბედნიერება,
შენი ულუფებისთვის ქაფქირი მარგუნეს
ამითაც კმაყოფილს, ეს ულუფები დამიყადაღეს
და დავრჩი ასე, გამოგონილი ბედნიერებით,
რომლისთვისაც მხოლოდ ჩემს თავს
ვემადლიერები აწი.

ვერ დაგიჩემებ ქალობავ,
იმდენჯერ მომაგლიჯეს ხორცი,
იმდენჯერ ამომგლიჯეს ჯიგარი,
იმდენჯერ წამართვეს სიკეკლუცე და სილაღე
ჩონჩხილა დავრჩი და ამ ჩონჩხს
ვერც ძუძუს მიახორცებ,
ვერც თეძოს და ჟუჟუნა თვალებს,
მხოლოდ შეგიძლია შემოსო, შებურო და დაახურო,
თუმცა მაინც ჩონჩხად დარჩება,
ჩონჩხად, სქესის გარკვევა მხოლოდ გენეტიკური
ანალიზით რომ მოხერხდება,
ასე რომ საჩემო არ ხარ და შევეშვათ ერთმანეთს.

ვერ დაგიჩემებ, სიცოცხლე,
ვერ დაგიჩემებ, რადგან არსებობიდან სიცოცხლემდე
დიდი მანძილია – რკინის ქალამნებით სასიარულო,
ჩემს ფეხებს, ჩემს ფეხებს ვერცერთი მოერგება,
ჩემი სხეული ვერცერთს ათრევს,
ისევ თავს ვათრევ უსასრულობისკენ
და მხოლოდ ჭინჭებით, ნაგავსაყრელის
ზიზილ-პიპილოებით

მოვრთავ აქა-იქ და ესეც კმარა;
შენ ჩემთვის არ გამოუგონიხარ გამჩენს.
მხოლოდ დედობის დაჩემებას ვეპოტინებოდი,
ამისთვის ვიბრძოდი, რაც თავი მახსოვს
და ესეც არ შემერგო,
ესეც არ დამცალდა და გამყვეს,
თუ ასე გსურდა,
ბარემ ორივ სამყაროს დედა იყავიო
და ახლა, როცა დედის ლოცვას ვამბობ,
ორად ვიყოფი:
გულიც ორგული გავხადე,
სინდისიც ორმაგად მქენჯნის,
როცა სიცოცხლე მიყვარს,
როცა ქალობაც მიყვარს,
როცა სიხარულიც მიყვარს,
როცა ღიმილიც მიყვარს,
როცა სიბრძნე და ბედნიერებაც მიყვარს
და რალაც უცნაური არითმეტიკით,
არაამქვეყნიური ძალით,
ათასმაგად მტკივა ჩემი ორგულობა.

სურვილი სურვილებად.
ყველაზე მეტად მაშინ გავბრაზდი,
მაშინ მომივიდა ჩემს თავზე გული,
როცა აღმოვაჩინე,
რომ ჩემი უფალი ისევ მიყვარს და
მასთან კვლავ მიმინევს გული,
მიუხედავად მიუხედავისა.

რა გადააგორებს ამ უშველებელ,
დაუსრულებელ დღეს, უფალო?!
შენ დამეხმარები,
ისევ შენ და შენი ანგელოზები
გამომაბამთ უხილავ ფრთებს და
ჩემი სურვილის მიუხედავად,
ჩემი ავადმყოფული წარმოსახვის
დაუდევრად გადაგორებული ქვის
საფლავის ქვად ქცევის ნაცვლად,
საჯილდაოდ მიქცევთ და ერთად ვიამაყებთ
„ჩვენ ეს შევძელით“!

2024

2024

ჩვენ ეს შევძელით

რა გაათენებს,
რა გადააგორებს ლოდივით მძიმე წამებს,
რა დაძრავს ტრავერტინებს?!
საცრემლეებთან
აღარც წვიმს,
აღარც თოვს,
ვერც მიტევების, განტევების თუ გაზავების
დადგა დარი.
წლობით შენახული
არ გამზეურებული თეთრეული
სახსრების ტევით განაწილდა –
ზოგი წყალში,
ზოგი სარეცხის თოკებზე...
და დანაშაულის დემონმა
უფრო ფართოდ გაშალა მხრები;
კუდიც მოიქნია და
ყველა გრძნობა მილენა და დაასახიჩრა,
გარდა ლალატისა.
უსუსური კნავილი, თავის სამართლებლად,
ჰაერში მიკრონაწილაკად დაიკარგა
და ყულფის მირაჟი უფრო მკვეთრი გახდა,
გააფერადა, გაალამაზა და ქვეშ ტაბურეტიც შეუდგა
საამო პატივით.

რა გადააგორებს ჩაკირქვულ მონოლითს.
ზმანებები რომ დასდევს სიგრძე-სიგანეზე?!
კაციშვილიც არაა პერიმეტრზე
კაცისა და მით უფრო ღვთისა.
მერამდენედ დამხვდა ეკლესია დაკეტილი?!
მერამდენედ შემეყინა ლოცვისა და სანთლის

არ დავწერ ლექსებს დედაზე

არ დავწერ ლექსებს დედაზე,
არა იმიტომ რომ უკვე ბევრი დაინერა, უკვე ბევრი
ითქვა, ან იმიტომ რომ ვერაფერს ვიტყვი ახალს.
არა!
უფრო იმიტომ რომ იმ დედების შემრცხვება, ვისაც
ვერასდროს მიუძღვნიან ლექსებს შვილები.

არ დავწერ ლექსებს სამშობლოზე!
ვის ვეფიცო? რას ვეფიცო?
როცა ჩემს სამშობლოში სახლის კიბეებზე ბალახი
ბატონდება,
მინდვრებში – მარმუჭი თუ ჭანგა, ქალაქში –
გადამთიელი.

არ დავწერ ლექსებს სიყვარულზე.
არაფერს ისე არ ვნებს სიტყვები,
როგორც სიყვარულს – ასე ვიცოდი და ასე მწამს
ახლა,
ალბათ ამიტომაც ის ავირჩიე მეწყვილედ,
ვისაც არასდროს არაფერი დასცდენია სიყვარულზე.

არ დავწერ ლექსებს-მეთქი, არც დედაზე,
არც სამშობლოზე, არც სიყვარულზე...
არამედ ავდგები, დილას ოჯახს საუზმეს
მოვუმზადებ,

მერე ნავალ სამსახურში, ვიმსახურებ....
სალამოს კი, სახლში წასვლამდე, ძლიერ ჩავეხუტები
ჩემს დედას და ვეტყვი, რომ ძალიან მჭირდება.
განა ამაზე დიდი პოეზია სხვა რა უნდა დავწერო?!
2024

თეა ირემაშვილი



ტყუპები და ნიჟილა

სკოლაში ზარი დაირეკა და ბავშვების ხმაურმა არე-მარე გამოაფხიზლა. ვანიკოს და ვახოს, ეზოში მშობლები ელოდებოდნენ. ბარგი ჩალაგებული ჰქონდათ და სოფლისკენ მიიჩქაროდნენ. ბიჭები კლასელებს სწრაფად დაემშვიდობნენ და სიხარულით გაიქცნენ დედ-მამისკენ. სოფელში წასვლა, მათთვის ოცნებების ასრულებას ჰგავდა. ერთი სული ჰქონდათ როდის ჩავიდოდნენ. გზა დიდხანს არ გაგრძელებულა. რამდენიმე საათში ოჯახი სოფელში ჩავიდა და სახლის დაღაგებას შეუდგა. თითქმის მიტოვებული შენობა მტვრით გავსებულიყო და მოუთმენლად ელოდა მზრუნველ პატრონს, მოსავლელად და ყურადღების მისაქცევად.

ძმები კაკლის ხის ქვეშ ჩამომსხდარიყვნენ და გეგმავდნენ, რას გააკეთებდნენ ზაფხულის განმავლობაში. წინ სამი თვე იყო, რომელიც მალე გაირბენდა, ამიტომ ბევრი საქმე ჰქონდათ მოსასწრები.

– ტყეში სოკოები მოვკრიფოთ, ჩვენს მოხუც მეზობელს დავეხმაროთ, წიგნები წავიკითხოთ და ბავშვებთან ერთად, ბევრი ვითამაშოთ. თანახმა ხარ? – ჰკითხა ვანომ ძმას და გვერდით მძინარე ყურშას, თავზე მიეფერა. ვახომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ყურშა, შარშან ზაფხულს ვახომ გადაარჩინა და შეიფარა. პატარა ლეკვი მინდორში დაკარგულიყო და შიშისგან კანკალებდა. ბავშვმა ხელში აიყვანა, მოეფერა, სახლში წაიყვანა და თბილი რძით გაუმასპინძლდა. მას შემდეგ, ძალი ოჯახის სრულფასოვანი წევრი გახდა და დასასავენებლადც მათთან ერთად დადიოდა. ბიჭების გარეშე, წუთის გატარება არ სურდა. დილით მოწყვნილი თვალებით აცილებდა სკოლაში, შუადღით მოუსვენრად ელოდა პატრონებს და მათი დანახვისთანავე, წკმუტუნს და ხტუნვას იწყებდა.

ძმები ერთმანეთზე განუწყვეტელი ზრუნავდნენ. მშობლების დახმარებას და მათი გულის გახარებას, კარგი ნიშნებით ცდლობდნენ და იცოდნენ, რომ სხვებისთვისაც, მისაბაძი მაგალითები უნდა ყოფილიყვნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, ორივე ისე

იქცეოდა, როგორც მათ ასაკს არ შეეფერებოდა და უცხო თვალსაც ეგონებოდა, რომ ზრდასრულები იყვნენ. მათი ერთადერთი სურვილი ადამიანების და ცხოველების დახმარება იყო.

ლაპარაკში გართული ბიჭების ყურადღება უცნაურმა ხმაურმა მიიპყრო. ყურშაც სახლის უკან ყეფით გაიქცა. ტყუპები მას გაჰყვნენ, თუმცა ვერაფერს ამჩნევდნენ. ძალი გაუჩერებლად იღრინებოდა და ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა. ძალიან მალე წივილიც გაისმა და სახლის სახურავიდან ჩიტის ბარტყი ჩამოვარდა. ვანო მასთან სწრაფად მივიდა, რომ ყურშას არ დაეზიანებინა, ხელში აიყვანა და გაუკვირდა. ასეთი ბარტყი არასდროს ენახა: ფრინველი შავი იყო, მერცხლის მსგავსი კუდი ჰქონდა, მაგრამ შედარებით მოკლე, განიერი ნისკარტი, ძლიერი ფრთები და გრძელი ბრჭყალები. შეშინებულმა ვანოს თითებს ბრჭყალები მოუჭირა და ფრთხილი დაინყო.

– გაუშვი, დაგკანრავს და საშიშია, – უთხრა ვახომ ძმას და ძალი ხელში აიყვანა, რომ ჩიტს, გაშვებისას უსაფრთხოდ გაფრენა შეძლებოდა.

– ვერ გავუშვებ, – ტკივილისგან სახე შეეცვალა ვანოს, – ფრთა აქვს მოტეხილი. ვუმკურნალოთ და მერე თვითონ გაფრინდება.

– დაშავდები! ხომ ხედავ ბრჭყალებმა თითები დაგინითლა და მალე გაგიჭრის კიდეც. ადამიანები უნდა მოვერიდოთ მათ, ვისაც ჩვენი დაზიანება შეუძლია. ეს სახიფათოა.

– ის ხომ ასეთი უმწეო და პატარაა. ეშინია და ისე მაზიანებს, ვერც ხვდება. თუ არ დავეხმარებით, მოკვდება; შემდეგ სიზმარში ვნახავ და მეც შემეშინდება. მოდი, ახლა ვუმკურნალოთ, გადავარჩინოთ და როცა გაიზრდება, მოვერიდოთ და სიფრთხილეს გამოვიჩინოთ.

– ჩვენ როგორ ვუმკურნალებთ?

– მშობლებს მივუყვანოთ, ისინი მიხედავენ.

ბიჭები დედის და მამის ძახილით, სახლის შესასვლელისკენ გაიქცნენ. ყურშაც წკმუტუნით გაჰყვა. დედამ, ვანოს დანახვისას შეჰკივლა და შეეშინდა, როცა შვილის დანითლებული თითები დაინახა. მამა ოჯახის წინაშე მალევე გამოჩნდა. ფრინველი დანახვისთანავე იცნო, ფრთხილად მოაშორა თითებს და ხელში ისე დაიჭირა, რომ არც თვითონ დაშავებულიყო და არც ჩიტი დაეზიანებინა.

– მამა ფრთხილად, მგონი ფრთა აქვს მოტეხილი. გადავარჩინოთ რაა, – შეევედრა ვანო მშობელს და მის წინ დადგა.

– გადავარჩინოთ, მაგრამ მანამდე წადი და ხელები დაიბანე.

ოთახში დაბრუნებულ ვანოს ფრინველი თხელ პატარა ნაჭერში შეხვეული დახვდა. მხოლოდ თავი და ცალი ფრთა უჩანდა. ვახო კი ხორბლის მარცვლებს უყრიდა და მის გამოკვებას ცდილობდა.

– ასეთი ჩიტი პირველად ვნახე, – ვანო ფრინველს მიუახლოვდა და სიბრაღულით დააცქერდა.

– ბიჭებო, ამ ჩიტს წივილა ნამგალა ჰქვია.
– ზუსტად ასეთ ხმებს გამოსცემდა. წიოდა და ჭყიოდა, – აღნიშნა ვახო.

– ხალხი მათ კლდის მერცხლებსაც უწოდებს, თუმცა თუ დააკვირდებით ნახავთ, რომ ზომით მერცხალზე დიდია და ფრთებიც უფრო ძლიერი აქვს. ეს ფრინველი საკმაოდ დიდხანს ცხოვრობს. ზოგიერთი მათგანი ოც წელსაც კი აღწევს. ისინი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე დაფრინავენ, მინაზე კი მაშინ ეშვებიან, როცა ბუდობის პერიოდი იწყება.

– მამა, ბუდობა რა არის? – იკითხეს ბიჭებმა ერთხმად და ერთი სული ჰქონდათ ფრინველზე ყველაფერი გაეგოთ.

– ამ დროს ჩიტი კვერცხს დებს და ბარტყები იჩიკებიან.

– ეს თვითონ ბარტყია, პატარა და უმწეოა. რატომ დაბრუნდა მინაზე?

– ბუდობისთვის არ დაბრუნებულა. ფრთა აქვს დაზიანებული და როგორც ჩანს ძირს ამიტომ ჩამოვარდა. თავი კი ჩვენი სახლის სახურავს შეაფარა.

– საფრთხე რატომ ემოქმედებოდა? მე არაფერს დაუშვებდი, – მოიწყინა ვანომ.

– ფრინველებმა არ იციან, ვინ დაეხმარება მათ და ვინ საშიშია. გარდა ამისა მათი შეჭმა კატებსაც შეუძლიათ, ამიტომ უსაფრთხო ადგილი უნდა მოეძებნათ. ნამგალები ძალიან სწრაფად დაფრინავენ. მათ სუსტი ფეხები აქვთ და სიარული არ შეუძლიათ. ისინი ფრენის დროს იკვებებიან, სვამენ და ჰაერში სძინავთ კიდევ. ზამთარში, თბილ ქვეყნებში მიფრინავენ. ბუდობის დროს კი, მერცხლებივით მშობლიურ ქვეყანას უბრუნდებიან.

– წივილა რატომ ჰქვიათ?

– ეს სახელი მათი გამოცემული ჟღერადობის გამო შეერქვათ, ზოგი მხოლოდ წივილას ეძახის, ზოგი წივილა ნამგალას, ზოგიც კი მხოლოდ ნამგალას. რაც არ უნდა ერქვას, თქვენ ის გადაარჩინეთ და დაეხმარეთ სიცოცხლის შენარჩუნებაში.

– ჩიტებიც ეხმარებიან ერთმანეთს?

– ჩიტებიც, ცხოველებიც და ადამიანებიც.

– ადამიანებზე ტყუილია, – შეიცხადა ვანომ.

– რატომ მამი? თქვენც ხომ ეხმარებით, მათ ვისაც სჭირდება?

– დავინახე, სკოლაში ბავშვები ერთმანეთს ჩაგრავენ.

– შენ რა გააკეთე?

– გარიდება ვარჩიე. დიდი და ძლიერი იყო მჩაგვრელი, ვერ მოვერეოდი.

– ვანიკო, ასეთ დროს მასწავლებელს უნდა დაუძახო და ის მოაგვარებს მსგავს საკითხებს, ბავშვებსაც შეარიგებს, – დაარიგა მამამ.

– მჩაგვრელი მასწავლებლის შვილი იყო, – თავი ჩაღუნა ვანომ.

– მაინც უნდა უთხრა. დარწმუნებული ვარ, მასწავლებელი სამართლიანია. ადამიანებს უფლის

წინაშე ყველაზე მეტი მოგვეთხოვება. გახსოვდეს, სუსტს უნდა დავეხმაროთ, არ უნდა დაეჩაგროთ. ვისაც უჭირს, შეგვიძლია ცხოვრება გავუმარტივოთ; კარგად ისწავლი და როდესაც გაიზრდები, მიღებული ცოდნით, გექნება საშუალება სხვისი ყოფა შეცვალო უკეთესობისკენ. წარმოიდგინე, რა კარგი გრძნობაა, როცა ვინმე გადაარჩინე. ამ ფრინველს ფრთა რომ მოურჩება და გაფრინდება, ხომ გაგიხარდება? შენი და შენი ძმის დამსახურებით ჩვეულებრივს, მისთვის სასიამოვნო ყოველდღიურობას დაუბრუნდება. გაინავარდება ცაში და თავის ოჯახს მოუყვება, როგორ გადაარჩინე და მოუარე. შენი მუდამ მაღლიერი იქნება. ასე ვართ ადამიანებიც.

– მეზობელმა თქვა, რომ ადამიანებს სიკეთის დანახვა არ შეგვიძლია და უმადურები ვართ, – ლაპარაკში ჩაერია ვახო.

– ზოგი კი, მაგრამ ყველა უმადური არ იქნება. სამსახურიდან დაღლილი რომ მოვდივარ და ჩემთვის ჭიქა წყალი მოგაქვს, მადლობას ხომ გეუბნები?

– შენ მამაჩვენი ხარ!

– მადლობა რომ არ გადაგიხადოთ აღარ მომიტანთ? – მამამ შვილს თავზე ხელი გადაუსვა და გაუღიმა.

– რა თქმა უნდა, მოგიტან, – ერთხმად თქვეს ბიჭებმა.

– სწორია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თქვენი საქციელი და დახმარების სურვილი, სხვისმა დამოკიდებულებამ არ უნდა შეცვალოს. ადამიანები, სიკეთის გაკეთებისთვის ვართ შექმნილები. ერთმანეთის სინათლე უნდა ვიყოთ, ცხოვრებას ვუადვილებდეთ და პირქუში ღამიდან ვცდილობდეთ, მათ გამოყვანას.

– ბოროტი ადამიანები არ დაგვაზიანებენ? – იკითხა ვანომ.

– სანამ გაიზრდებით მე დაგიცავთ, მანამდე კარგად ისწავლეთ და როდესაც დიდები იქნებით, ცოდნის გამო თქვენს დამარცხებას ვერავინ შეძლებს.

– თანაც სხვებსაც დავეხმარებით და ჩვენი ყოველთვის იამაყებ, – ტაში შემოჰკრა ვახომ და მამას ჩაეხუტა.

– რატომ გინდა, რომ შენით ვიამაყო? – დაინტერესდა მამა.

– მე ხომ იმიტომ დავიბადე, რომ შენ და დედას მოგიაროთ და დაგეხმაროთ? გაკვირვებულმა იკითხა ბიჭუნამ.

– შენ იმიტომ დაიბადე, რომ ბედნიერი და თავისუფალი იყო; შეძლო ოცნებების ახდენა და ამაში ჩვენ დაგეხმარებით. მეც და დედაც ვიამაყებთ მაშინ, როდესაც იქნები სიხარულით სავსე; გვეყვარები, მიუხედავად ყველაფრისა, ერთხმად და უპირობოდ. თქვენთვის არაფერი დაგვეწანება. შემდეგ თქვენ გადასცემთ შვილებს სიყვარულს და იმედს, რომელიც წუთისოფელში, ცხოვრებისთვის

მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

მამა-შვილთა საუბარს, კართან მდგარი დედა თვალცრემლიანი ისმენდა. ყოველთვის ცდილობდა შვილებისთვის სამაგალითო ყოფილიყო. მეუღლესთან ერთად, ბავშვებს ასწავლიდა ცხოვრებას და ყველაფერს აკეთებდა, რომ მათი დღეები ბედნიერებით სავსე ყოფილიყო. უხაროდა ტყუპების ხასიათი, ქცევები. სიხარულს ჰგვრიდა ის ფაქტი, რომ ბავშვები კეთილები და მზრუნველები იყვნენ, რომ ცუდად მყოფი, ცხოველებისთვის და ფრინველებისთვის გვერდის ავლა არ შეეძლოთ.

ბიჭებმა ნამგალასთვის სახლის გაკეთება გადანიშნეს. ვანიკომ ფიცრები მოძებნა, ვახომ საღებავები, მამამ ჩაქური და ლურსმანი. ყველაფერი მზად ჰქონდათ რომ სახლი გაეკეთებინათ. ერთობლივმა საქმიანობამ, შედეგი მალევე გამოიღო და მამაკაცებმა, დიდი კაკლის ხის ტოტებზე, რამდენიმე სახლი ჩამოკიდეს, რომელიც წითლად და ყვითლად შეღებეს. თვალები და ღრუბლები მიახატეს. ტყუპებს გადანიშნული ჰქონდათ, რომ წივილა ერთ-ერთ სახლში მოეთავსებინათ გამოჯანმრთელების შემდგომ და იმედი ჰქონდათ, რომ გაფრენას გადაიფიქრებდა. მიუხედავად დიდი სურვილისა, ჩიტი მათთან ერთად ყოფილიყო, ზუსტად იცოდნენ, რომ მის თავისუფლებას, ხელს არ შეუშლიდნენ.

რამდენიმე დღეში წივილას ფრთას სახვევები მოხსნეს და მისი გაფრენისთვის ყველა ბაღში შევიდა.

– მამა, წივილას სახელი არ დავარქვით? – იკითხა ვახომ.

– დავარქვით! რომელი სახელი მოგწონს?

– ვანიკო რომ დავარქვით?

– ვანიკო, რატომ? ეს ხომ შენი ძმის სახელია?

– გაუკვირდა მამას და შვილის წინ ჩაიმუხლა, რათა თვალეში შეეხედა. შემდეგ ვანიკოს გახედა, მაგრამ მიხვდა, რომ ბიჭი არ გაბრაზებულია.

– სწორედ ამიტომ! – ხმამაღლა თქვა ვახომ, – მე ვიცი, რომ ჩემი ძმა არასდროს მიმატოვებს, სხვაგანაც რომ იცხოვროს, ჩემთან ყოველთვის მოვა. მინდა, რომ წივილაც მასავით დაბრუნდეს ხოლმე და დავრწმუნდე, რომ კარგადაა, – მამას თვალზე ცრემლი მოერია. ღმერთს მადლობა შესწირა, შვილების მოსიყვარულე ურთიერთობისთვის.

– ჯერ ვანოს ვკითხოთ, იქნებ არაა თანახმა? – ვანო მოწყენილი უყურებდა ძმას და მამას, – მოწყენილი რატომ ხარ? აუცილებელი არაა შენი სახელი დავარქვათ. სხვა რამ მოვიფიქროთ, – შვილი გულში ჩაიკრა.

– მოწყენილი იმიტომ ვარ, რომ მე ვახოს დარქმევა მინდოდა, – გამოაცხადა ვანიკომ და ძმას შეხედა.

– რატომ? – ისევ გაუკვირდა მამას.

– რადგან მასავით თბილი და მზრუნველია.

– ეგ როგორ? – იკითხა მამამ.

– შეხედე რამხელა ბრჭყალები აქვს, შეეძლო დავეზიანებინეთ, მაგრამ ყოველ ჯერზე როცა სახვევებს ვადებდით წყნარად იყო და გვენდობოდა. ვახოც ასეთია, ძლიერია, მაგრამ სხვას არასდროს დაჩაგრავს. თბილია და სულ ცდილობს, სხვაზე იზრუნოს.

– მართალი ხარ, ვახოც ასეთია, მაგრამ როგორ მივიღოთ გადანიშნულება? – იკითხა მამამ. ბავშვები ჩაფიქრდნენ და არ იცოდნენ რა ეპასუხათ. ორივეს ძალიან უნდოდა სახელის დარქმევა, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ გამოსავალი როგორ ეპოვათ, – მგონი, რაღაც მოვიფიქრე! გითხრათ? – ცნობისმოყვარე ტყუპებს თვალეები აუციმციმდათ და სულმოუთმენლად ელოდნენ, – დედას სახელი დავარქვათ, დეა, ხომ ლამაზია? თანაც, მასაც ეყოლება შვილები და მათთვისაც ბევრს გააკეთებს.

– ვაჰა! – წამოიყვირეს ბიჭებმა ერთხმად, – მოგწონს, დედიკოს სახელი დავარქვათ.

– წივილა, შენ უკვე სახელი გაქვს და დეა გქვია. იყავი დედიკოსავით მზრუნველი და ყურადღებიანი, არ დაგვივინყო და დაბრუნდი ხოლმე, – უთხრა ვანიკომ ჩიტს და თავზე ხელი ფრთხილად გადაუსვა.

– დროა გაფრინდეს! მზად ხართ ბავშვებო? – ტყუპებმა მამას თავი დაუქნიეს. წივილა, ხელით ჰაერში ააგდო მამაკაცმა და დეამ გაფრენა შეძლო. ფრენას მონატრებულმა ცაში კამარა შეკრა, რამდენჯერმე დატრიალდა, სახლს გარშემო უვლიდა, თითქოს მადლობას უხდოდა გადარჩენისთვის, შემდეგ კი თვალს მიეფარა. ბიჭები სახლში დაბრუნდნენ და მაგიდის გარშემო დასხდნენ. მზრუნველ დედას სადილი მოემზადებინა და ღიმილითა და სიყვარულით შესცქეროდა ოჯახს. ყველას სჯეროდა, რომ წივილა მალე იპოვიდა თავისიანებს და მათთან ერთად ბედნიერი იქნებოდა.

* * *

ამერიკიდან დაბრუნებულმა, სიხარულით მივაშურე სოფლისკენ მიმავალ გზას. მშობლები უკვე იქ ცხოვრობენ, მე – ამერიკაში, ჩემი ძმა – საფრანგეთში. საქართველოში ხშირად ჩამოვდივართ და მალე სრულიად დაგვრუნდებით კიდეც.

სახლში მისულს დედა გამომეგება. მისი ღიმილი, ბავშვობის ბედნიერ წლებში მამრუნებდა. ეზოში მამაჩემი ვაზს სხლავდა, კიბიდან ფშვენით ჩამოვიდა და ისიც ჩემკენ გამოემართა. შინ ძველებური, თბილი და გემრიელი სურნელი ტრიალებდა. ხაჭაპურის, მჭადის და წვნიანი კერძის გემოები ერთმანეთში ირეოდა და მაფხიზლებდა. გაზაფხულის მიუხედავად გრილოდა, სახლში ღუმელი ენთო და შეშის ტკაცუნა იკარგებოდა ოთახიდან ოთახში. სამოთხეს ჰგავდა, სადაც დღისით მზე ანათებდა, ღამით კი ჩვენი ერთმანეთისადმი სიყვარული ფანტავდა წყვდიადს.

ბევრი ვისაუბე მშობლებთან. მკითხეს და მო-

მაყოლინეს თითქმის ყველაფერი. აინტერესებდათ ისევ გავფრინდებოდი თუ არა. სიხარულით შეხვდნენ გადაწყვეტილებას, რომ მალე სამშობლოში დავბრუნდებოდი.

ჩემ წინ ცოცხლდებოდა მოგონებები, ყველა ბედნიერი დღე, რომელიც ამ სახლთან მაკავშირებდა – ჩემი ბავშვობა, სიცულე, გადარჩენილი ფრინველები და ცხოველები; ყურმა აღარ გვყავდა, მაგრამ თითქოს მისი ყეფის ხმაც მესმოდა. კაკლის ხეზე ისევ იყო ჩამოკიდებული პატარა სახლები, ცოტა ფერდაკარგული, მაგრამ მაინც შეუღლახავი. გამახსენდა წივილა ნამგალაც, რომლის სიცოცხლისთვის, ოჯახის ყველა წევრი ვიბრძოდი. სახლის უკან გავემართე. იქ, სადაც ჩიტი ვიპოვეთ მე და ვახომ. კედელთან ისევ წივილა დავინახე.

გამეღიმა. თითქოს წარსული დაბრუნდა. მხოლოდ მე აღარ ვიყავი პატარა ბავშვი. ფრინველს ფრენა უჭირდა. ახლა ზუსტად ვიცოდი, რომ ჰაერში მისი ატყორცნა საკმარისი იყო და შეუსვენებლად გააგრძელებდა ფრენას. ახლოს მივედი, მისი დაჭერა შევძელი. ფრინველის წივილმა ეზო გამოაფხიზლა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ ანმყო წარსულთან გაერთიანდა.

– დეა, ნუთუ შენ ხარ და ნუთუ დაბრუნდი?! – მოულოდნელად, ბაგეს გასცდა ჩემი სიტყვები. ფრინველი ცაში ავისროლე, ფრთები გაშალა და მალე ღრუბლებში გაუჩინარდა. ღმერთო, ოჯახზე და ბავშვობაზე ტკბილი არაფერი ყოფილა დედამინახე.



აკაკი ბაბრიაძე

შემოგათენდი...

შენ სხეულიდან აფრქვევ სურნელებს... მარწყვის, ალუბლის ატარებ სიტკბოს, ვიდრე განცდები გამასულელებს, გიგზავნი გულს და საშენო სითბოს.

შემოგისიე ზეცათა მაცნე, მაცმევ, მაქარგავ ლექსებს სტრიქონად, არ მინდა, თუნდაც მისხალით გაგცდე, აქ ახლა ამ წამს შენით მარტო ვარ...

დაგეუფლები ფიქრით სრულიად და ამოვივსებ სულის ნაპრალებს, თუმცა, სხეული გათანგულია და უძილობა შენით მანვალებს...

დღედ კი არა და ღამედ გახლავარ, დაგწერო ლექსად – უნდა გავბედო... ჯერ ჩემი განცდის ლალი სახლი ხარ, მინდა სხეულშიც შემოგახედო...

გადავინაცვლოთ მიღმიერს მიღმა, ჩამოვარდვიოთ ტკივილთა მთები, მე იქ დაგხვდები, სადაც შენ მიხვალ უკიდევანო განცდათა გზებით.

გონებას არ რევს არა ფრაზები, გონება ნების წყურვილს ამართლებს, ვაღებ დარბას, რაც შენ ჩარაზე, შენში ავივლი სულის აღმართებს.

ზღვას ლექსის სუნთქვა ყურში ჩაესმის, გადათენებას მოესწრო ბედად, შემოაბიჯე ამ გულში რისთვის, თითოს ვარსკვლავმა გამოგიმეტა.

უცდი ლოდინებს. მე კი ამ ტონებს, ნალველს რომ ჩაკლავს, ზოგჯერ მაოცებს, თუ უნებურად თავს მოგაწონებ, მომიაღერსე, შენებრ მაკოცე...

ნაყოფი ყოფის შენაერთია, სულში სიტკბოა ჯერ არ ნახული, განწყობა ჩვენში უკვე ერთია, ერთობისათვის შემონახული.

ნაწერი – ნაწერს მოვკალმე წელან, მე უფრო ეგლა მამხელდა ეშხი, ძილმა დამიფრთხო ფიქრები ლეგა, ყველა სიმაღლეს მარტივად შეწვდი...

ვათენებ ღამეს შენში ვეშვები, დაუგეგმავი აზრი გზიარობს, თუ მოისურვებ, გადმოეშვები, გამითავისებ, ადამიანო.

რა საამურად სიოდ დამქროლე, ამომიმღვრიე ვნება სრულიად, თითქოს მზე მხოლოდ ნუთით მათხოვე, შენში კი მარად გაზაფხულია...

სამაჯურა

მე შენი ოდესლაც,
ბოლომდე მჯეროდა,
გულწრფელი განცდები
იმ ნდობის ტოლია,
ახალა რომ ალაგებ
გადახსნილ ჩემოდანს,
სიზმარი გარდასულ მე დღეთა მგონია.

რას იტყვი? –
ფიქრია დღემდე რომ მადუმებს,
აქამდე მგუდავდა
განცდათა ძახილი,
მაგ წასვლით
ლამაზი იმედი მაპკურე,
რთული რომ მეგონე,
აღმოჩნდი ადვილი.

ურჩობის ნაყოფი
ხილი და გველია,
გადაშლილ წიგნივით
კკითხულობ შეცდომებს,
იქა ხარ
სადაც არ გიცნობენ, გელიან,
უფალმა ხომ იცის,
მიყვარდი მე ცამდე.

სამაჯურას სერიიდან

როგორც შევძელი მოვყევი,
როგორც მოვყევი გაიმბე,
ამ ხმას ჩემამდე მოჰყევი,
ყური გულისხმას მიანდე.

როცა ავმღერდი გიმღერე,
როცა გიმღერე მტკიოდა,
სულის საუნჯე გიჩვენე,
ხმა გზნებით ამომდიოდა.

როცა მითხარი აგყევი,
როცა აგყევი მიგიღე,
გრძნობა ზეცამდე აწვდილი,
იცოდე მე წაგიკიდე.

დაბადებამდე გიცნობდი,
სანამ მოხვედი მიწაზე,
თუმცა ეს კი არ იცოდი,
რომ შენში ღმერთი ვინამე.

ამოგიჩაგა

დღესასწაულია სულის ნალკოტებში,
ისევ აყვავილდა გზაზე ბროწეული,

ჩემო სიყვარულო, ახლაც მაგონდები,
როცა სევდა ფიქრში მქონდა მოწეული...

მთა-ბარს შენეული შეენის ხასიათი,
მწამს, რომ უხარია სტუმრის აღმოჩენა...
ისე ლამაზია ხვამლზე განთიადი,
როგორც „მიყვარხარო“ დაღლილს აღმოგხდება...

ნახე, ბროწეულმა ლექსი მოიწვია,
არა, აღარ მიკვირს რითმის გახელება,
სევდის ბილიკები სადღაც მოიცლიან...
მე კი გადავწყვიტე შენი აჩემება.

სიყვარულის ოდა

შემოდგომის ფერი აქვს ჩემი სულის მუსიკას,
ფოთოლთცვენა ტკივილებს ფანტავს

კიდი-კიდედმდე,
წინათ მარტოობის ხმა სიხარულს ხელს უწვდიდა,
ერთურთს სჯა ბაასობდნენ, იცი? – არ გაგიმეტე.

თვალჭყეტელა ამინდებს სამოსელად ვატარებ,
დილა, თუმცა, დინჯია. თვალებს იფშენეტს, მიღიმის,
წვიმა მელამუნება და მეც არა მადარებს,
ქარებს გამოვაცალე უსულგულო მიღმეთი.

აზრთა შემოძინება ჩემში – ლექსის აქტორი,
სიტყვის მოჩუქურთმება ფიქრმა გამაბედინა,
გავხდი უკიდევანო სიყვარულის ავტორი,
დღეს ჩემშია ნამდვილი მექაცა და მედინაც.

მომავალი ტკივილებს როგორ უნდა ვაჩუქო,
დროა, ბილიკს ავუყევი, სანამ დაბინდებულა,
საამური შვებაა, რადგან აღარ ვჩაუქობ,
სულის კაბადონებზე სხივი გაცისკრებულა.

ვხედავ ფერი უცვლიათ დახვასებულ ჭაობებს,
სადაც შემოჩვეული ტკივილები სახლობდა,
სულში ისევ შენფერი ყვავილები ხარობენ,
უფალს სიყვარულისთვის რომ უხდიან მადლობას.

როგორც მთას და ბილიკებს მოხდენილი ამინდი,
ისე მესათუთება აზრთა ლავად გადმოღვრა,
ჩემი ლექსი – სუნთქვაა შენთვის ამოტანილი,
წარწარად მოსასმენი ანგელოსთა გალობად.

მოჩანს უსასრულობის კიდევ ერთი აღმართი,
ძალა გადასალახი უტყვი ბრძოლის სადარი,
მოსასმენად საამო, მოსაყოლად არაკი,
მორჩენილი ტკივილი წარსულს ნაავადარი.

წრფელი ბავშვის თვალებით სამოთხის გზას
გავყევები,
უფალთან შერიგებას, რა თქმა უნდა ვაპირებ,

ყველა ტკივილს წაერთვა დარქმეული სახელი,
სიყვარულით ღვთიურით რაკი გავინაპირე.

როგორც ანწყო წარსულის სამომავლო ხიდია,
მიმწუხრიდან ნაქსოვი გალავანი დავლანდე,
ჩემი წილი ცხოვრება ჩემი დასაწინდია,
ყველა ნაბიჯს შენამდე ჩემი ქარგა დავადე.

ზოგჯერ

ზოგჯერ მინდა გაგართულო,
ზოგჯერ გაგამართოვო,
ზოგჯერ მინდა გაქართულო,
სიტყვა გაგამართინო.

ზოგჯერ მინდა მოგისმინო,
ზოგჯერ გელაპარაკო,
გრძნობა ღვედად მოგიჭირო,
გეძმო, გეამხანაგო.

ზოგჯერ მინდა გაგაცოცხლო,
ზოგჯერ გაცვა სუდარა,
ტკივილები დავამორცხვო,
თავი იგრძნო უკვდავად.

ზოგჯერ სიტბო შემოგავლო,
ზოგჯერ ტკივილს დავჯერდე,
შენ კი მითხრა შემოვალო,
ოღონდ მე არ გამჩნევდე...

სულის სინდის გეძახოდე,
გიმზადებდე ნიადაგს,
წყენა ნიავეს შევატოვე,
გავაყოლე ლიანდაგს.

წელან ფიქრი გავათხოვე,
სარფიანი ხონჩებით,
დარდი ღიმღის დავატოლე,
უსათუდ მოვრჩები.

ახლა უკვე ჩემი გქვია,
ჩემო თავო მთლიანად,
ამიტომაც გულით ღია,
დავალ ადამიანად.

ზოგჯერ მინდა გაგართულო,
ზოგჯერ გაგამართოვო,
ზოგჯერ მინდა გაქართულო,
სიტყვა გაგამართინო...

იზიდა

თითქოს სამყაროს იზიდავ,
თითქოს ჩემი ხარ სრულიად,

თითქოს ქალღმერთი იზიდა
ხარ და ეს აღსასრულია...

ჩემი ყველა დღე შენია,
მე კი მაგ მზერას ვნებდები.
თითქოს და დანარჩენია,
ზღვათა მოქცევის შედეგრი.

ყველას ვუკეტავ დარბას,
გულს დამიარა ცხელებამ,
სახელი უნდა დავარქვა
შენს სურვილებს და ქმდებას.

სულ შენგან არის ღელვები,
მუდამ სიკეთეს ამბობდი,
ყოველ ნაბიჯებზე ვევენები,
შენით და შენი ამბორით.

შვილს – შიოს

მინდა ისე გაგვეზარდო, გზარდოთ დედამ, მამამ...
შიო,
ხორციელთან სულიერი საზრდელი არ მოგაშოთ...

დრო კი გადის ნაჩქარევად, წამებს არ სცნობს
მარდი სიო,
ორნახევარს გადაასწარ, საამაყო, ჩემო შვილო...

როცა გხედავ, გული ფეთქავს, სიტბო გიდულს
თვალეშშიო...
„– მამი, მე რა მომიტანე“ – შენთან მოსულს, –
კარებშიო.

ხელმეორედ, ახლებურად, ვიბადები ღიმღშიო,
მერე მეტყვი: „ჩემო მამი, საჩუქრებთან მიმიშვიო“.

„მიკალქალო“ – ისევ ამბობ, ჩამეცრები ამ
გულშიო...
ჩაგკოცნი და ჩაგეხვევი მამა-შვილურ ალერსშიო.

მამი, ზოგჯერ ძილი გაფრთხობს, „გუდიანი“ –
ლამეშიო,
ხანაც კევი მოგინდება, ხანაც ღვინო მარანშიო...

მაგრამ, ჩემო პანანინავ, ცუდი რაა მაგაშიო,
მინდა დედას გავეჯიბრო შენზე ზრუნვა –
ამაგშიო.

დავმარცხდები, ვიცი, მჯერა, მაგრამ მინდა ჩემ
თავს ვძლიო,
ორმაგად რომ ვიამაყო, საამაყო, ჩემო შიო.

თამარ ნასრაშვილი



ჩემს ოქტომბერში

ჩემს ოქტომბერში ცოტა რამ ხდება,
ჰა, ბევრი-ბევრი წვიმა მოვიდეს,
თუმცა ბევრი რამე არ მავინყდება,
არ მავინყდება ჩემი თოლიგე...
არ მავინყდება ნაცრისფერ თმაში
მიჯრით ჩანყოფა ყვავილებისა,
კვლავ დავბრუნდები „ჭვავის ყანაში“,
ჰო, გათენება თუ კი მეღირსა...
ყოველ დღეს ვკინძავ... როგორც მისანი,
აღბათ ეს მაინც უნდოთ წესია,
სწორედ ეგ არის, გამოიცანი,
რომ ოქტომბერი – ჩემი ლექსია.

...

ჩემს ოქტომბერში ცოტა რამ ხდება,
ჰა, ბევრი-ბევრი წვიმა მოვიდეს...

ჰეი, მორფიუს – სიზმრების ღმერთო

ყოველ ღამე მე შენს კარებთან ვდგავარ
და ყოველი დღე იწყება შენით;
მე ამ კარიდან ზეცაში გავალ,

ზეცაში გავალ სულ ფრენა-ფრენით.
მე შენს სამეფოს ბინადრად შევრჩი,
დიდი ხნით ვცხოვრობ, ვით სიზმარ-ცხადი.
ჰეი, მორფიუს, მიდგახარ გვერდში,
გადამარჩინე შეურაცხადი.
ჰეი, მორფიუს, გენვიოთ მინდა
შენს სამფლობელო ზესიზმარეთში,
ცა გამჭვირვალე, ყველაზე წმინდა,
მინდა ვიხილო მე შენს თვალეში...
და დავივანო, ჰეი, მორფიუს!

ღრუბლები

ღრუბლები თითქოს ყვავილებია,
მხრებზე მოვისხი ღრუბელი თითქოს.
ეს უფლის ხელის შენავლებია,
მხრებზე მოვისხი მადლი და სიტბო.
მე ახლა მზესთან ვანთებდი კანდელს
და ლოცვის სული აკმევდა ზეცად,
მიწიდან როგორც არ უნდა ჩანდეს,
მე მანდაც ღრუბლის ნაფლეთი მეცვა...
ვიტყვი – არ არის არც მეტის-მეტი,
ვერვინ შემიცნო თავისიანად,
ანგელოზების ხმასაც ვისმენდი,
ზეცისა ვიყავ სამოსიანად...
სულ ფოთოლ-ფოთოლ ვაწყე ცხოვრება,
სულს ჩავისახლე ზეცა მზიანად,
თუთის ხევ, შენც ხომ გემახსოვრება,
ვერვინ შემიცნო თავისიანად...
შესამოსელად მეცვა ღრუბელი,
ზეცისა ვიყავ სამოსიანად.

ალექსანდრე კაკიაშვილი



მოხუცი გუკინისტი

90-ანი წლების და-
საწყისში, საქართველოს
მოქალაქეთა უმეტესი
ნაწილი თვითგადარჩე-
ნისთვის იბრძოდა, რათა
მასობრივად გავრცელე-
ბული გაჭირვებისაგან
გამოწვეული შიმშილი-
სათვის თავი როგორმე
დაეღწიათ. წარმოუდ-

გენელი მყოფადობის ფონზე უკლებლივ ყველა
ქუჩაში ლუკმა-პურის საშოვნელად გამოსულიყო.
ამ არნახულმა საზოგადო სიდუხჭირემ არც ისე-
თი სოციალური ფენის წარმომადგენლები დაინ-
დო, როგორიც გახლდნენ თავად განათლების
გამზიარებელნი და თაობების აღმზრდელი პრო-

ფესორ-მასწავლებლები. ადამიანები, რომელ-
თა პირდაპირი მოვალეობაა, რომ საზოგადოებას
აღუზარდონ ისეთი ნათელი მომავალი, რომელიც
სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის დაუღალავად
იბრძომება. მიუხედავად, მძიმე სოციალური ფონი-
სა, მათი გარკვეული ნაწილი კვლავინდებურად ენ-
თუზიანობისა და საკუთარი პროფესიის სიყვარულის
ხარჯზე, მაინც ახერხებდა მომავალი თაობისათ-
ვის გაეღოთ მათი გამოცდილება და საზოგადოე-
ბისთვის ღირსეული, შემდგარი პროფესიონალები
ეჩუქებინათ. მაგრამ იყვნენ ისეთნიც, რომელნიც
იმ დროინდელმა, არსებულმა მდგომარეობამ ერ-
თიანად მოსწყვიტა საყვარელ საქმეს და გარეთ ქუ-
ჩაში ლუკმის საშოვნელად იძულებით გამოიყვანა.

სწორედ ასეთი და იმ მრავალთაგან ერთ-ერთი
გახლდათ პატივცემული ზოსიმე სავანელი. მოხ-
უცს, დარბაისელს, ჭაღარანამშვენსა და კეთილად
მეტყველს პედაგოგობისთვის თავი დაენებებინა
და მშობლიური უნივერსიტეტის მახლობლად, ხის
ფარდულში წიგნები გასაყიდად გამოეტანა. ყოვ-

ელ დილით, ჩვეული, დინჯი ნაბიჯებით უახლოვდებოდა ხოლმე ამ ხის ფარდულს და უთქმელი დარდით ალვისილი წიგნებს დახლზედ გასაყიდად ანყობდა. როცა საქმეს მოილევედა და ხის სკამზე ჩამომჯდარი, თავს ფარდულიდან სამზერლად სანახევროდ გამოყოფდა, მუდამ უნივერსიტეტისკენ იცქირებოდა. მისი გული და სული კვლავ იმ კედლებში დარჩენილიყო.

მხოლოდ გონებას თუ შეეძლო ამ ორ უბარ და მომდურებულ თანამოსახლეთა შორის უხილავი ხიდი გაედო და კვლავ უნივერსიტეტის კედლებში არსებული ყოველდღიურობით გამოწვეული ფუსფუსი, წარმოსახვის ხარჯზე რეალობად ექცია.

ამ რეალობის აღქმას, სასწავლებლისკენ მიმავალი სტუდენტები და პროფესორები მეტად ამარტივებდნენ. ჩაფიქრებული მოხუცი, წარმოსახვით მათ უკან ადევნებული მიჰყვებოდა და გზადაგზა შემხვედრი სტუდენტებისგან მიძღვნილ სალამზეც-სალმით პასუხობდა. მაგრამ როგორც გითხარით, მხოლოდ ფიქრებით! სხვაგვარად კი, იმ ხის ფარდულიდან გამოსვლასაც კი ერიდებოდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გამოყოფდა ცხვირს, როცა მუშტარი მის დახლზე დადებულ წიგნს დასწვდებოდა და თვალიერებას შეუდგებოდა. ამ შემთხვევაშიც კი ცდილობდა, რომ პასუხი როგორმე ფარდულიდანვე გაეცა და მუშტარი გაესტუმრებინა. მისი, ამ „სიზარმაცის“ ერთადერთი და მტკიცე მიზეზი სირცხვილი იყო. შინაგანად, სულის სიღრმეში ეთაკილებოდა ის, თუ რად აქცია ცხოვრებაში? ეთაკილებოდა, რომ შემთხვევით მუშტრის ანფასში თავისი ყოფილი კოლეგა, ან ალზრდილი არ ამოეცნო და მის წინაშე ლოყებაგარეგარებულსა და უპეს ცრემლმომსკდარს არ ეტირა.

ამიტომაც იყო, რომ ხის ფარდულიდან მომზირალი ზოსიმე დილიდან გვიან საღამომდე ყოფიერებისაგან გამოტანილი განაჩენითა და რეალობისგან შეკონინებულ სატუსალოში გამომწყვდეული, წიგნებს გროშებზედ ჰყიდდა, რათა საღამოს ჟამს, მაშინ, როდესაც ცის კაბადონს უკანასკნელი მზის სხივი მოსწყდებოდა, შინ, მეუღლესთან, თეკლესთან წასულიყო და წიგნის გაყიდვიდან აღებული გასამრჯელოთი ნაყიდი, თუნდაც წინააღმდეგ პური მაინც მიეტანა... ერთადერთი, რაც მის გაუსაძლის ყოფიერებას ამსუბუქებდა და აფერადებდა, ეს სწორედ ის წიგნები იყო, რომელნიც დახლზედ დაწყობილნი და გასაყიდად განწირულნი მუშტრის მოსვლას იძულებით ეგებებოდნენ. ხშირად ამოიჩემებდა ხოლმე წიგნებიდან ერთ-ერთ ტომეულს, ხელს დაავლებდა და საგულდაგულოდ მაღავდა, რომ შემთხვევით შიმშილის გამო გონდაბინდულს არ გაეყიდა. თითოეული მათგანი უკიდევანოდ უყვარდა. რუდუნებით თავს დაფოფინებდა და მტვრის მიუკარებლად სათუთად ინახავდა. ინახავდა გასაყიდად და თავის გადასარჩენად. ინახავდა თეკლესთვის, ნათისთვის. იმ ქურისთვის, რომელ-

ზეც თეკლე უშაქრო, ფერიან ჩაის ადულებდა და ზოსიმეს მიერ მიტანილ წინააღმდეგ პურს შიგ ანყობდა. ინახავდა და ტიროდა, უხმოდ, უთქმელად!

მისი რუტინის დამრღვევი, მუშტართან ერთად, მის მარჯვნივ და მარცხნივ მდებარე ფარდულში მოვაჭრე ალფეზა და მიხო პაპა იყვნენ. ალფეზა მწვანელითა და ბოსტნეულით ვაჭრობდა, ხოლო მიხო პაპა ღვინოს ჰყიდდა?...

დღე ისე არ გავიდოდა, რომ მიხოს ნაფარდულარ-ნადუქნარში შეკრებილ სამ მოხუცს თითო ჩიქა არ აენიათ და ამ ქვეყნისა არ ეთქვათ. ამ ყოველივეს ინიციატორი კი, კახურ ყაიდაზედ ალზრდილი და გაზრდილი მიხო პაპა გახლდათ. ისე, არც ალფეზა იყო ნაკლები. სჯულის კანონს დახსნილი და ღვინოზედ ნაუღლი, თვალს მიხოს ფარდულისკენ აპარებდა და ერთი სული ჰქონდა, მასპინძელს რაიმე დასცდენოდა. არც ზედმეტი პატიჟი სჭირდებოდა, მყისვე მოხოკავდა ხოლმე ბაღის ნადავლს და მიხოს ფარდულის წინ მდგარ ღვინის კასრზე სუფრასაც მეტის-მეტი მონდომებით შლიდა. ეს, ვისაც პატიჟი და ათასგზის ხვენა-მუდარა სჭირდებოდა, პატივცემული ზოსიმე იყო. მიხოს შეძახილებსაც იოლად იგერიებდა, მაგრამ ალფეზასთან არაფერი გამოსდიოდა. არც ის დღე იყო გამონაკლისი და საღერღელაშლილი მიხო პაპაც დახლის წინ გამოდგა.

– ჰეი, მეზობლებო! პური არა ვჭამოთ? ძია ზოსიმე, ალფეზ, ბიჭო!

– პატივცემულო, მიხეილ. ჯერ ერთი მე თქვენი ძია არ ვარ, რადგან თუ კარგად გაიაზრებ ჩემზედ წლითა და ექვსი თვით უფროსი ბრძანდებით და მეორე, არა, არ მინდა! დიდად გმადლობთ!

– ვახ, მიხო ჯან, ღვინო იქნება?

– იქნება მაშაა! აბა ცისკარა ხომ არა ხარ, რომ წყალი გაცეცხლო?!

– ო, მაშინ მაიცაა! აჰა, ესა კიტრი, ესაა პამიდორი, ესეც „ზელენი“. აი, ჯაყვაცა და...

– ალფეზ, მიდი ჩვენ პრაფესორს უთხარი აქეთ მოვიდეს, თორემ ჩემს ნათქვამს ეგ არ შაისმენს.

– ეგ იმიტომ, რომ არ იცი, როგორ უნდა ელაპარაკო.

– შენ ხომ იცი? ჰოდა, მიდი რა ჯორივით ჩამომდგარხარ?

– პატივცემულო, ზოსიმე. ძალიანა გთხოვთ, რომ ჩვენ „ბოჩკაზე“ მოხვიდეთ და ერთი „სტაკანი“ ღვინო ჩვენთან ერთად დალიოთ. ამ თხოვნას გიერთდება მიხოცა.

– „ბოჩკაზე“ მოვიდე? თან არა ხომ? აუცილებლად ზედ!

– დიახ, „ბოჩკაზე“. გთხოვთ!

– ალფეზ, ამდენი ხანია საქართველოში ცხოვრობ და აქამდე ქართული როგორ ვერ ისწავლე?

– აბა, სად მესწავლა? სულ ზელენსა თესავს და იღებს. მერე უნდა გაყიდოს, ფული აიღოს და ბაქოში წავიდეს მაშ! კლიენტსა კიდევ ბევრი ქარ-

თული რად უნდა? მოვა, კითხოს: შენი ზელენი რა ღირს? მე უთხრას: 10 კაპიკი და წაიღოს. სულ ეგაა რაა!

– სადღაც მართალიც ხარ...

– ი, მაშ არა?!

– კარგი, ახლავე მოვალ.

მიხო პაპას ღვინის კასრთან და ალფეზას „ბოჩკაზე“ მიმჯდარმა მოხუცებმა სახელდახლოდ გაშლილ სუფრაზე ლუკმა გატეხეს და თიხის ფი-ალეებში მზეჩამდგარი ვაზის ნაჟურიც ჩამოირიგეს. თამაძობა, რასაკვირველია მიხო პაპამ ითავა, რადგან იცოდა, რომ მიუხედავად თხოვნისა ზოსიმე უარს ეტყოდა, ხოლო ალფეზას თამაძობას კი უსადღეგრძელოდ ღვინის სმა ერჩია. ამიტომაც ფიალა აიღო და ომახიანად წარმოთქვა.

– თქვენი ჭირიმეთ, მეზობლებო! აი, ამ ფი-ალით ღმერთს მადლობა შავნიროთ ამ დიდებული სითხისთვისა. ე, დალოცვილი, რომ არა ვერც ქართველი ვერ გადარჩებოდა და ვერც საქართველო იარსებებდა. ეე, ეგ კი არადა სახარებაშიაც კია ნახსენები ეს დალოცვილი ესა. ჰა, ასე არაა ძია ზოსიმე?

– მართალი ბრძანდებით.

– ჰოდა, მოდით, აი, ამ დალოცვილ სითხეს გაუმარჯოს!

წარმოთქმული სადღეგრძელო ერთხმად აიტაცეს. ერთ ფიალას მეორე მოჰყვა. მეორეს-მესამე და ასე გვარიანად შეზარხოშებულებს ყელი სასიმ-ლეროდ მოედერათ. ალფეზას კიჟინზე, მიხო პაპამ ულვაშებზე ხელის მტევანი დაისვა და სიმღერაც დაიწყო: „ხვალ მივდივარ ალაზანზე, რახანია ვა-პირებდი!“; მაგრამ სიმღერის გაგრძელება უმაღ-შენწყვიტა, როცა ალფეზას წამოსროლილ სიტყვას ყური მოჰკრა.

– მოკდა!

– რაო? ვინ მოკვდა, ალფეზ?

– ვინ არა, რა! გაუნათლებლო!

– კაცოო, რასაა, რომ ამბობ? ამოღერლე ვე-რან!

– ყვავი მოკდა!

– რა ყვავი?

– ისე მღერი, აი, იმ „სტოლბაზე“ ყვავი იჯდა, გულმა დაუსტუკა და მოკდა!

– ძია ზოსიმე, ეს შობელძალლი აქედან გამა-ცალე თორემ ჩემი სიდედრივით დავჭმუჭნი! ვის დასცინი შე ვერანა, შენა?

– რა ჩემი ბრალია? დაუსტუკა და მოკდა!

ძია ზოსიმეს დროებით დავეინყებინა ჩვეული სიღარბაისლე და გულთანად ახარხარებული „ბოჩკ-აზედ“ დამხობილიყო. მის სიცილზე გულმოსულ მიხოს ხარხარი აუტყდა და ასე სამი თანამესუფრე სიცილ-ხარხარით, გამვლელ-გამომვლელთა ყურ-ადღებასა და კეთილ ღიმილს უშურველად იღებ-და. ამ, ხორხოცსა და სიცილ-კისკისში გართულთ, ღვინის მუშტარიც მიადგათ.

– კამპანიას გაუმარჯოს!

– მოდი გენაცვალე! ალფეზ, შაუვსე!

– აი, მომენტო!

– რა ღირს, შენი ღვინო?

– ჯერ დალიე, დაგვლოცე და ფასზე მერე ვიბაასოთ.

– მდაა...

– მაგენონა?

– რა ღირს?

– 2 მანეთი.

– რაო? ესა? 2 მანეთი? გადაირიე? ამ ძმარში 2 მანეთი როგორ გადაგიხადო?!

– შენა, ვერან! თუ ფული არა გაქვს და მაგიტომ ამბობ ძმარიოო თქვი და ისე გაჩუქებ! თუ არადა, ახლა ის დროა შენი ყველაყისაჲ ჭამას თავი დაანე-ბო და აქედან გაქრე, სანამ ეს ბებერი მუშტი მაგ გაქუცულ თავში ჩამიჭედებია!

– ვის რაში უნდა შენი ძმარი! თან ორი მანე-თიო, ტო!

გაბრაზებული „მამაკაცი“ მოქეიფეებს უმაღ-გაეცალა. გულმოსულმა მიხომ ფიალა ხელში აიღო და მიწაზე დაახეთქა.

– ძმარიო! გაიგეთ კაცო? ძმარიო! ჩემ ღვინო-ზედ თქვა ძმარიო, მაგის დედა კი ვატირე!

– კარგი, მიხო. ვილაც თავხედისა და უგუნურის გამო ნერვების აშლა შეიძლება?

– ძია ზოსიმე, განა იმ ვერანაზე ვბრაზდები? არაა! აი, იმაზე, ჩემს დაწურულ ქისზე, რომ თქვა ძმარიო! კაცობას გეფიცებით რაა, სუფთა წვე-ნია! იმ, ჩემი ერთადერთი შვილის სული წამიწყდეს თუ ტყუილსა ვამბობდე! ათი ფუთილა მქონდა შა-მარჩენილი და თელავიდან გასაყიდად ჩამოვიტანე. ეს ღვინო, იმ ჩემი ბიჭის დაწურულია და ამ ღვინ-ითვე გავასვენე ის უბედური. ეს ვერანა კიდე ამ-ბობს, რომ შენი ბიჭის დაწურული ქისი ძმარიო!

– მაგის დედა ატიროს!

– კარგი, ალფეზ! შენ მაინც ნუ დაუსხამ ცე-ცხლზე ნავთს! ხომ ხედავ როგორ განერვიულ-და კაცი?! მიხო, გენაცვალე, დამშვიდდი, ვილაც რეგვენი იყო. მის უგუნურ საუბარზე არც ნერვე-ბის აშლა ღირს და არც ყურად უნდა იღო მისი ტატყანი. ალფეზ, შენ ფიალები შეავსე, ერთი სა-დღეგრძელო უნდა ვთქვა.

– შენა, ძია ზოსიმე?

– ჰო, მე. რა იყო?

– ვახ გენაცვალე! აი, ინებოს ფიალა!

– მოდით, ჩვენი უდროოდ წასული და ბრძო-ლის ველზე, საქართველოს სიყვარულით დაღუპუ-ლი შვილების შესანდობარი ვთქვათ!...

ძია ზოსიმესი, მიხო პაპასი და ალფეზას შვილები აფხაზეთის ომისას გულრიფშთან ახლოს ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ. სამშობლოს სიყვარულისთვის საკუთარი სიცოცხლეც არ დაი-შურეს. მიუხედავად გაღებული მსხვერპლისა მათი გვამების გადმოსვენება ვერ მოხერხდა და მათმა

მშობლებმაც ცარიელ კუბოში ჩასვენებული, მათი ნაქონი ტანსაცმელი უსხეულოდ დაკრძალეს. დიახ, აი, სწორედ იმ ვაჟკაცის სამოსი, რომელმაც წინა წელს მამასთან ერთად თელავში ქისი დაწურა და მეორე წელს ამ მადლიანი სითხით უსხეულოდ სასახლეში ჩასვენებული მინას მიეხარა. დიახ, სწორედ იმ, „მეზელენე“ ალფეზას ბიჭიც, რომელიც მზის ჩასვლამდე თეთრ ზეწარში გადახვეული მინამ ვერ მიიბარა და მის ნაცვლად მისი სამოსით გამოვსებული და თავ-ბოლო მოკრული თეთრი ზეწარი დაიმარხა. ჰო, სწორედ იმ პროფესორი ზოსიმე სავანელის ვაჟი, გიორგი სავანელი, რომლის სასახლესაც მის ნაქონ წიგნებთან და ერთ-ხელ გახუნებულ სამოსთან ერთად დაიმარხა. დიახ, დიახ! სწორედ იმ გიორგი სავანელის, რომლის დედა, თეკლე ვერაფრით შეჰგუებოდა იმ აზრს, რომ შვილი გარდასცვლოდა! დაკრძალვისას ჭკუიდან შეშლილა და მას მერე, ყოველდღიურად გულრიფშიდან მომავალი შვილის ლოდინით განამებული დამდგარა და ყოველ წელს წინდებს უქსოვს დალუპულ პირმშოს, იმ იმედით, რომ ზამთარში შეცივწულ ფეხის ტერფს მისი მოქსოვილი წინდები, არა მატყლის მხურვალეებით, არამედ დედობრივი სითბოთი დაუთბობს.

ქეიფიც მალევე დაასრულეს, თავ-თავისი ფარდულები დაკეტეს და სახლის გზას ბანცალ ბანცალთ გაუყვნენ. შინ მისულ ზოსიმეს, მეუღლემ ოთახიდან გამოსძახა.

– გიო, დედი. მოხვედი შვილო?

მეუღლის ამგვარ გამოძახილს მიჩვეული ზოსიმე ხის პატარა სკამზედ ჩამოჯდა და რადგან გვარიანად შეზარხოშებული იყო, გადანწყვიტა მეუღლის გულში ჩასახული იმედი დაეპურებინა. ამიტომ პირზე სახელო აიფარა და ისე გასძახა.

– მოვედი, დედი. მოვედი!

– შენ გენაცვალოს დედაშენი, მოიცა ახლავე ავდგები და ერბო-კვერცხს შეგინვავ, მოშივებული იქნები.

– არა, დედი. არ შეწუხდე, ნაჭამიცა ვარ და ნასვამიც. გზად ბიჭებმა რესტორანში შევიარეთ.

– საწოლს მაინც გაგიშლი, შვილო. დაღლილი ხარ, ნამგზავრი. დასვენება გჭირია.

– არა, არაფერი მინდა. ცოტახნით შემოვირბინე და ისევ უნდა წავიდე.

– ასე მალე? მეგონა დარჩებოდი და გულში ჩაგიკრავდი, შვილო.

– ვიცი, დედი, რომ მოგენატრე, მაგრამ რა ვქნა? იმ ბიჭებს რა ვუყო? მარტოს ხომ არ დავტოვებ არაა? აბა, რა კაცი ვიქნები თუ ჩემს თანამებრძოლებს ვუღალატებ? რა ვუთხრა? თქვენ, ჰეი, ძმებო! ჩემ მაგივრად ტყვიაზე მკერდ-შეფარებულნო, საცდურს ვერ გაუუძელ და დედასთან დავრჩი-მეთქი? განა, კიდევ კაცი მერქმევა, დედი?

– მართალი ხარ, ჩემო თვალის ჩინო! წადი, შვილო. წადი, ბიჭები არ დააღალატო! მე კი ისევ

აქ დაგელოდები. გიო...

– რა იყო, დედი?

– მანდ, ფეხსაცმლის კარადაზე წინდები დაგინყე. შენთვისა ვქსოვდი. ვიცოდი, რომ აუცილებლად მოხვიდოდი და ჩაიცვამდი. სულ აიღე და წაიღე. რამდენიმე წყვილია და შენს ძმა-ბიჭებსაც უწილადე. ვინ იცის, ზოგს იქნებ დედა არცა ჰყავს, რომ თბილი წინდები მოუქსოვოს.

– წავიღებ დედი, წავიღებ. შენ არაფერზე იწერვილო! მე მალე დავბრუნდები. დედი...

– გისმენ, დედა გენაცვალოს შენა. მამა როგორ არის? ხომ არ გაბრაზებს?

– არა, შვილო. აბა, ვის გაუგია ზოსიმეს აყალმაყალი? პროფესორი კაცია. დადის იმ თავის უნივერსიტეტში და სახლშიც საღამოს ბრუნდება. ხან პური მოაქვს, ხანაც ბოსტნეული. ვილაც ვაჭარი ალფეზა ჩუქნის ხოლმე. ზოსიმემ თქვა, უნივერსიტეტის წინა დგას და ბალჩეულით ვაჭრობსო. დამინახავს თუ არა ისე არ გამომიშვებს, რომ რამე არ გამომატანოსო.

– დედი, აბა, წავედი! მამას უთხარი, რომ...

– რა, შვილო? რა ვუთხრა მამას?

– არაფერი... დედი.

– ნეტამც, მოესწრო და ენახე. იმ თავისი უნივერსიტეტის გადამკიდე სახლში საერთოდ არაა. ვეტიყვი, რომ მოსული იყავი.

– ნახვამდის, დედი.

– ნახვამდის, გიო!

იმ ღამით, არც ზოსიმეს, არც თეკლეს, არც მიხო პაპასა და არც „მეზელენე“ ალფეზას არ სძინებია. ყველა თავ-თავიანთ გარდაცვლილ შვილზედ ფიქრობდა და ამ ფიქრში გართულნი, დაზაფრულნი და გულთ სევდანამარხნი, შვილის მონატრებით ნადენი ცრემლით ალიონს ეგებებოდა.

როგორც კი, მზე ცის თაღზე ამოიწვერა, ძია ზოსიმემ ჩვეული ფუსფუსი დაიწყო და როცა სახლის საქმეც მოითავა, გზას თავისი ხის ფარდულისკენ გაუდგა. მისულმა, უწინდებური რუდუნებით თვალი შეავლო წიგნებს. დახლზედ გამომამზეურა და ხის სკამზედ ჩამომჯდარმა ცქერა უნივერსიტეტისკენ მიმავალ გზას მიაპყრო. მალევე ალფეზა და მიხო პაპაც გამოჩნდა. კეთილი საღამო მიუგეს ერთმანეთს და თავ-თავიანთ საქმიანობას შეუდგნენ. სტუდენტებმაც არ დაახანეს და უნივერსიტეტისკენ მიმავალი გზაც მათი ჟრიაშულით აღივსო. დანალვლიანებულმა ზოსიმემ ღრმად ამოიხვნეშა და ის-ის იყო წიგნს, რომ უნდა დასწვდომოდა, პირველი მუშტრის ხმაც გაისმა.

– გეთაყვა, დოსტოვესკის რა გაქვთ?

ხმა ნაცნობი, ნაწარსულარი და ყურთსმენილი იყო. ზოსიმე შიშმა შეიპყრო და სცადა, რომ პასუხი არ მიეგო. იქნებდა უპასუხოდ დარჩენილი ნაცნობი ხმა დილის ნიავეს გაჰყოლოდა და გზის იქით მიკარგულიყო. თუმცა, ამაოდ!

– ბოდიში, თქვენ მოგმართავთ. დოსტოვესკის

რა გაქვთ?

– სამწუხაროდ, არაფერი.

ამგვარი პასუხით ეცადა ნაცნობის ხმის ფარდულიდან მოშორებას, მაგრამ გაჯიუტებულმა კაცმა, მაინც არ დაიშალა და ფარდულში შეიხედა.

– როგორ? ნუთუ დოსტოევსკის არაფერი არ გაქვთ?!

როგორც კი, ფარდულში მის წინაშე დარცხენილ კოლეგას თვალი მოჰკრა, გაოცებულმა და შეცბუნებულმა ძლივსლა ამოილულულა.

– პატივცემულო, ზოსიმე? ეს თქვენ ხართ?

– დიახ, ჩემო ბატონო. ნამდვილად მე ვარ.

– ღმერთო ჩემო, აქ რას აკეთებთ?

– წიგნებს ვყიდი. ხელი ამ საქმეს მივყავი. ხომ გესმით? ახლა ისეთი დროა, რომ...

– კი მაგრამ უკეთესს რას ყიდულობთ?

ამ კითხვაზე საპასუხოდ ზოსიმეს ხმაც არ ამოუღია. დარცხენილმა თავი ჩაქინდრა და მხრები უხერხულად აიჩეჩა. ალფეზას კი, არც მუშტრის მოსვლა და არც მათი საუბარი არ გამოჰპარვია. ჩუმად ფარდულის კარს ამოფარებული მათ საუბარს ყურს უგდებდა.

– ჩემო ზოსიმე, რას წარმოვიდგენდი თუ აქ გნახავდი? უნივერსიტეტში თქვეს, რომ მეუღლის მდგომარეობის გამო სამსახურს თავი დაანებო. თქვენ კი... მდა. ქალბატონი თეკლე როგორ ბრძანდება?

– გმადლობთ, რა უჭირს? ვუძლებთ ამ ცხოვრებას! თქვენ როგორ ბრძანდებით? თქვენი მეუღლე? შვილები ხომ კარგად არიან?

– კი, კი. რა აქვთ საწუწუნო? ინგლისში გადავიდნენ სასწავლებლად და საცხოვრებლადაც. რა ექნა? მამა ვარ, ვარჩიე ამ ყოფას გამერიდებინა. თქვენც ხომ ხედავთ, რამდენი ახალგაზრდა იღუპება ამ დაწყევლილ ომში!

– ნამდვილად!

– აი, თქვენი შვილიც, გიორგი. ეჰ, რა ვაჟკაცი იყო! ბრგე! ჯან-ლონით აღსავსე, მაგრამ რა? დაინდო ომმა?

– რა გითხრათ?...

– რა უნდა მითხრა, ჩემო ზოსიმე? დროა ასეთი, დრო! კეთილი, ახლა უნდა დაგტოვო. ლექციაზე მაგვიანდება და ამ დღეებში შემოგივლი. ნუ თუკი დოსტოევსკის მოიძიებ და თან მშობლიურ ენაზედ გამოცემულს უსათუოდ შევიძენ. აბა, ნახვამდის!

– ნახვამდის!

მისი გასვლა იყო ფარდულიდან და ზოსიმე ერთიანად მოსწყდა ადგილს და წიგნებთა შორის იატაკზედ გაშხლართული აღმოჩნდა. შეშინებული ალფეზა მკვირცხლად შევარდა ფარდულში და თან მიხო პაპას საშველად უხმო. დიდის ვაი-ვაგლახით გულწასული ზოსიმე მოასულიერეს. სკამზედ ჩამოსვეს და თავად გარშემო შემოუსხდნენ.

– ვინ იყო ის ცხვირაბზუებული პრაფესორი?

– უნივერსიტეტის დეკანია. კარგი კაცია.

– კარგი არა, ისეც მაგის ყველაყისამ.

– გინდა გავიდეს ალფეზა და იმ თავისი ინგლისელი შვილების დედა უტიროს?

– თუ ღმერთი გნამს ალფეზ, სისულელეს ნუ იძახი.

– არ უნდა? ნუ უნდა! შენ ოღონდ კარგად იყოს!

– აიღე ძია ზოსიმე, ერთი ეს ფიალა გამოცალე და გულზედ მოგეშვება. ერთი მაგისი ოხერი დედა კი ვატირე, ნეტავ ვის გულისთვის იშლი ნერვებსა? გახსოვს, გუშინ, რომ შენც ამას მეუბნებოდი, როცა იმ ვერანამ ჩემი ღვინო დაიწუნა?!

– მახსოვს, მახსოვს.

– ჰოდა, ეგრე! მეორედ აქ, რომ მობრძანდება დოსტოევსკის კი არა, თავის ყველაყისას მიიღებს! მე მიხო არ ვიყო თუ მაგას ოინი არ დავმართო.

– მოვიდეს! ალფეზამ, შენი დედა უნდა უტიროს!

– ძია ზოსიმე, ამას თუ ქართულს არ ასწავლი, იმ შენს დეკანს ზედ ალფეზას დავაკლავ.

ალფეზას ქართულით გასხივოსნებული მოხუცები გულიანად ახარხარდნენ. ეს სიცოცხლე დროებითი გამონათება იყო სევდაჩაგუბებული გულიდან. სინამდვილეში კი, სამივე მათგანს ერთადერთი, რაც სურდათ, იყო ის, რომ იმ დეკანის მსგავსი ადამიანი ერთ დიდ მოედანზედ გამოეყვანათ, იარალი აესხათ და ომში წინა ხაზზე გაემგზავრებინათ. იქნებ ასე მაინც გაეგოთ, ან ეგრძნოთ თუ რას ნიშნავდა პატრიოტიზმი?... ანდა, რა უნდა გაეგოთ? თუ კაცს სულით-ხორცამდე არ გტკივა სამშობლო, ვერც იძულება და ვერც ვერავითარი ძალა ვერ გაქცევს მარადუამს საქართველოს მადიდებლად. კვლავინდებურად სულში ჩაფურთხებული, საზოგადოების ხორცმეტი დარჩები და საკუთარ კეთილდღეობაზე მზრუნველი უსულოდ გარდაიცვლები! ამქვეყნად კი, შენივე აღზრდილსა და გაზრდილს, სარეველასავით ნაზარდ და დამპალი თესლის ნაყოფიდან ამობიბინებულ ყლორტს დატოვებ. მასაც, ისევე როგორც მთესველს არ დააინტერესებს, არ იკითხავს და არ ეტკინება მიზეზი იმისა, თუ რად ყვავილობენ სისხლისფერი ყაყაჩოები ბრძოლის ველზე?!

მას შემდეგ ერთმა კვირამ ისე განვლო, რომ მოხუცი ბუკინისტის ხის ფარდულის კარი არ გაღებულა. მისი გაუჩინარებით შეწუხებული ან უკვე მეგობრები და ჭირის გამზიარებელი „ვაჭარნი“ ნაცნობ-მეგობრებს ეკითხებოდნენ ძია ზოსიმეს ამბებს. ზოგი ამბობდა შეუძლოდააო, ზოგიც იმას იძახდა, რომ შვილის მონატრებას ველარ უძლებს და სახლიდან ცხვირსაც აღარ ყოფსო. სიმართლე კი, თავმოყვარეობა იყო, რომელიც უნებურად შეუღახეს, უგინეს და სიკვდილწაუღლი მოხუცი კაცი ერთი-ორად დააბეჩავეს.

ამ დარდასა და ვარამს გადაყოლილ მოხ-

უცს სიკვდილის მტარვალს ხელი უმაღ დაეტყო და იმიერში თავის ერთადერთ შვილთან - გიოსთან, გაემგზავრა. მის გამოსვენებაზე ზღვა ხალხი შეიკრიბა. ხალხი, რომელიც აქამდე არასოდეს გამოჩენილა, არც ვინმეს თუნდაც ერთხელ მაინც მოუკითხია მოხუცი პროფესორი. მე თუ მკითხავთ, იმ ხალხთაგან ადამიანნი, მხოლოდ ქალბატონი თეკლე, მიხო პაპა და ალფეზა იყვნენ. ჰო, სუფრაზეც მიხოსა და მისი გარდაცვლილი შვილის მიერ წინა წელს დაწერილი ქისით გაუცილებიათ, შენდობა უთქვიათ და ძია ზოსიმეს სულისთვის საიქიო გზა დაულოციათ. არც ალფეზა დარჩენილა ვალში. მთელ სუფრას მის ბაღჩაში დაკრეფილი ბაღჩეული და ქორფა „ზელენი“ ამშვენებდა.

ძია ზოსიმეს ანდერძის თანახმად ის ხის ფარ-

დული სტუდენტებისთვის უჩუქებია. სწავლას მონყურებულ სტუდენტს საშუალება ქონდათ მისულიყვნენ და საჭირო წიგნი შეერჩიათ. მოგვიანებით, უნივერსიტეტში, სტუდენტური საბჭოს ინიციატივით, პროფესორი „ზოსიმე სავანელის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველო“ გახსნილა და ეს წიგნებიც იქ გადაუტანიათ.

მე არ ვიცი, არ შევსწრებივარ, მაგრამ ამბობენ, რომ დღიდან სამკითხველოს გახსნისა, ორი წლის განმავლობაში, ყოველდღიურად კოპნად ჩაცმული მოხუცი ქალბატონი მიდიოდა და სამკითხველოს შესასვლელში მჯდომ გოგონას ერთსა და იმავეს ეკითხებოდაო:.

– შვილო, გიო არ ჩამოსულა?

– დედი, აქ ზოსიმე ხომ არ გამოჩენილა?...



ნათია კაპანაძე

სახე

შენ არ შეგეძლო შეცვლილიყავი, რადგან
ყოველთვის,
როცა სამყაროს დასასრულთან მზერას აჩერებ,
ანუ მის საფლავს უყურებ ვინც, ასე გიყვარდა
და თვალზე მომდგარ ცრემლის მალვას სულაც არ
ცდილობ,

რადგან ეს ცრემლი შენი სულის სიღრმეს ყინავდა
და ველარაფრით შეაჩერე. გადმოიღვარა,
და მთელი შენი ტკივილები წალეკა ცრემლმა.
თავად იდექი უხმოდ, როგორც ჩვილი, რომელიც
სხვა სამყაროში აღმოჩნდა და ვერ აიძულა
თავს, რომ ესუნთქა. გაფერმკრთალდა, ჩამოიშალა
მისი სამყარო – დედის საშო და მოიძულა
მის გარეთ რაც კი არსებობდა, ანუ იპოვნა
დასაწყისშივე თავის თავი, ისე დასრულდა.

* * *

ამ ღამის მიღმა არ არსებობს დღე და ნათელი.
ყოველი დღეა სიკვდილია. შენ თავს იმარხავ
ცოცხლად და გტანჯავს ის წუთები, როცა შეგეძლო
ძალდატანების გარეშე და მშვიდად გესუნთქა
მყრალი ჰაერი და ფილტვები ნაგვით აგვესო.
რას იფიქრებდი, ის დღეები დასრულდებოდა.

შენი სიმშვიდე, შენი ზრუნვა, შენი ხალისი,
რომლითაც ყოველ ახალ დილას ეგებებოდი.
ის ღიმილები როგორ გაქრა, როგორ თავისით
და ყველაფერმა მიგატოვა. გაუჩინარდა
ის, რაც სიხარულს განიჭებდა, სიმშვიდეს გგვრიდა.
ჩამოიშალა,

დაცოტავდა.

გადაგიარა

ზედ და შენი წილი სიხარულით ტკივილებს იმკი.

* * *

იქ, სადაც შენ ხარ, ყველაფერი ბნელმა მოიცვა.
შენ მაიძულე ყველა ფიქრი სიტყვად მექცია.
ამიტომ არის, ყველა ფერი გამიშავ-თეთრდა;
ამიტომ არის, ყველა უკვე გადამეჩვია.
შენი თვალების უფსკრულებში ჩავიმარხები
და ყველა ნაბიჯს ვაიძულებ ადგილზე დგომას.
სანამ ბოლომდე დასრულდები, თუ დავმთავრდები.

* * *

ჩემი თვალები, მთელი ჩემი არსი, ამბავი,
რომელიც შენში დაიწყო და სადღაც მთავრდება,
როცა ამ თვალებს ხელისგულებს ვაყრდნობ
საშველად,
მათ შორის მთელი სამყაროა და იქ ავდრდება.
ჭკნება ფიქრები. ის ფიქრები, სადაც ვმარცხდები.

* * *

დრო როცა არის საკმარისი, მაშინ იცოდე,
რომ ცხოვრობ ცუდად, ან არსებობ, რალაც გაკლია.
მოუპოვები სიყვარული, ან მეგობარი
რომელიც მუდამ გაფრთხილებდა: „მარტო დარჩები“
და აშენებდა მის გარშემო ფართო გალიას.
ყალბი გრძნობების, ყალბი ხალხის, ყალბი ღიმილის.
მაგრამ ვინ იცის, რომ ცხოვრება მუხანათია
და ბოლოს თავად აღმოჩნდები მარტო. იქ, სადაც

ყოფა რთული, ყოფნა უფრო აუტანელი გეჩვენებოდა. შენ ვერაფერს ვეღარ იტყოდი. შენი ხმა მიწყდა სამუდამოდ. მხოლოდ შემეძლო წარმომედგინა, რას ფიქრობდი. როგორ გტკიოდა. რადგან მიყვარდი და მახსოვდი, რადგან გიცნობდი. მერე ცრემლები გამიშრა და არ მომდიოდა. ისე დაგტოვე, უკან ერთიც არ მოვიხედე.

* * *

ვერ გაიხარებს ეს ყვავილი უსიყვარულოდ. თუ გაიხარებს, არ ექნება ალბათ სურნელი. მისი ეკლები კუბოს ფიცრად მოგეჩვენება, ნითლად შეღებავს ხელისგულებს მისი შეხება. როცა ერთხელაც გაიფიქრებ: „დავიგვიანე!“ და ჩაბნელებულ ბილიკებზე გზას ვერ გაკვალავ.

* * *

შენ აღმოჩნდები უსასრულო სივრცეში მარტო და შენს გარშემო შეიქმნება ფიქრების გარსი და გაიხსენებ, რომ მიყვარდი. როგორ მიყვარდი, როდესაც ჩემსკენ მოდიოდი და ჩემს თავს გაცდი. რომ არ არსებობს სიახლოვე ასე მშორები, როცა ვერ ხედავ, ვერ პოულობ, ვერ ეძებ სხვაში.., სადაც ერთს უყვარს, ერთი გასცემს, ერთი მოიმკის ყველა ტკივილს და მარტოობას. ყველა შეხებას წარმოსახვაში. წარმოსახვაში. წარმოსახვაში...

დედაჩემო

მე ამ ხის ფესვისგან წარმოვიშვი.
ხის ფესვისგან, რომელიც მიწაში მყარად იყო
გადგმული.

ამ ხეს ძალიან ბევრი ტოტი აქვს,
მაგრამ მხოლოდ ერთმა, მე ვიყვავილე.
ყოველ გაზაფხულზე ხალისით ვიფურჩქნები
და ზამთრის ცივ დღეებს მეც ცივად ვხვდები.
ჩემს გარშემო ატმის მკრთალი სურნელი ირევს;
ჩემს გარშემო იზრდება ბედნიერი სახეები.
ყოველ წელს უფრო მეტს ვყვავილობ,
ყოველ წელს უფრო სუსტდება ჩემი საყრდენი...
წელ-წელა ხმება, ძალა ეცლება,
მაგრამ ჩემს გამო იზრდვის,
რათა სიკვდილის შემდეგ – სიცოცხლე დატოვოს.

ქვიშის დღეები

1.

გულაღმა წევხარ. მიბჯენილი გულისყურია,
იგრძნო, სად არის შენი ფიქრის ორომტრიალი
და მაინც, რარიგ შეუცნობი არის ტიალი
ბედი. მერე კი ბედის განმსაზღვრელი შენი გულია.
არაფერია ეს ცხოვრება, თუკი რთულია,

თავად დაიწყო მის გარშემო უნდა ტრიალი.

ამოაცალო საკუთარ თავს შეგრძნება შიშის,
ამოაყოლო ამოსუნთქვას დარდები ყველა,
იყო დრო, როცა გჭირდებოდა დახსნა და შველა,
სანამ დაგიდგა სანამცეცო დღეები ქვიშის,
სადღაც დამარხე შენი თავი, თავიდან იშვი,
ეგუებოდი საკუთარ თავს რთულად და ძნელად.

გადაიტანე... ეჰ, რა აღარ გადაიტანე
და მერე დიდხანს საკუთარ თავს ებრძოდი, ვინძლო
სარკეში მორიგ ჩახედვისას იქნებ და იცნო
ის, ვისაც თავად გაემიჯნე, გადაუარე
ზედ და დაღლილმა უცხოთაყვით რომ ჩაუარე,
ახლა უყურებ თვალებში, რომ რაიმე იგრძნო

და მიტოვებულ ოთახებში გატყორცნილ მზერას
პერიოდულად ცრემლები რომ ავსებენ. თმენით
შეაქცევ ზურგს და დაფიქრდები მორიგი დღე რით
გადააგორო. სხვას არასდროს რომ არ სთხოვ
შველას,
მერე კი დიდხანს იტანჯები. რთულად და ძნელად
გადაგაქვს მსგავსი დღეები და გადაგაქვს შენით.

2.

თუ არ იცოდი ბევრი რამე, ბევრ რამეს აწი
გაიგებ. უნდა შეეგუო, ასე იქნება,
რადგან გამჩენმა, თუ განგებამ ასე ინება,
შენ კი თავს რაღაც შემორჩენილ იმედებს აცლი,
თითქოს შენ თავსვე, სადღაც გზაზე, ოდესღაც აცდი
და ახლა მშვიდად მიუყვები დღეთა დინებას.

წამოცდენილი სიტყვებია ძალას რომ გაცლის,
ამ ქვიშის დღეებს მინებდი და ვერ გაგიგია,
ეს ყველაფერი რეალობაა თუ მითია?!
ან როდის იყო საკუთარ თავსაც რომ გაცდი...
ძველ მოგონებებს ინახავ და არასდროს არ ცვლი,
მაგრამ ასეა, ძვირფასები მუდამ მიდიან.

რა გრჩება, ფიქრობ და მერე ამ ფიქრს
ნებდები. თითქოს შორს არის შველა
და ბოლოს ხვდები არავინ გრჩება,
ეძლევი ისევ თვითგვემას და შიშს...
დრო საერთოდაც ვერაფერს ვერ შლის
და ყველაფერი უცვლელი რჩება.

მსგავსი დღეები გახშირდა. მუდამ
განიცდი ამას, თუმცა, ძნელია
(როცა სიჩუმე მეტის მთქმელია)
და როცა შენს თავს ყველაფრით ზღუდავ,
როგორმე გინდა გაექცე უკვდავ
იმ მოგონებებს, რომ ვერ გშველიან.

3.

ხო, წყლის ნაყვავა, კედელზე ცერცვი
ეს ყველაფერი. მთელი ცხოვრება,
რომელიც აღარ განმეორდება –
(მადლობა ღმერთს) და რადგანაც ვერ ცვლი
ვერაფერს ირგვლივ, ისევ თავს ებრძვი...
დაგლალა ცდამ და მუდმივ ომებმა.

სივრცეა – თეთრი, ვიწრო კედლები
და იატაკი – საწოლის ნაცვლად,
რომ დაინახო, უკეთ და ნათლად
ნელ-ნელა როგორ კვდები, ნებდები.
როგორ იცლება ქვიშის დღეები
შენი დღეების გასწვრივ და მსგავსად.

სულ ცოტა დარჩა, სანამ ბოლომდე
დაასრულებდე მუდმივ გოდებას,
ვერ ეღირსები ალბათ ცხოვრებას,
უნდა საკუთარ თავთან ომობდე.
ამასთანავე: თავსვე ჰმონებდე.
ასე ისწავლი, ალბათ, ცხოვრებას

და ახლა მსგავსად ძველი დღეების,
სადაც ყველაფერს ჰქონდა ხალისი,
ახლაც ხიბლი აქვს ყველას თავისი,
ნაცვლად ღელვის და ნაცვლად თმენების,
აღარ გექნება ძალა შენების...
ბევრს ნანობ, მაგრამ აღარ განიცდი.


* * *

ბედუინი ვარ!
დგას ჩემს მხართან შენი აჩრდილი
და ყურში ჩუმად ჩამჩურჩულებს უცნაურ ამბებს...
მე თუ ვტირივარ,
შენს თითებში თუ სახეს ვმალავ,
იცოდე, რაღაც მანადგურებს და ჩუმად მანგრევეს...
რომ შორეული გზიდან მოსჩანს, რაც უკვე იყო,
ან რაც იქნება მომავალში, რაც ეჭვებს ბადებს,
დაგენანება ყველაფერი ოდესმე, ვინძლო,
რაც არასოდეს არ შეგეძლო, გენდნენ და განდეს...

სიყვარული!

ა.-ს

შენ წვიმა გიყვარს. წვიმა კი ნიშნავს,
იგრძნო ყოველი დაღლა და შიში
და ამ შეგრძნების შერჩენის ნიშნად
აივსო ჯიბე წვიმით და ქვიშით.
რომ თან ატარო განცდა ყოველი,
რაც გულში გაქვს და ვერავის ანდობ,
დგახარ და მხოლოდ წვიმას მოეღი,
ვერაფერს გახდა წვიმაზე სანდო.



ჯემალ მხერიშვილი

კილო
ნოველა

I

გაგონილა და ნახუ-
ლა ასეთი წვიმიანობა?!
თითქოს თეონას ჯიბრით,
ხუთშაბათსა და პარასკევს
ცის თალი აღარც გამოჩენილა და ცხელი დღეების
შემდეგ მოულოდნელად მოსული გაზაფხულის ყინუ-
ლივით წვიმა კოკურად ასხამდა და ასხამდა!

შაბათს, გადაშუადღევებულზე თქვენმა გადაიღო
და თქორილა ცრიდა. ერთი პირობა ცაც გაიბზარა
და ფრთებჩამოყრილმა თეონამაც გული გაიმრთელა
– როგორც იქნა, მეშველაო! მაგრამ მოულოდნელად
ელვა ერთი შლეგურად შეიკლაცნა, დამარეტიანებლად
იჭექ-იქუხა და ისევ მოთმინებიდან გამომყვანმა კოკ-
ისპირულმა წვიმამ წამოუშინა! თან ხშირი კოხშიწხ-
ალი მოიყოლა!.. შენობების სახურავებს ისეთი გაავე-
ბით ხოშკაკლავდა, ყურთასმენა აღარ იყო!.. ეზოებსა
და მდინარის ნაპირებზე, ტერას-ტერას შეფანტულ
ახლად კვირგამოტანილ ხეხილნარს სულ ჩარეგვავდა!

მართალია, აქ მათი ბალ-ბოსტანიც ეტანებოდა,
მაგრამ რიკულებიანი სველი აივნებიდან მოშავბნელე-
ბულ ცას მიჩერებულ თეას, ატირებას რომ აღარ უკ-
ლდა რა, ამხელად არავისი ბალ-ბოსტანი არ ანალვ-
ლებდა!

ეს არც იყო დასაძრახავი: ხვალ საღამოს, შვიდ-
იოდე ქუჩის გადღმა მცხოვრები მაგდა დაბადების
დღეს იხდიდა და უნივერსიტეტელი თანაკურსელების
უმრავლესობა სულ იქ იქნებოდა! პირველკურსელების
გარდა, მაგდას რამდენიმე სხვა, ზედაკურსელი ბიჭიც
ჰყავდა მოპატიუებული!.. ისიც მათ შორის იყო!!!

ჰოდა, თეონას პირდაპირ ცა უწითლდებოდა,
თბილისელი დეიდის ჭერზედა მეზობელი ქალის,
სახელგავარდნილი მკერავის მიერ ახალშეკერილი
საზაფხულო კაბით ყველას პირველად სწორედ ახლა
სჩვენებოდა!

თან კაბაც არის და კაბაც! ჯერ მარტო მის შე-
კერილობას უნდა აელელებინა ბიჭები! ოვალურად
მკერდმოხდილი და ირიბულად ჩაღილული, ოლონდ
თეონამ გაკვირვებულ მკერავს კიდევები ისე დაან-
აოჭებინა, ყოველი ახრა-დახრისას, თეას რწმენით,
სავეს გულისპირი სისხლის ამაჩქლორებლად დაეჭმუ-
ჭნებოდა!.. ვიწრო, მაცდური საილილიები – წვრილ-
ნაკეცებიანი!.. უქამრო სანელური? მჭიდრო, მაღალი
და ნაოჭასხმული!.. მოტიტვლებული ბეჭები ორივე
გვერდისკენ ნახვეტილი და რეზინისებური წვრილი
შიბით დასარტყლული!.. მარცხენა მუხლთან მავან-
თა ჩასაგონებლად გაბედულად ჩაქმეჭრილი!.. ხოლო
კალთები... მაგრამ ასეთ სიცივესა და ღვარცოფში
ამ კაბით სად წაისვლებოდა – მთელი უნივერსიტე-
ტის სალაპარაკო გახდებოდა! არადა, როგორ სწამდა
– თორნიკეს ამნაირი კაბით თავს მოაწონინებდა და

იქნებ გულსაც გადაუშლიდა!..

II

ლოგინში კურდღელივით წანახულმა თეონამ სმენა გაიმძაფრა და მოუღალავ თქაფუნს მიაყურა. წარღვნისებურმა ტლაშატლუმმა ყურგაფაცვიცებულს თავისებურად აწამებინა: შეუძლებელი იყო, ცას ამდენი ჩამოსაღვრელი კიდევ ჰქონოდა! ჰოდა, რაც ჩამოსაღვრელი ექნებოდა, მალე სულ ჩამოღვრიდა, ჩამოღვრული სქელ-სქელი ღრუბლებიც სადღაც გადაიფანტებოდა და ხვალ თბილი, დარიანი დღე გამოუვიდოდა!.. მაგრამ ამაოდ! ძილ-ღვიძილში უფრო შემადრწუნებლად ჩაესმოდა, თავანყვეტილი ავდარი საძინებლის სარკმლებს ისეთი გააგებით უშხაპუნებდა, თითქოს შინ შემოვარდნას ლამობსო!!!

სადღაც მეხი გავარდა!.. ცოტა ხნის შემდეგ ყველგან შუქიც ჩაქრა!..

მოსეული წვიმა, ძილმოსაგვრელად რომ ჩამოთქრიალებდა, უშედეგო მოლოდინით გადაქანცულ თეონასაც ძილს აპარებდა, მაგრამ რულს მაინც არ იკარებდა – ერთი სული ჰქონდა, თავად შეეტყო, რამდენიმე წუთის შემდეგ რაღა იქნებოდა და მერე გულმშვიდად თავისით ჩაეძინა!..

უშედეგო მოლოდინით განანამებს, ნარიჟრაჟესლა ჩასძინებოდა!.. ესიზმრა, მღვრიე ნაკადულები ვითომც ყველგან ჩამონრეტილიყო და ნანვიმარ რაბათს ცხრათვალა მზე დასჩახჩახებდა!..

III

თორმეტი საათი სრულდებოდა, სამზარეულოდან ავტონომიური გათბობის მილზე დედის სანიშნებელმა მოკაკუნებამ რომ გამოაღვიდა – არ მოგშივდა, ჩამოდიო!

ლოგინიდან გამომძვრალი თეონა მაშინვე სარკმელთან გაჩნდა, მაგრამ იქავ ჩაიფერფლა – ისევ კოკისპირულად ასხამდა! სარკმელს გულმოკლული მოშორდა, თავი უხალისოდ მოინესრიგა და შიგნითა კიბით ძირს ჩავიდა.

მამა და ძამიკო გუშინ გორში რომ იყვნენ წასულელები რაღაც აგრეგატისა თუ ტრანსოფრმატორის საყიდლად, ჯერაც არ დაბრუნებულიყვნენ და წელან დაერეკათ – კვირა საღამომდე ჩამოსვლა არ გვიხერხდება და იცოდეთო! დედასა და პაპას რა ხანია, ესაუზმა... დედა უკვე სადილის თადარიგს შესდგომოდა – ლაპლაპა სათულით ძროხის ხორცის რბილობს ქულამა-ქულამა ჭრიდა ხორცსაკეპში გასატარებლად... პაპას ფარდულში სალაფავი შეეტანა და განწუნულ ძაღლს უტრიალებდა.

დედამ მაშინვე შენიშნა ქალიშვილის მღვიძრობა, მაგრამ ამაზე კრინტიც არ დაუძრავს, მხოლოდ ეს ჩაუნიავა.

– ამ თავსხმაში როგორ უნდა ნახვიდე? ტაქსი ხომ არ...

– უჰ! – თეონამ მობუზული ხმით შენიშნა, – ისინი დამირეკავენ და... ან ვინმეს მე თვითონ დავურეკავ და გამომივილიან...

თეონამ პინკად ისაუზმა, მომცრო ფინჯნით ყავა დალია და განსამარტოებლად ისევ მალლა ავიდა. თავის ოთახში აღარ ედგომებოდა, მაგრამ არც გაყვებული რაგინდარა ტილოებით მოფენილ აივანზე

ყოფნას ჰქონდა აზრი – ქარისგან დაირიბებული წვიმის ფარდის მიღმა აღარაფერი იხილვებოდა!.. ბოლოს ბამბაზიის საშინაო გრძელ ხალათში გამოეხვია, სარწვეველა სავარძელი აივნის მშრალ კუთხეში მიიჩოჩა და არეული ამინდის თვალსადავებლად შიგ დაუიმედებლად მოიკალათა!.. მოთქრიალე წვიმას ხილვადაკარგულ თვალებს ისე უაზროდ უშტერებდა, პირდაპირ სახეზე ენერებოდა, მხოლოდ ესლა ჰქონდა სანალვლო – ამ საზაფხულო კაბით დღეს თორნიკეს ვერ ეჩვენებოდა!

თავის სადარდებელში გადაკარგულს, არც გაუგია, აივანზე პაპა როდის ამოფრატუნდა. მან კუთხის ოთახში სახელოსნო იარაღების ბრახუნა ყუთიდან რაღაც ამოირჩია და ისევ კიბისკენ ნაფრატუნდა.

ქარ-წვიმას თითქოს თავის პაპასთან უჩივისო, სავარძელში მოხრუსტულ თეონას ენიდან ხმაამოჯდომით თავისდა უნებურად მოსწყდა.

– როდემდე უნდა იწვიმოს, რო-დე-მდე?!

კიბისკენ გეზალებულ პაპას ნაბიჯიც არ დაუმძიმებია. არც შვილიშვილისკენ გამოუხედავს. ის კი არა, ჩაქინდრული ჭალარა თავიც არ აუღია. ამიტომ ისე გამოდიოდა, თითქოს თეონას კი არ პასუხობს, არამედ შემთხვევით ყურმოკრულ კითხვაზე თავის აზრს გამოსთქვამსო.

– ეჰ, მაგას ჩვენ ვინ გვეკითხება – ყველა თავის საქმეს აკეთებს!

ეს თქვა თუ არა, პაპა კიბეს ნელინელ ჩაუყვავა და ჩაეფარა.

თეონას თავი სიზმარში ეგონა!.. უცნაურმა შთაგონებამ სავარძლიდან წამოახტუნა, მკლავი აივნის გარეთ გადაყო და სველი ხელი სიყვარულით ალმურმოდებულ სახეზე მიისვ-მოისვა.

პაპის ამ ნათქვამის – ყველა თავის საქმეს აკეთებსო! – შინაარსზე მეტად მისი სიტყვების გონების გამხსნელმა კილომ მოაჯადოვა!!!

იგივე სიტყვები, ვთქვათ, ძამიკოს მისებურად რომ ეტყვიცა, აქამდე დახშული გონება გახსნოდა კი არა, უფრო გააღიზიანებდა და შეიძლება უკონტროლო სიანჩხლით დაემუხტა! პაპის კილოიანმა ნათქვამმა კი!.. მართლაც, ქარი იყო, წვიმა, თავსხმა, სინსლი, ელვა, ჭექა-ქუხილი, მეხი, ნისლი თუ სეტყვა, ბუნების დაურღვეველი კანონით ყველა თავის საქმეს აკეთებდა და რანაირად შეიძლებოდა, ეს ყველაფერი თითოეული ადამიანის თავისებურ სურვილსა და მით უმეტეს, მათ ახირებაზე ყოფილიყო დამოკიდებული!..

მაშ, ტყუილუბრალოდ რაზე იწინვნიდა ნერვებს?! თანაც, მისთვის ეს პირველი შემთხვევა როდი იყო! შარშან, ათ ნოემბერს, მამამ პოლონეთიდან ბენეშოვლებული ქურთუკი რომ ჩამოუტანა, მაშინვე უკადრისი დასაჟინებელი აეკვიატა: დილიდანვე თოვა დაეწყო და თანაკურსელებს ქურთუკის დანამქრული ბენეიანი საყელოთი პოლივუდელი კინოვარსკვლავივით წარსდგომოდა! მაგრამ, თითქოს მის გასანბილებლად, მთელი თვე სულ თბილი და მშვიდი, მზიანი დღეები ეჭირა! ამგვარ ამინდში კი რა ბაჟი ექნებოდა მშრალი, დაბენვილი ქურთუკით გამოჩენას!

ბუნებრივმა თვალახელამ თეონა თვითონ მოძებნა: მისი ცხოვრება დღემდე მხოლოდ ბეცური მოუთმენლობა იყო! პაპის კილოიანად ნათქვამმა კი დახშული

გონებიდან თითქოს ლოდები მოაშორა და თავისუფლად ამოასუნთქა! მორჩა, ამიერიდან ბუნებისა თუ ცხოვრებისეულ მოვლენებთან ურთიერთგაგებით უნდა ეცხოვრა! სხვანაირად მის სიცოცხლეს აზრი არ ექნებოდა და სამარის კარამდე სულ ასეთი გაშხამებულ-გატანჯული იქნებოდა!.. შვილებიც ამგვარი ჩაგონებით უნდა გამოეზარდა!..

მოულოდნელი აღმოჩენით თავტანდაკარგული ქალიშვილი ახლა შიშის ქარმა აიტანა: ერთიც ვნახოთ და იმხელად პაპა აივანზე არ ამოსულიყო... მას კი თავისი შესაჩივლები გაუფიქრებლად არ შეეჩივლა... ცხადია, მაშინ არც პაპას დასცდებოდა ასეთი კილოიანი პასუხი და შეიძლება მთელი ცხოვრება სულ მოუზარებელ-სწორხაზოვანი დარჩენილიყო! ამიერიდან კი! ოოო...

სიხარულისგან ატირებული თეონა კიბეზე ისე დაეშვა, საფეხურებზე ფეხი აღარ ედგმებოდა.

პაპა საჩეხის კუთხეში, ნეჭადაფენილ დაბალ ჯორკოზე მიმჯდარიყო და სათბურას სახელოების ყოშებში ღრმად ხელებშეყოფილი, თავის საფიქრალს მისცემოდა.

თეონამ პაპას მიუჩოქა, ჩაეკონა და კოცნა დაუწყო.

– ჩემო საყვარელო პაპა!.. შენ რომ არა მყავდე, რა მეშველებოდა?! ყველა თავის საქმეს აკეთებსო, არა?! კიდევაც, კიდევაც! მე კი... ო, როგორ მიყვარხარ!.. ქვეყნიერებაზე ჩემისთანა პაპა სხვას არავის არ ეყოლება!..

სამზარეულოს სარკმელში გადმოყრდნობილი ჩამჩიანი დედა თვალს გაკვირვებით უშტერებდა ხან მამამთილს, ხან ატაცებულ ქალიშვილს.

– რა დაგემართა, შვილო – პაპა დღეს პირველად დაინახე?! ან რაღა გატირებს?

პაპას ჩაკრულ თეონას მოლოდინით მაცქერალი დედისკენ არც გაუხედავს, ისე უპასუხა მის პირველ კითხვას.

– არა!.. ჰო!.. ო, როგორ მიყვარხარ, ჩემო ბრძენ-თა ბრძენო პაპა!

– ერთი მეც გამაგებინე, – დედამ თავისი შესახვეწარი ქალიშვილს წრფელი მუდართით გადმოულაპარაკა, – ამ წარღვნისას იმისთანა მაინც რა გისიბრძნა?

– მაგას ახლა ვერ გიამბობ, დედა!.. არ შემიძლია!.. ყველაფერს მერე აგისხნი!..

ამასობაში პაპამაც ყოშებიდან ხელები გამოიღო და შვილშვილის მკლავებიდანაც თავი გაითავისუფლა.

– ამ ბერიკაცს ნეტავი რასა მკოცნი, რო მკოცნი – რა საკოცნელიც მე ვარ?! – უწიროდ წათქვა და ხმაგამოცვლით დაამატა, – ეეეჰ, შენ იგრე მომიაღერე, ეტყობა, მალე მოვკვდები!

მხურვალე ცრემლმა თეონას ხელახლა მოხეთქა.

– რას ამბობ, პაპა, რა დროს შენი სიკვდილია – ჯერ ზაზას ქორწილში უნდა გაცეკვო!

– ზაზას ქორწილშიც ვიცეკვებ და შენს ქორწილშიც! – ბერიკაცს ხელად მიეცა გული, – ოღონდ თქვენ დროიანად იფიქრეთ და!

– შენ მაგაზე არ იდარდო, პაპა! – დაკოპლილი ცხვირსახოცით თეონამ ცრემლები წაიწმინდა, – ზაზას უკვე ნაფი...

– თეონა! – ბეჯითი ხმით შენიშნა დედამ, – მალ-

ლა, მგონი, შენი ტელეფონი რეკავს!

სამივე სმენად იქცა. წვიმის შხეპაშიც გარჩევით ჩამოისმოდა ატონალური მუსიკის თავანწყვეტილი ჰანგები. თეონა კიბეს ფრენა-ფრენით აუყვავ. თანაკურსელი, ესმა ჭიჭლუაშვილი რეკდა.

– სადა ხარ, გოგო, არ მოდიხარ?! აქ იმდენი საქმეა!

– მოვდივარ, მოვდივარ!

– კარგი, გელოდებით!

IV

მობილურ ტელეფონს დაბალ, ცერკუთხეებიან მაგიდაზე რომ დებდა, იქვე, სკამზე ჩამოფენილი, გამოდარების გამანამებელ მოლოდინში ჩასაცმელად გამზადებული საზაფხულო კაბა, თავისი გამოუცდელიობითა და მოუთმენლობით მასზე განსაკუთრებულ იმედს რომ ამყარებდა, ახლა თვალში ეკლად შეესო!..

ან ეს რანაირი კაბა იყო – მისი აღნაგობისთვის სადისტურად ვინრო, ხოლო თეძოებთან ისეთი შემოწოთხული, ყველა ნაკვთი უხამსად ეძერწებოდა! ეს კაბა კი არა, მამაკაცების ქუჩური მიპატიჟება იყო! უფრო უარესი – მათი აბუჩად აგდება: ამნაირი კაბების გარეშე ნუთუ ვერ უნდა ეგუმანათ, ქალს სად რა ექნებოდა!.. ასეთი კაბით თან დაქალებსაც გამომწვევად თავს ამეტებდა: ვისაც მისნაირი მოხდენილი ასო-ტანი არა ჰქონდა, მაშ, იმათ რაღა უნდა ექნათ?! ბოლოს და ბოლოს, ქალისთვის მთავარი მარტო გარეგნობა და ჩაცმულობა ხომ არ იყო, არა?! ჯერ თვითონ როგორ გაენამა: შესაჩვევად რამდენჯერმე რომ ჩაიცვა და გრძელ აივანზე გაიარ-გამოიარა, ისეთი შემბოჭავი იყო, გული უბრუნდებოდა, ნაკერებზე არ დაირღვასო!.. ბოლო? ნამდვილი საფანგი – ყველგან და ყოველთვის სულ ავადმყოფურად დაძაბული, კუს ნაბიჯით თუ არ ივლიდა...

შიშატანილ თეონას მოულოდნელად თავისთავად ჩაეგონა: ასეთი კაბით არაბუნებრივი სიარული სულ დაუდამბლავებდა მუხლებს... გაუმრუდებდა ხერხემალს... გაუფუჭებდა ნერვებსა და ხასიათს!..

„ახლა მე ვიცი!“ – გუნებაში მუქართი შეიძახა. თაროედის უჯრიდან მაკრატელი ამოიღო, უცებ მოძულეებული კაბა სულ ნაკუნებად აქცია და ცელოფნის პარკში ისე დაუნანებლად წაახვია, ძვირფასი ლილელოებიც კი არ აუჭრია!

– ესეც ასე! – შვებამოგვრით აღმოხდა და მაკრატელი ისევ თავის ადგილას შეინახა. მერე სააბაზანოში შეიკეტა შხაპის გადასაღვლებად. შხაპი რომ მოითავა, კარადა გამოალო და ჩაცმას შეუდგა.

სამუშალო სკოლის შემდეგ, გამოსათხოვარი ბალისთვის დედის რჩევით ნაყიდი კაბა რომ ჩაიცვა და ტრიუმოს წინ შეუბოჭავად გაიარ-გამოიარა, ისეთმა აღმაფრენამ შეიპყრო, თუგინდ ამ თავსხმაშიც აფრინდებოდა და ცისკიდურს სულ ფრენა-ფრენით შემოუვლიდა!.. სკამქვეშიდან, წელან ან უკვე დანაკუნებული კაბა რომ ეფინა, შეუყოყმანებლად აიღო წვეტნისკარტა, დაობლებული მაღალქუსლიანი, გამხმარი ნაფოტებივით მსუბუქი ფეხსაცმელები, ისევ თავის შავპრიალა კოლოფში „DONNA CHRISTINA“ ჩააწყო და დროებით კარადის ქვეშ შეაფარა. მერე კარგა ხნის წინათ მივიწყებული რეზინის ხასხასა მწვანე, ყვითელ-

ლანჩიანი ჩექმები მოძებნა და ღიმილმორევით დაიწყო ჩაცმა. დაბალ პუფზე დასკუპებული, თან ფეხებს რიგრიგობით მალლა ფშეკდა – ხომ მიხდებაო!

კარადიდან მუყაოს სქელი, სახურავიანი ჩანთა გამოიღო და შიგ წყობისად ჩაიწყო შოკოლადის ბონ-ბონიერი, მობილური ტელეფონი, რალაც პაკეტი, მაგ-დასთვის მისართმევი ოქროს ყელსაბამის კოლოფი და წელან დანაკუნებული კაბის პარკი. მერე კაპიუშონიანი სანჯიმარი ჩაიცვა, ბოლომდე ჩაიღილა, სამფეროვანი ქოლგა აიღო და დაბლა ჩავიდა.

პაპა მარანში რალაცას უკაკუნებდა. მურამ ხმა-მოდაბლებით შეუყეფა – დაგინახეო და კუდის ქიკინს მოჰყვა. დედა სამზარეულოს ღია სარკმლიდან გადმოედრახა.

– უკვე მიდიხარ?... არა გშია?

– წელან არ ვისაუზმე!

დედა მოქურუმებულ ცას ააშტერდა და შუბლი მოინაოჭა.

– შეხე, წვიმამ უფრო აისწრაფა! – ტაქსი მაინც გამო...

– უჰ, ტაქსი რად მინდა – ქოლგა აქ არა მაქვს!

დედას აღარაფერი უთქვამს – რა ესწავლებოდა!

თეონამ თავზე კაპიუშონი წაიხურა, რკინის ჭიშკრის პატარა კარით გარეთ გასხლტა და ქოლგა გაიშალა.

დოლივით გადაჭიმულ ქოლგას წვიმამ სულ ტყაპ-ატყუპი აუყენა. ირგვლივ ხეირიანად აღარაფერი დაინახებოდა. დაქანებულ ქუჩაში ნიაღვრები მარდად მოჩუხჩუხებდა და მდინარისკენ ყველა თავპირისმტვრევით მიისწრაფოდა.

თეონა პირველივე ნაგვის ურნასთან მივიდა, სახურავის კიდე აზიზად აუწია და დანაკუნებული კაბის პარკი შიგ ჩაუძახა!

ქუჩაში ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. თოვლნარევი წვიმა მოუღალავად უშხაპუნებდა. ირგვლივ მაცდური სიცივის, წვიმისა და ადრეული გაზაფხულის მათრობელა სუნი იყნოსებოდა... გადაბმულ ავდრიანობას გზის ჩადაბლებულ მოსახვევებში ლამისა და აყალღის ფაფა ჩამოეღეჭა... ნაგვითა და ქვა-ლორღით თავგადახერგილი სანიღვრეები წყალს ვეღარ ატარებდა და ნაწვიმი ყველგან თავის ნებაზე მითქრიალებდა...

ხეობიდან დროდადრო შემონაქროლი ქარი წვიმის სვეტებს წაღმა-უკუღმა ატრიალებდა...

თეონას ეს ყველაფერი გულს ხალისით უვსებდა და აიძვებდა!..

უეცრად მჭახედ ჩამოაკვესა, ელვა ბუნდოვნად შეიკლაკნ-შემოიკლაკნა და ომახიანმა რუხრუხმა პატარა ქალაქის თავზე ერთხანს იტრიალა. მერე კი ერუშეთის ქედისკენ გადაიქუხა...

თეონა გულდაგულ მიაჭყაპუნებდა გუბებსა და ნიაღვრებში. თან ყურში ისევ საამოდ ჩაუდიოდა პაპის კილოიანი ნათქვამი – ყველა თავის საქმეს აკეთებსო! და მასაც თავისთვად ჩაეგონა: ქარ-წვიმის, ელვისა და ქუხილის მსგავსად ამ საღამოს თორნიკეც გააკეთებდა თავის საქმეს – გაინაპირებდა და გულს გაულებდა!..

2024



თინა ბაგელაშვილი

უსაქართველოდ
არაფერია

მზე ღრუბლებს ხელს ჰკრავს და დანავარდობს, ერთი შეხედვით, ცა რა ფერია! ცისარტყელები სერავს კაბადონს, სამოთხე სხვა კი არაფერია! რა საამურად გალობს ბულბული, დედალ-მამალი ხმებში მღერია, განაბულია ირგვლივ სულდგმული, სამოთხე სხვა კი არაფერია! დედას თავს და პირს ულოკავს შველი, თან თვალებს ნაბავს, როგორც ფერია, ჭრელმა პეპლებმა დაიპყრეს ველი, სამოთხე სხვა კი არაფერია! თქემის ხმა მესმის, თვალებით ვეძებ, რა ხმაურია? ეს ჩანჩქერია! ტბა დაუფარავთ ქათქათა გედებს, სამოთხე სხვა კი არაფერია! მიმოიხედეთ, გარშემო მხოლოდ წალკოტია და სულ ედემია, სამოთხე სხვაგან, ბოლოსდაბოლოს უსაქართველოდ არაფერია!

* * *

გოგო მორბის შეღერილი, გაზაფხულის სადარი, თმა ოქროსფრად შეფერილი ასაფრენად მზად არის. წამოუსხამს ნატიფ ფრთებზე სიხარულის მანტია, მის გულში კი კაშკაშა მზე და გიჟმაჟი მარტია. ყანას აპობს ფეხშიშველი, საოცარი ფერია, და კისერი, როგორც შველის, კოხტად მოუღერია. არ აწუხებს არც-რა დარდი, სხივი უკრთის თვალებში, ბაგეს უპობს წყვილი ვარდი, პეპლებს გააქვთ თარეში. ფერით-ღვინო შეჭირხლული, სახე-ყირმიზიანი,

კაბა მოსავს დაწინკლული,
თეთრი, ხალეზიანი.
უფრიალებს ქარი კაბას,
ის კი მიჰქრის ამაყად,
ქარს მიაღწევს, გარბის ლალად,
მზის და ცის დასანახად,
მწამს ნარნარი სიარულით
გადალახავს მთა-გორებს.
კლდეც რომ დახვდეს სიყვარულით,
გზიდან გადააგორებს!
ვის ეზო-კარს დაამშვენებს,
ანგელოზი ფრთიანი
და ვის ოჯახს ააშენებს
გოგო ალერსიანი?!

* * *

დღესაც ისევ ავდარია, მტანჯავს სევდა
შემოდგომამ გააშთვლა ტანჯვა მწველი.
დაღმართისკენ სავალ გზებზე შიშსაც ვძლევ და
არ შევდრეკები – უფალია ჩემი მცველი!
სურვილს თუკი ამისრულებ, ჩავთვლი კვეხნად,
გული აღარ გამიკანრო ნაღვარევით,
როცა ნავალ,დამიტოვე, ღმერთო, ქვეყნად
სიკეთის და სიყვარულის ნაკვალევი!

ტაო-კლარჯეთში

ჩემო საოცრებავ, ჩემო დახატულო,
მტრისგან ნანამებო, სევდამობურულო,
შენ გულისფეთქვა ხარ, ჩემო გაზაფხულო...
რამდენს გაუძელი, სულო მონურულო?!
ადგილს ვერ ვპოულობ უზომო ღელვისგან,
თითქოს პაემანზე ვიჩქარი წარსულთან.
მიწა დანამულა წინაპართ ცრემლისგან,
გოჯი-გოჯ ძვლებია ჭაბუკთა, ასულთა...
არ უჩანს სასრული, თან ვითვლი გვირაბებს
და გზა მიკლაკნილი მიდის წარაფებში,
მოშხუის მდინარე, თითქოსდა ღრიალებს,
დროდადრო გვიხდება გავლა ქარაფებში.
მახვილი აღმართე! რაც განირჩეოდა
მიწასთან ასწორე, შენ მტერო, დამსჯელო!
ოსტატის ფუნჯსაც კი გაუჭირდებოდა
და ვერ დახატავდა თვით მიქელანჯელო!
მშობელი დაუჭრეს, გაეშვა ხელები,
ზურგზე დედინაცვლის მათრახი ატყვია,
სული ჩავბერე და კრძალვით ვეფერები,
რადგან ობოლი და უმწეო ბარტყია.
მუხლჩოქვით ვუარე გარშემო ტაძრებს და
მხურვალედ ვუკოცნე ნარჩენი ღიობი...
რწმენას და ძალ-ღონეს უფალი აძლევდა,
ასე თუ ითმენდა ათას ჭირს იობი...
ვბრუნდები უკან და ჩამესმის გოდება,
ტყვე ციხის კენესაა მწუხარე ქაჯეთის,
ხორცები ვიგლიჯე, ვგრძნობ კვლავ მელოდება...

გზად დარდი გამომყვა ტაოს და კლარჯეთის.

* * *

გულისგულში წვიმაა და ქარი,
არემარე დაუფარავს ღრუბელს,
დემონებმა ხელთ ჩაიგდეს ქნარი,
თითქოს ზეცა მოუხატავს ვრუბელს.
ამინდივით ვერ დალაგდა ფიქრი,
ტრფობის ქარმა ჩამიარა გვერდით,
სავსე მთვარე ცის ტატნობზე მიჰქრის...
მონატრების რექვიემს წერს ვერდი.
სიყვარული დაგვეკარგა გზაში,
ნაკვალევიც ნაიშალა, ჩემო...
ქარი ისევ ფოთლებს ისვრის ცაში...
ისევ კენესის ჰაუზერის ჩელო...

* * *

ვზივარ და ვფიქრობ: საიდან მოდის
ამდენი ღვარძლი, დავიდარაბა;
არ ეშინია შადიმანს ცოდვის,
რა დაამარცხებს ამდენ ბარაბას?!
ვშიშობ, სამშობლო ზღვამ მენამულმა
შეითრია და ჩაიძირება...
სჯობს, დამიტოროს უწინ მამულმა –
მე არ მოვესწრო მის დატირებას!

* * *

შეგხვდი სანაპიროზე...
მოდოდი შორიდან;
ვისვენებდით კვიპროსზე,
ჩემო სინიორიტა!
„მგონი გიცნობ!“ – გეხვევი,
გითხარი: „I am sorry“ და
გაგიცანი „შემთხვევით“,
ჩემო სინიორიტა!
გვიყურებდა ელიტა,
მოგერიდა ჭორის და
არ დამისხლტი ხელიდან,
ჩემო სინიორიტა!
რა დღე შემხვდი, მზიანო,
სალამო რას მომიტანს?..
გოგოვ, ალერსიანო,
ჩემო სინიორიტა!
ჩავუარეთ შადრევანს,
ჩვენი იყო ორბიტა...
გიმზადებდი ტახტრევანს,
ჩემო სინიორიტა!
დამავინყე რომი და
დაგავინყე ფლორიდა...
სიყვარული მოვიდა,
ჩემო სინიორიტა!

* * *

ღვინობისთვეა, მოგვაყარა წვიმა და თქეში,
ნისლმა მაღალ მთებს დაუკოცნა სველი კალთები;
რალა გაუძლებს ნოსტალგიას-მკვლელსა და
შემლილს?

შემომჩეჩა გასული წლის თალხი კადრები.
დავეხეტები ხიზანივით უმისამართოდ,
ტანზე მოვიცვი მარტოობის რუხი მანტია;
ნისლში გაეხვა არემარე, ქარი ნავარდობს,
წვიმის წვეთებმა გამიმართეს ქირომანტია.
გზად ჩავიარე მოგონების ნაპირთან ახლოს,
გაზაფხულს, ზაფხულს, შემოდგომას შეცვლის
ზამთარი...

დავშორდი ყველას – ყალბ მეგობრებს და
სამოსახლოს...

ქარი კვლავ ყეფს და დაძრწის,
როგორც წუწკი აფთარი.
დრო ვერ მოვკალი, შემომეჭდო ბორკილებივით,
ვებრძვი, ვერც ნისლებს ვიმორჩილებ

თეთრფაფარაშლილს,
ყველგან თვალები მდარაჯობენ, მჭამენ მგლებივით,
ველარც მოყვარეს ვეხუტები ორთავხელგაშლილს.
როცა მოვკვდები, ჩამასვენეთ გაჭრილ ნაპრალში,
ნულარ მიდარდებთ,
ნურც დამმარხავთ დიდი პატივით...
ვგრძნობ, უკვე ბედი მიმაქროლებს
სულ სხვა ასტრალში;
...და მაინც ვფიქრობ:
დედამინა ბრუნავს მარტივით!
ნეტავი რატომ მოიგონეს წელიწადის დრო?
ვინ დაგვინესა კანონად და ღვთის განაჩენად?
მოძებნეთ სადმე, გვედრებით, ვინა ხართ სანდო
და მეხუთე დრო მომაშველეთ გადასარჩენად!

მარიტას ფიქრები

გაბედულად მესროლეთ გაჟღენთილი ბელტები
და ნუ მომერიდებით, შევეგუე განაჩენს;
სიტყვაც მტყორცნეთ ავი და
განმირისხეთ ღმერთები,
თქვენ ბრბო ხართ და ცოდვილნი,
ალარ გკადრებთ დანარჩენს...
სიყვარული ბრმააო, ჩემთვის – თვალგახელილი,
რაც ნამდვილი მეგონა, თქვენთვის არის ცდუნება,
ქვის ნატეხთან ერთად ხართ თიხით გადაზეულილი,
ასეთია მორჩილთა სისასტიკე, ბუნება.
მოდით და დამაყარეთ გულზე მძიმე ლოდები,
სიმშვიდეს ვერ შემირყევთ – ესაც ჩემი ბედია...
არაფერსაც არ ვდარდობ: იქაც დაველოდები,
მაინც ერთად ვიქნებით მე და ჩემი გედია!

* * *

დღესაც ისევ ავდარია, მტანჯავს სევდა,
შემოდგომამ გამიშიშვლა გრძნობა მწველი,

დაღმართისკენ სავალ გზებზე შიშსაც ვძლევ და
არ შევდრკები, უფალია ჩემი მცველი!
სურვილს თუკი ამისრულებ, ჩავთვლი კვეხნად,
თბილ გულს ნულარ გამიკანრავ ნალვარევით,
რომ მოვკვდები, დამიტოვე, ღმერთო, ქვეყნად
სიკეთის და სიყვარულის ნაკვალევი!

* * *

დღე მიილია, ჩამადნა ხელში,
საათის ნიკნიკს ვაყოლებ ნერვებს,
თითქოს გრიგალი ჩასახლდა ხეში,
ჩამოჰყვა ელვებს.
ელვას თან ახლდა წვიმა და თქეში,
თან მოადევნა დელგმა-წკვარამი;
წარსულის ტყვე ვარ, ვითარცა ლეში,
მომკლავს ვარამი...
ნაამბორალი ამენვა ღანვი
და შენი გულის კვლავ მესმა ფეთქვა,
ქუჩას ვემსგავსე განძარცვულს, ნანვიმს...
რა უნდა მეთქვა?!

* * *

მიდის შეჯიბრი...
თუმც ვერ ვამჩნევ მეტოქეს ვერსად...
გულშემატკივრებს აუტეხავთ ვაი და ვიში,
წინ ვიხედები და გარემო ვერ ვარჩევ ფერსაც,
თავქუდმოგლეჯით გავრბივარ და არ ჩანს ფინიში.
ალარ დავეძებ მეტოქეს და მივარდევ ტალღას,
ქარი გავაპე, ნისლებს ვფანტავ, ვუძლებ სიცივეს;
ჩამოვიბერტყავ ანმოსაგან აკრეფილ ბალღამს
იმ ანმოსაგან, რომლის ხილვაც
ნაზ სულს მიმძიმებს.
ტრიალებს წრე და არაფერი ხდება მგონია,
წლებია ვცხოვრობ უღიმღამო ნაცნობ ყოფაში...
მელანქოლიამ დამიტანა, მელანქოლიამ...
ახლალა მივხვდი, რომ გავრბივარ იქ, ბავშვობაში!

სამაგიერო (მაჯამა)

ვცდილობდი, მახეში როგორმე გამეხდით,
ხერხი მოვიგონე სასტიკი წამების,
გარედან შევფუთე ფერადი გამებით,
ტყვე გავხდი საათის, წუთების, წამების.
ლოდინით ნერვები ტანჯვით დამელია,
შიგ გულში გამერჭო ბუნიკი ისარის
და ველარ გავძელი, რომ არ დამელია,
გიჟივით ვბუტბუტებ: „ის არის, ის არის!“
ვიჩქარი, ვიდრემდის დადგება ცისკარი,
ზეცაში აღვმართე მახვილი დამოკლეს,
ვთვლი, შენისთანებმა დაგვიხშეს ცის კარი,
როდესაც იესო გაყიდეს და მოკლეს!



გიორგი ბელაშვილი

წინაპართა კვლავი

ამონარიდი ცნობილი არქეოლოგის გამოუქვეყნებელი მემუარებიდან, რომლის სახელსა და გვარს შეგნებულად არ ვასახელებ, რადგან არ მინდა მისი ნდობით ბოროტად ვისარგებლო.

ონკანი ჰაერს იფურთხებოდა. ისევ გვალვები დაიწყო. მინდორს გადახრუკავს, გადააყვითლებს, თითქოს, ქერათმიანი გოლიათი მუცელზე წევს და ირუჯება. მთიდან მდინარე მოედინება, თითქმის შეუვალი ტყის გავლით – მუდამ ბაყაყივით ცივია. ამას წინათ გაგრილება მოვიდნო და ჩალრმავე-ბულ ადგილას, სადაც აქაურებმა რიყის ქვებით ავზი მოაწყვეს, ყინულივით ცივ წყალში კისრამდე ჩავჯექი. ეს რიყის ქვები ყოველთვის მანანწალა ძაღლებს, გახუნებულ მეტისებს მაგონებდა.

ოთხფეხა ბანჯგვლიანები მდინარის პირას და-ლასლასებენ. საზამთროს ნარჩენებს ყნოსავენ იმ იმედით, რომ სადმე ძეხვის ნაჭერსაც გადაეყრებიან, – რალაციტ გვანან არქეოლოგებს. ჩრდილში ქვებივით წვანან, ანდა თავად განვებიან ხოლმე ჩრდილივით შავი ძაღლები, ქვევიდან ზევით სევდიანი თვალებით რომ იჭყიტებიან. მდინარეში შესვლა არც მათ უყვართ.

თბილისელი კაცისთვის, თუ მისი ველური მხარე საკმარისად დათრგუნულია, ცივ წყალში ერთი ბუქნიც საკმარისია, რომ ავზისგან თავი შორს დაიჭიროს. „მეტისების პლაჟზე“ აკანკალებული მუხლებით და შეძრწუნებული გენიტალიებით ვიდექი. იმ დღეს დავრწმუნდი, რომ მეცნიერი ცივილიზაციის შვილია და არა ბუნების. გასაგრილებლად ტყე მშვენიერი ალტერნატივაა, თუმცა წვრილმანი „დისკომფორტები“ იქაც ბინადრობენ.

ცა ახალშობილივით შიშველი და გაცრეცილი იყო. დილას მეტისმეტად ადრე გამეღვიძა – ძილი დამაკლდა, მაგრამ ოფლში ვცურავდი და სანოლში ველარ მოვისვენე. ნიავი არ იძვროდა. არც კონდენცირების სისტემა იყო იმ ფიცრულში, რომელიც გაქალაქებული გლეხისგან ვიქირავე.

შუადღემდე შესანიშნავ გერმანელ ავტორს ვკითხულობდი. რამდენჯერმე ჩამთვლიმა. გარეთ კანტი-კუნტად თუ ვინმე გაივლიდა. ცივილიზაციამ აქამდეც მოაღწია და ბავშვები თანამედროვე ტექნოლოგიებით მეტად ერთობიან, ვიდრე ტყე-ღრეში ხეტიალით. კითხვა ველარ განვაგრძე. არც სახლში

დარჩენა შემეძლო – მონყენილობა ინტენსიურად მიტევდა. ქუჩაში მარტო ხეტიალი მენდა, მაგრამ მზეზე თავს ისე ვგრძნობდი, როგორც გაბზარული კვერცხი მდულარე წყალში. ტრადიციული არჩევანი ტყესა და მდინარეს შორის უნდა გამეკეთებინა. ორივე ხუთი-ათი წუთის სავალზე იყო.

მდინარის პირას, მუხის ჩრდილქვეშ ყოველთვის ადგილობრივები იკრიბებოდნენ. ვიცოდი, ფხიზელი ვერ გადავურჩებოდი და, გადავწყვიტე, მათთან შეხვედრისთვის თავი ამერიდებინა. პროვინციებში, რატომღაც, მთვრალი არქეოლოგები მეტად ხიბლავთ. ტყეში აპლოდისმენტებით შეიარაღებულს მეტი თავისუფლება მექნებოდა, ადამის მოდგმა არ შემანუხებდა, მაგრამ არც ადგილობრივ სისხლისმსმელებთან შეხვედრის სურვილი მკლავდა – მაღალ ტონალობაში, რომ ჩურჩულებენ ყურის ნიჟარასთან. გადავწყვიტე, ცივი წყლის ნაცვლად, რამდენიმე კილომეტრი გავარგარებულ ატმოსფეროში „გამეცურა“ და ძველი სასაფლაო დამეთვალაიერებინა, რომელიც ღირშესანიშნაობად მიიჩნეოდა და იქაურები წინაპართა ხსოვნის სადღეგრძელოს შესასმელად, ზოგჯერ, ღამის საათებშიც კი ადიოდნენ ხოლმე, – თუ ღვინოს კარგი გაჭრა ჰქონდა.

მზე ზურგიდან მაჭერდა. საკუთარი ჩრდილის ყურება, მით უფრო მტანჯველი იყო, რაც მეტად მიხურდა მოტვლეპილი კეფა. ნაბახუსევზე განსაკუთრებით დაუნდობელი იყო ჰელიოსი, მაგრამ მკაცრად გადავწყვიტე წინაპართა ძვლების რაკუნი ჩემი ყურით „მომესმინა“. თავის გართობის მიზნით, ჩრდილს ვსაყვედურობდი, რომ გახუნებულ ასფალტზე გველივით მისრიალებდა და პატრონს არ იცავდა აგვისტოს მზისგან. თუმცა, უკეთეს მდგომარეობაში ვიყავი, ვიდრე პიტერ შლემილი, რომელმაც ჩრდილი ვილაც თაღლითს გადაულოცა. ჩემ ჩრდილს სწორედ ამით ვემუქრებოდი, მაგრამ ეს ისეთივე ალოგიკური და ფანტასმაგორიული იქვენა, როგორც წინაპართა ძვლების მუსიკა:

რიტმი მაშინვე დავიჭირე. ჩვეულებრივი ოთხი მეოთხედი იყო, ეგრეთ წოდებული Dance beat-ი. საფლავები მუხის ჩრდილქვეშ იყო განფენილი და ჩაბნელებული ღამის კლუბის ასოციაციას იწვევდა. ძვლების რაკუნი დაახლოებით ისეთ ხმას გამოსცემდა, როგორსაც აფრიკული პერკუსია – სხეულის მოძრაობას სასწაულებრივად, იქნებ დემონური ძალების წყალობითაც კი იმორჩილებდა. ახლა კი მივხვდი, რა მოარბენინებდათ ადგილობრივებს ძველ სასაფლაოზე შუალამისას. რიტმი მყისიერად იბყრობდა ყურადღებას; ჰარმონია ისე შემოდიოდა სულში, როგორც ძილი მოერევა ადამიანს და გაიტაცებს არაცნობიერის სამყაროში. ჩემდაუნებურად ავცეკვდი. ყველა მოძრაობა თავისთავად ქორეოგრაფია იყო. ნამიერი გაოცება სასიამოვნო თრობად იქცა და სახეგაბრწყინებული ვხტოდი სასაფლაოს მიწაზე, რომელიც ბატუტივით იზნიქებოდა და ჰაერში მისროდა.

ყველა ნაცნობი მოძრაობა შევასრულე, ახ-

ლებიც აღმოვაჩინე. წინაპართა ძვლების მუსიკა ქორეოგრაფიას თავად მკარნახობდა – თავის თავში მოიცავდა. ტაქტი ფეხსაცმელივით მოვირგე. ყოველი რხევა, ნოტიდან ნოტიზე გადასვლა სულს წარიტაცებდა მარადისობის მიღმა და საოცარი თვისებებით აჯილდოებდა. ხელები თავს ზევით აწვნი, აქეთ-იქით ვისროდი მუშტებს – შეშლილი ბოქსიორივით. ქარში შერხეული ნერგივით ვტრიალებდი, თავს არ ვთოკავდი. კუნთები მსუბუქად მოძრაობდა. მეგონა ქარი უსხეულო, უცნობ სივრცეში წამილებდა, სადაც ყოველი არსი იღებს სათავეს. ცა ჩამოიქცა სულში და ბავშვივით ამაფორიაქა. მუსიკა სისხლთან ერთად ჩქეფდა გავარვარებულ ძარღვებში. ფოთლების შრიალი იყო თუ ჩემთვის უცნობი ინსტრუმენტის ხმა, ფონად დაერთო წინაპართა გულაობას და მეც მათთან ერთად შევცურე ექსტაზის მძლავრ ტალღებში. შიში სრულიად გამიქრა. გავთამამდი, გავბედნიერდი, აღვფრთოვანდი – შეუძლებელი არაფერი მეგონა. ექსტაზის კონტურს მივყევი და სიგრძე-სიგანეს მოვედე. ღვთაებრივ თავბრუსხვევას ვგრძნობდი, ფარდას რომ ხდის მრავალ საიდუმლოს და სამყარო ჩემს თვალწინ ფართოვდებოდა. გადავდიოდი რიტმიდან რიტმზე, საფლავიდან საფლავზე, სინქრონში ვცეკვავდი სულებთან ერთად. ზოგი კეთილი და ზოგი მახინჯი იყო. მოვინახულე ერთი, მეორე, მესამე... გადავდიოდი ეპოქიდან ეპოქაში. დავლაშქრე ისტორიის კუთხე-კუნჭულები, ცხოველური ვნებით და მისი მძლეველი სიბრძნით ნაქარგი. თვალწინ დამიდგა წარსულის ნანგრევები, წინაპართა ყველა გმირობა, მათი სიქველე და თავგანწირვა. თავისუფლების ტრაექტორიას ბრმად ავედევნე, – ის ჩემ ერთადერთ უფლებად იქცა. აღარ მთრგუნავდა წვრილმანები, აღარ მქანცავდა ფიქრი. სულით-ხორცამდე მოვილხინე. ყოველი დარდი გავფანტე, ქარს გავატანე. „იმხიარულე, იცეკვე, დასცინე ამოობას, დასცინე!“ – ხმა მომწვდა მარადიული არყოფნიდან. მუსიკა ბალახივით არხევდა შიშველ ძვლებს – ზოგს ტეხდა და ზოგს ამთელებდა. მუხის ფოთლების შრიალი გუნდის სიმღერას ემსგავსა. ძარღვებში მივლიდა და ქარბორბალას ატრიალებდა. ხან ზევით ამაქანებდა, ხან ქვევით დამიშვებდა – აღმაგზნებდა. ფლირტი გავუბი ამაოებას. უფერო ციდან თავისუფალი ბგერის „სეტყვა“ ცვიოდა. ფილტვებში ძაბვა მივლიდა და მაჟრიალებდა – რაც თმა მქონდა, სულ ყალყზე მედგა.

ხტუნვა-ხტუნვით და ცეკვა-კუნტრუშით მიუუახლოვდი საფლავს, რომელსაც სახელი და გვარი გადასცევითოდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჩვენი ურთიერთობისთვის. დაუჯერებელი იყო ხმა, რომელმაც საფლავიდან ამომძახა: „თავადმა შემოგიტვალა, ხრმალი არ დააჟანგოო!“ გპირდებით, გპირდებით... ნუ გედარდებთ ბატონო, ყველაფერს ისე ვიზამ, როგორც თქვენ გულს გაუხარდება და როგორც თქვენ უკვდავ ხსოვნას შეეფერება-მეთქი. ამ დროს თავადის სიამაყით სავსე სახე დამიდგა

თვალწინ, თუმცა მის ნაკვთებს კონკრეტული ფორმა ვერ მიაჩნია აჟიტირებულმა გონებამ. მიწოდდა სახელი მეკითხა, მაგრამ სანაცვლოდ შევძახე: არ დავაჟანგებ, არა-მეთქი! – ხმა უცნაური ჟინით აღსავსე მქონდა. ექსტაზი კიდე და კიდე მატულობდა. შთაბეჭდილებათა ქარბორბალა მომეხვია თავს. ხელები გავშალე, ზეცას ავხედე და მადლიერებით სავსე ღიმილი მივუძღვენი, რადგან არასოდეს განმიცდია ამდენად უსაზღვრო და ყოვლისმომცველი ბედნიერება. „თქვენი სულების ჭირიმე!“ – შევძახე, უკლებლივ ყველა წინაპარს, რომელიც იქ ემარხა და დანარჩენებს მოკითხვა შევუთვალე. „ხარობდეთ, ნათელსა შინა, სადაც მართალნი განისვენებენ!“ – კვლავ შევძახე და ვისმინე „ამინ, ამინ!“ – სინქრონულად, მქუხარედ ამოსროლილი.

მინა ქუფრი ცასავით გრუხუნებდა. ხეები წელში წყდებოდნენ; გადაიხრებოდნენ და გემებივით იმართებოდნენ. მეც მათსავით თავს ვიგიჟინებდი. წინაპრებთან ერთად ვკვდებოდი და კვლავ ვცხოვრობდი – ჭეშმარიტი თავისუფლების ტრაექტორიას მიწოდებოდა. მივინდე ჟამთა სვლას და ყოველი წამი ჩემ თვალწინ დნებოდა. ამოსუნთქვა კი რიტმული და ცოცხალი ენერგიით დამუხტული იყო. ჰაერს ხარბად ვყლაპავდი მუხების ჩრდილქვეშ. ცა იღვრებოდა და სასაფლაოს მინა ყინულივით დნებოდა. მუსიკა არყოფნიდან იზადებოდა. ვიბადებოდი მეც, საოცარ სამყაროში, რომელიც მხოლოდ ახლა აღმოვაჩინე. სულთა შორის ქარივით ვქროდი. თითოეული ტაქტი, თითოეული ნოტი, თვლა და პაუზა, ახალი, უსასრულო სამყარო იყო. ენერგიას ხარბად ვხარჯავდი, როგორც მწყურვალი დაენაფება წყალს. „წყალი, წყალი!“ – ჩამესმა მამაკაცის მოგუდილი ხმა.

– წყალი მიასხით! – ისევ გაისმა, რასაც შხეფების ხმაც დაერთო და ცალი თვალი გავახილე. სამი კაცი და ერთი ქალი მადგა თავს.

– მადლობა ღმერთს, ტვინი არ დაასხი ემაგ ასფალტზედა! სად მიბორიალებდი ამ პაპანაქებაში? კაცო, ბავშვი ხომ არა ხარ?! – თქვა დოინჯემორტყმულმა ქალმა. მერე ხელით მოიწრდილა და გაიხედა-გამოიხედა, – წაიყვანეთ სახლში, ა-იგერა ცხოვრობს, ქოხია თუ ფიცრული ვილაცისა, – მამაკაცებს თითით უჩვენა.

ორმა კაცმა ილღიებში ამომდო ხელი და ერთმა მეორეს გადაულაპარაკა:

– კინალამ არ ევაკუირდა... ჰიი!.. ინვის ქვეყანა და რა?!.. შენა არ მოგსვლია მასე? – მეგობარს მიმართა, რომელმაც თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა, – ეხლა ხო კაათ ხარ ჯიგარო? – მერე მე მომიბრუნდა და ისე უდრტვინველად მომამტერდა, როგორც პროვინციელებს ახასიათებთ. მესამე წინ მიდიოდა, პერიოდულად თავს ატრიალებდა და თვალებით თანაგრძნობას გამოხატავდა. საჩვენებელ თითზე სახლის გასაღებს ატრიალებდა, რომელიც დაცემისას ჯიბიდან გადმომვარდნია. ის ორი კიდე რალაცებს მეუბნებოდნენ, თან ერთმანეთს

ექაჭყანებოდნენ, მაგრამ არაფერი დამამახსოვრდა. მხოლოდ ის მახსოვს რა ხასიათში იყო ნათქვამი, რაც ისედაც ადვილი მისახვედრია.

ჩემი ჩრდილი წინ მშვიდად მიმიძღვოდა; თითქოს ჩემ ნაცვლად გასაღებიან კაცს მიჰყვებოდა. მე კი ძვლების რაკუნით შეძრწუნებული და ამორტიზირებული ვიყავი.

პასტრეპალი

ტყე-ლრეში სპორტული ტრიციკლით გადავადგილდებოდი. აღმართზე ასვლა ადრენალინის სოლიდურ დოზას მაძლევდა, რადგან გადაბრუნების საფრთხე არსებობდა, მაგრამ ამ დროს უფრო კონცენტრირებულად ვიმორჩილებდი საჭეს.

წინ შემოდგომის ფერადი ტყე იყო. დრონი უკან მოფრინავდა და ავტომატურ რეჟიმში იღებდა ზედხედს. აღმართის ავლისას სიჩქარეს მოვუმატე. სისხლი უფრო სწრაფად მოძრაობდა ვენებში, ვიდრე ტრიციკლის მოტორი. სპორტის ექსტრემალურ სახეობებში არითმია დამლუპველია, საფრთხე გაიძულებს კონცენტრირდე და პროცესის საზღვრებში დარჩე. პატარა გორაკზე ვისკუპე; ოდნავ მარცხნივ გადავქანდი, მაგრამ წონასწორობის შენარჩუნება შევძელი და მიწაზე უსაფრთხოდ დავეშვი; სიჩქარეს მოვუმატე, რომ საჭე გამესწორებინა.

ულამაზეს ტყეს ვუახლოვდებოდი. აღმართის დახრილობა შემცირდა და ტრიციკლი თავისუფლად გაქანდა მომწუსხველი პეიზაჟისკენ. ფოთლები ბუმბულივით ცვიოდა, მსუბუქ ნიავს ტყის პირას გამოჰქონდა, თითქოს, საზღვრების დემარკაციას ახდენდა. სანახაობა შთამბეჭდავი იყო. ადრენალინით გაბრუებული გონება ყველა დეტალს მიკროსკოპულ დონეზე ამჩნევდა, მაგრამ რატომღაც ის ტრამპლინით ბორცვი გამოეპარა, რომელზეც დაუფეგმავად ავქანდი და ჰაერში ისლა დავინახე, რომ ტრიციკლი გაშიშვლებული ხისკენ მიექანებოდა, შემამფოთებელი სიჩქარით.

ასეთ დროს გონება უკან იხევს; მხოლოდ კადრებს ხედავს, რაც ისეთ შეგრძნებას ტოვებს, თითქოს, ტვინში ძაფი გაგიტარეს. კუნთები შემეკრა და ქიმიური რეაქცია ენით აღუწერელი ნაზავით მაბუჟებდა. შიში ნეტარებამ გადაფარა. გამოფხიზლების სურვილი არ მქონდა, მხოლოდ განგაშის ხმა ჩამესმოდა საიდანღაც – დრონის ბზუილივით მონოტონური. სახიფათო ნეტარება ვარჩიე ამაო შფოთვის, რომელიც მხოლოდ უსიამოვნოს გახდიდა უკანასკნელ ამოსუნთქვას. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ერთი თვალის შევლებით, ორიოდე წამში, თუ უფრო ნაკლებში არა, ამდენი რამ მოხდებოდა – ცხრა თაობა იცხოვრებდა იმ ერთ ნახტომში.

ასეთი ფრენით ტკბობა წარმოუდგენელია. ჯერ მხოლოდ იმ განცდით ვტკბებოდი, რაც აფრენისას

განვიცადე, შემდეგ უკვე ტრიციკლზე აღარ ვიჯექი, არც სხეულის განგაშს ვუსმენდი. ეს ფრენა მარადიული მეჩვენებოდა. ტრიციკლი თითქოს ბალისტიკური რაკეტა იყო, რომელმაც თავის ფუნქცია შეასრულა და ხომალდს ჩაეხსნა.

საჭეს ხელი გავუშვი – მისი დამორჩილების აუცილებლობა აღარ არსებობდა. წინა ბორბალი მოშიშვლებული ხისკენ მიფრინავდა. წინააღმდეგობის განწევაზე უარი ვთქვი და Wingsuit-ის პილოტივით გავფრინდი ფერადი ტყისკენ. იმ აზრმა, რომ ხეს თავით მივეხლებოდი, მსუბუქად გამიარა გონებაში - თითქოს, სპონტანური ფლირტი იყო. მეც ასე მსუბუქად გავიარე შიშველი ხის მოჩვენებით სიმყარეში; გონებაში რომ გამიარა, ანდა ნემსის ყუნწში გატარებული ძაფით გავიარე და მეორე მხარეს გამოვფრინდი, სადაც ფერად-ფერადი ფოთლები გაფანტა დაცემისგან წარმოქმნილმა ჰაერის ნაკადმა. ისე ავდექი თითქოს ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი. როგორც წყალში კენჭი, ისე გავიარე ხეში, რომელიც წამოდგომისას პირველი მოხვდა ხედვის არეალში. მერე მეორეს გამოვეცხადე და საკუთარ სხეულში მოვიქციე, რადგან ჩემზე მსხვილი არ იყო. ფოთლები დანის წვერივით ატანდა ჩემში და საპირისპირო მხარეს გადიოდა.

დრონი ზევიდან დამზუზუნებდა, მაგრამ კამერა ვერაფერს დააფიქსირებდა, მხოლოდ ტყე გადაიღო, თავის მინორული ფერთა შეხამებით. ერთადერთი რაც მაფერხებდა ის იყო, რომ სხეული მაინც რეაგირებდა, როცა მორიგ ხეს ვუახლოვდებოდი; გაკონტროლება მიწევდა, რომ არ შემცბარიყო და მოძრაობა არ შეეფერხებინა.

აღტაცებას თანდათან შევეჩვიე. იმ ტყეში თავს ისე ვგრძნობდი, როგორც საყვარელი ქალის კლანჭებში გაყურებული მამრი. ნელ-ნელა ტრიციკლისკენ წავედი და, როგორც ვვარაუდობდი დაზიანება არ ჰქონდა, თუმცა არც იმ გამელოტებულ ხეში გაუვლია, რომელსაც მიასკდა. ტრიციკლს მოვახტი და ჰიპერრეალურ ტყეში დაბალი სიჩქარით შევედი. ექსპერიმენტის ცდუნებას ვერ გავუძელი: ხელი გავიშვირე, რომ ხეებს თითებით შევხებოდი. არ მგონია არსებობდეს მეცნიერება, რომელიც ამ ფენომენის განმარტებას შეძლებდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ცოდნა მე არ მაქვს და უბრალოდ გული მიგრძნობდა, რაკი ტრიციკლმა ხეში ვერ გაიარა, ვერც მე შევძლებდი ამას, სანამ მასზე ვიყავი ამხედრებული. ვფიქრობ, გამიმართლა, რომ საჭეს ხელი გავუშვი, რადგან ასეთ შედეგს ვერ წარმოვიდგენდი და წინასწარ არ განმიზრახავს.

ტყე გავიარე და საღამოსკენ თბილისში დავბრუნდი. ცხადია, ამ ამბავს თუ ვინმეს მოვუყვებოდი, ნებისმიერი გიჟად ჩამთვლიდა და მისი დაწერა გადავწყვიტე; ახლა არავინ იფიქრებს, რომ ეს ამბავი მეტაფორაზე მეტია, რომელიც კონკრეტულ მეტაფიზიკურ ფენომენს აღწერს.



გიორგი ჩერეხია

* * *

დახურე წყეული პალატის კარები,
ძინავს თქო – უთხარი ნემსიან ექიმებს.
გიჟი ვარ. ხომ ხედავ, ჩემს ციფერ თვალეში
სისხლიან სიმებს და მოშავო წერტილებს?

შემხსენი უკნიდან შეკრული ხალათი,
ნამო რა, უბრალოდ ფანჯრიდან გადავხტეთ.
შენ არ გაქვს თოვლივით მოთეთრო ბარათი?
მე მაქვს და ორივეს გვეყოფა. დაღამდეს

– იქნება წყეული ეს შუქიც გამორთონ,
ვერ ვიტან სინათლეს. (თავადაც ვერ მიტანს)
გახსოვდეს არასდროს, არასდროს არ მოგთხოვ
გიყვარდე. რა გინდა ჩემნაირ შემლილთან?!

ბავში ხარ, იმდენად სუფთა და პატარა
თავადაც ვერ ვხვდები, რით დაგიმსახურე.
– გიყვარვარ?
– მიყვარხარ...მიყვარხარ... აბა რა...
– მაშინ გთხოვ პალატის კარები დახურე...

* * *

ხომ იცი მიყვარხარ რარიგად
და მაინც რომ უნდა წავიდე,
წურაფერს გამატან, არ მინდა,
უბრალოდ შენ უნდა დამპირდე,

რომ ნახავ ისეთ კაცს, ვინც არ წერს,
არ სვამს და არც ტკივილს მოგიტანს.
ვინც ადგილს პოულობს მიწაზე
და თავსაც არასდროს მოიკლავს.

აბა მე, შენ რაში გარგივარ?
ან რაში გარგია ლექსები?
უბრალო პოეტი კაცი ვარ,
სხვა საქმეს ვერაფრით ვერგები.

ზეციდან ჩამოყრილ ბარათებს
ვკითხულობ, წერია – „ამოდი“.
დავითვლი ერთხელაც სამამდე
და მერე შუაზე გაპოვილ

გულს მივცემ უფლებას გაჩერდეს
(ახია შენზე, რომ ჩემთან ხარ).
მე ტყვიას ვაგემებ საფეთქლებს
და მიწას იმ სისხლით შევლახავ,

რომელიც დედება წლებია
და დღემდე კვლავ რომ არ შედედდა.
მივდივარ, სადაც არც გზებია
და აღარც ტაძრები შენდება.

გამიგე, ვიცი, რომ რთული ვარ,
დღითიდღე ათმაგად ვრთულდები.
მე მხოლოდ დედასთან ვტყუივარ,
როდესაც სახლში არ ვბრუნდები.

შენთან კი იმასაც არ ვმალავ,
რომ დამრჩა ორი თუ სამი დღე.
მიყვარხარ და მაინც პატარავ,
ხომ იცი, რომ უნდა წავიდე.

* * *

...როცა ღამეა და ვარსკვლავები
ციდან ფანტელივით ეშვებიან.
მაშინ წიგნს გადაშლი დანანებით
და ზედ წაწერილი „ჩერქეზია“
თითქოს იმედით და გრძნობით გავსებს,
გინდა ოცნებად რომ ჩამიფიქრო,
მე კი ვეძალები ამ დროს სასმელს,
ვცდილობ ასე მაინც დაგივინყო.

როცა თენდება და არ გიხდები
(ანუ არ მოვდივარ არც ამ დღით).
განა მთვრალი ვარ და მავინყდები?
მე შენს სახლთან ვდგავარ პოეტივით.
ლექსებს გიკითხავ და კენჭებს ვესვრი,
შენი სახლის ფანჯრებს, ფარდებიანს.
მაგრამ შენ არ გესმის ჩემი ლექსი,
მხოლოდ მეზობლებს და ბრაზდებიან.

* * *

ახლა ღამეც კი შენს თვალეზე უფრო ფერადი
არის და ღმერთმა გაპატიოს სულის დაცემა.
შენ ხომ უბრალოდ ხორცი ხარ და ხარ ერთჯერადი,
აგიყოლიეს მანანწალა, ლოთმა კაცებმა.

პოეტი ვარო გაჰყვირი და ფრენას ინდომებ,
სხეულს გიმშვენებს მანტია და თავს დიადემა.
სასახლე, სადაც ახლა ცხოვრობ, გამოიგონე,
რადგან უბრალოდ გარეთ გსურდა ღამის გათევა.

ლაპარაკობენ შენზე... თუმცა რა აქვთ სათქმელი,
ვადაგასული ხორცისაგან შექმნილ კაცუნებს?
მათ არ იციათ, რომ ტკივილებს შველი სასმელით,
და რომ შენ, მთვრალმა, პოეზიის ზღვა გადაცურე.

სიყვარულს მხოლოდ იმ ერთადერთს თუ უზიარებ,
რომელიც შენთან ახლოა და შორია თანაც.
სული გტკივა და მონატრებულ სახელს ღრიალებ,
თუმც შენს თვალეშიც ნათლად მოსჩანს სახელი
„ანა“ ...

* * *

შენ არ უხდები შენი ქმრის სახლს, არც ეგ საწოლი უხდება, რადგან იმხელაა, სივრცეებს იტევს. შენ გადაიჭრი ალბათ ვენებს ასჯერ გაზომვის გარეშე, მაგრამ კვლავ ვერ დასძლევ პოეტზე ფიქრებს.

შენ არ გიხდება მეამბოხე ქალის იმიჯი, მე მომისმინე და გასწავლი რაც შენ გიხდება. ჩემს ოცნებებში ერთად ვცხოვრობთ, ვკმარობთ თივის ზვინს, შენ ოცნებებში ქმარი გიკვდება.

შენ ყოველ ღამით წითელ კაბას იცვამ და წვები, ისევ იმ დიდ და სივრცეებით სავსე ლოგინში. ოცნებობ, თუმცა აზრი არაქვს – თავადაც ხვდები, რომ რამდენჯერაც ქმარი გასურდა, კვლავ მე მოგიკვდი.

* * *

შენ ყოველ ღამე მღალატობ ჩემთან, რადგან მე მხედავ ყველა სხეულში. და დილით, როცა სარკის წინ დგებარ ხვდები შეცდომებს, რაც კი დაუშვი.

ტირიხარ, ნანანობ და ვერც იაზრებ, რომ ვენებს ნემსით არ უნდა რყვნიდე. დგახარ შიშველი სხვის აივანზე, არადა ახლა აქ უნდა იდგე.

ჩემი ოთახის ნათელ კუთხეში. ქარი გინევდეს მორცხვად დალალებს, მაგრამ შენ ეხლა ვილაც უხეში კაცის სახლში ხარ და გიკანკალებს

მთელი სხეული, რადგან შენც ხვდები, რომ მე ვერასდროს მიპოვნი სხვაში. შენ ყოველ ღამე სხვის სახლში წვები, მე ყოველ ღამე მარტო ვარ სახლში.

* * *

შენ შეგიძლია, ოცნებები მიქციო ცხადად, რაის გაფრენა? მე უშენოდ სუნთქვაც კი მიჭირს. ჩემი გულია, მოუფრთხილდი, მკერდით რომ დაგაქვს, წერას ვინ ჩივის? არსებობის დაგკარგე ნიჭი.

ფერდაკარგული დღეებია თებერვალივით და ჩემს ლექსებსაც ტკივილები ფიქვებად ათოვს. შენი ტუჩები, ვერდაპყრობილ მთის მწვერვალივით, მიზიდავს, მაგრამ ველარასდროს დავიპყრობ (ვატყობ).

შენი თვალები ცაზე მეტად მუქია უფრო, ალბათ, ღმერთებმა დაგამჩნიეს ხალი ლოყაზე. როცა ილიმი ტკივილები მიჩრება თითქოს და მხოლოდ მაშინ აღარ ვფიქრობ თავის მოკვლაზე.



სერგო ლომაძე

**გრანელი –
ბანიალური
ქართველი პოეტი**

ტერენტი გრანელის შესახებ დღესაც არ წყდება კამათი. რაც მას

ეხება, თითქმის ყველაფერი საკამათო გახდა, ვთქვათ – დაბადების თარიღიც კი. ზოგთა ცნობით, გრანელი 1897 წლის 3 ივნისს (ან – 25 ნოემბერს) დაიბადა წალენჯიხაში, რომელიც მაშინ სოფელი იყო, ახლა კი ქალაქად მოიხსენიებენ ხოლმე... მაგრამ სხვანი ამბობენ, რომ გრანელი 1901 წელს დაიბადა... შედარებით უფრო მყარად იცინა მისი გარდაცვალების თარიღი – 1934 წლის 10 ოქტომბერი, ადგილი – მთავარქალაქი თბილისი, „არამიანცის“ საავადმყოფო...

ტერენტი სამსონის ძე კვირკველია, რომელმაც პოეტურ ფსევდონიმად „გრანელი“ აირჩია, და ეს ფსევდონიმი მას ძალიან მოუხდა, დარჩა ისტორიაში, როგორც პოეტი ტერენტი გრანელი, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ტრაგიკული პიროვნება კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში. იგი ხუთი წლისა დაობდა, მამა სამსონი და დედინაცვალი – დარია მეზონია-კვირკველია ზრდიდნენ. მშობლებს გრანელის დებიც – მაშოც და ზოზიაც ეხმარებოდნენ პატარა ტერენტის აღზრდაში. ბავშვს ყველა ესენი უყვარდა, მაგრამ მაინც, ობოლს, ძალიან მგრძნობიარეს, გაუჩნდა, თავიდანვე, მეღანქოლი-ისკენ მიდრეკილება. ამ მიდრეკილებას, მისი სრული სიცოცხლის განმავლობაში, აძლიერებდა ცხოვრება, მთელი თავისი მუხანათობით. ტერენტის ობლობას მალე ის დაემატა, რომ ოჯახს სახლი დაენვა, რის გამოც, ისედაც ღარიბი კვირკველები, საშინელ სიდუხჭირეში ჩავარდნენ. ერთი კი არის, – გრანელი დადიოდა სკოლაში, სადაც ყველაფრით გამოირჩეოდა, ხოლო ეს ახარებდა. ამ უნიჭიერეს ბავშვს ჰქონდა საოცარი მიდრეკილება წიგნებისაკენ, საერთოდ – განათლებისაკენ, და მას „მოსწავლეთა მეფეს“ ეძახდნენ. იგი წალენჯიხის სკოლაში სწავლობდა. გრანელს უყვარდა ეს სოფელი. რაც შეეხება მისი განათლების სისრულეს, ამაში იაკობ შანავას მიუძღვის დიდი წვლილი, რომლის ბიბლიოთეკაში გრანელმა უამრავი საინტერესო წიგნი მოიძია და წაიკითხა. ტერენტის უყვარდა იაკობთან საუბარი. ამ იაკობს, ზოგნი, თვით დიდ იაკობს – გოგებაშვილს ადარებდნენ.

1918 წელს გრანელი თბილისში გამოჩნდა. ის, აქ, ჯერ დებთან ერთად ჩამოვიდა, თუმცა მერე მარტო ცხოვრობდა. პოეტი, დებს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, საოცრად აფასებდა. მაშო საკმაოდ მკაცრი და მზრუნველი იყო, ზოზია – ლამაზი და ხალისიანი. ორივე იყო სიმპათიუ-

რი, თბილი, მოსიყვარულე ადამიანი, თუმცა ზო-ზია მაინც გაცილებით უფრო გახსნილი გახლდათ ურთიერთობებში და მისი გენიალური ძმის შესახებ საუბარი განსაკუთრებით უყვარდა.

გრანელმა, თბილისში, არაერთი სამუშაო გამოიცვალა, პოლიტიკასაც კი მოკიდა ხელი, მაგრამ, საბოლოოდ, გული ვერაფერს დაუდო, დარჩა უსახსროდ. იგი, ადრე – მეგობართა მოყვარული, მარტოობას მიეჩვია და ღრმა მელანქოლიას მიეცა, საბოლოოდ – სულიერად დაავადდა... თუმცა, იქამდე, ჯერ დროა გასავლელი, დროის მანძილი. ჯერ, ვთქვათ, 1918 წელია, გრანელი თბილისში ახალჩამოსულია, ჯერაც იმედებით სავსეა, და ხვდება, ის, ორ ფილოსოფოს-ფილოლოგს: შალვა ნუცუბიძეს და სიმონ ყაუხჩიშვილს. პოეტი დადის ნუცუბიძის ლექციებზე, სხვა პროფესორების ლექციებზეც, და, გარკვეულ ხანს, ცოდნას იღებს უნივერსიტეტისგან.

1918 წელს, ნაციონალ-ფედერალისტების გაზეთ „სახალხო საქმეში“, ყაუხჩიშვილმა დაუბეჭდა, პოეტს, ლექსი. გრანელი, პირველად, ოფიციალურად, ასე გამოჩნდა პოეზიაში.

1920 წელს, გობრონ აგარელთან ერთად, გრანელმა გამოსცა პატარა წიგნი – „პანაშვიდები“, ხოლო 1921 წელს, გრანელმა, ასევე პატარა წიგნი – „სამგლოვიარო ხაზები“ გამოსცა. ამ პოეტური წიგნაკებით, მან, გარკვეული აღიარება მოიპოვა, ხოლო გობრონ აგარელთან, გიონ საგანელთან და ზოგ სხვა პოეტთან ერთად, თავისი საძმოც შეაკონინა.

მაშ ასე, – არის ათიანი და ოციანი წლები, – ბობოქარი დრო ქართული პოეზიისა. 1915 წელს გარდაიცვალნენ დიდი ეპიკოსები – აკაკი და ვაჟა. მათ, რა თქმა უნდა, ლირიკაშიც ჰქონდათ წარმატებები... აი, უდიდესი ქართული პოეტური ეპოსები:

1. „ვეფხისტყაოსანი“.
2. „განდეგილი“.
- 3-4. „ალუდა ქეთელაური“.
- 3-4. „სტუმარ-მასპინძელი“.
- 5-6. „გამზრდელი“.
- 5-6. „გველისმჭამელი“.
7. „თორნიკე ერისთავი“.

როგორც ხედავთ, ჩემს ერთ-ერთ რეიტინგ-ლისტში ვაჟას სამი პოემა შევიდა, ხოლო სია რომ, ვთქვათ, ოცამდე გამეზარდა, იქ კიდევ არაერთი ვაჟასეული ქმნილება მოხვდებოდა, მაგალითად – „ბახტრიონი“, „ნანგრევთა შორის“ და ზოგი სხვაც. ვაჟა ბევრ რამეს ჩანდა, უპირველესად კი – რუსთველურ აზროვნებას: პოეტურს, ფილოსოფიურს, სიმბოლურს და ასე შემდეგ. გენიოსი რუსთველი უზარმაზარი გრძნობა-გონების კაცი იყო, რომელმაც მისი უსასრულოდ პოეტური ტექსტი აავსო ქვეტექსტებით, მინიშნებებით, სიმბოლოებით... მარტო ცრემლის სიმბოლო რად ღირს... და ლომი – სახება ტარიელის... ლომი – მეფო-

ბის, იმპერატორობის, თვით ღმერთობის სიმბოლო, ბრძოლა-ომის, შეუპოვრობის, ძალაუფლების, უდიადესობის სიმბოლო, უამრავი სხვა რამის დამტევი სიმბოლო... და ვეფხვი (ასევე – რომელიმე სხვა ძლიერი მხეცი კატისებრთა ოჯახისა) – სახება ნესტანის... ტარიელი, რომელიც ვეფხვის ტყავს ატარებს, ანუ – მარადნესტანით, ანუ – მარადსიყვარულით შემოსილი ტარიელი... მარადსიყვარულით აღსავსე ადამიანი, ეს ხომ – ღმერთკაცია, ღმერთია... ძმობის სიმბოლო-სამეული: ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი... შევეშვათ ამ თემებს, თორემ უსასრულობაში დავიკარგებით... ვაჟა, ალბათ, ყველაზე უკეთ ჩანდა რუსთველურ აზროვნებას. მისი გენიალური შემოქმედება არის ნამსხვრევები „ვეფხისტყაოსნისა“, და მაინც – ვაჟა სრულიად დამოუკიდებელი პოეტია, თავისუფალი პოეტია, გენიოსია... სიაში, დიახ, აკაკის პოემებიც არის... ხოდა ერთ წელიწადს, ერთმანეთის მიყოლებით წავიდნენ ქართული პოეზიის ეს ჩემპიონები, მეფეები, – აკაკი და ვაჟა. მათზე ადრე ტახტი სხვებს ეკავათ: რუსთველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას. კიდევ სხვებსაც ამატებენ ხოლმე ამ ჩამონათვალს (მაგალითად – ბესიკს – მეთვრამეტე საუკუნიდან, სხვებსაც – სხვადასხვა დროთაგან).

აკაკის და ვაჟას ნასვლამ დააოხლა ქართული პოეზია. დაიწყო ძებნა ახალი ლიდერისა, ახალი მეფისა. არ დაახანა გალაკტიონმა და ათიან წლებშივე გამოაცხადა თავი პოეზიის მეფედ. ასევე მოიქცნენ პაოლო და ტიციაანი, თუმცა, მერე და მერე, პაოლომ ტიციანზე გააკეთა აქცენტი, ასე ვთქვათ, მთელი ფსონი მასზე დადო. რაც შეეხება თვითონ ტიციანს, ის ხან უმეფობის ხანაზე საუბრობდა, ხან კი გულწრფელად ეთანხმებოდა პაოლოს. მაშ ასე, – ოციანი წლების დასაწყისისთვის, მთავარ მეტოქეებად, ორი ტაბიძე გამოიკვეთა. ამას არ იზიარებდნენ ასაკით უფროსი პოეტები, – შანშიაშვილი, გრიშაშვილი, აბაშელი და სხვები. აბაშელის კერპი ნოე ჩხიკვაძე იყო, რომელიც, გარკვეულმა ძალებმა, მალევე დაღუპეს...

1921 წელს შედგა პოეზიის მეფის არჩევნები. რომელსაც, ბევრმა, ბოიკოტი გამოუცხადა, მათ შორის – ცისფერყანწელებმაც, რომელთაც თავიანთი ლიდერები ჰყავდათ. საბოლოოდ, უფრო, სამი პოეტის კანდიდატურა გამოიკვეთა, – გალაკტიონის, გრიშაშვილის, შანშიაშვილის. გალაკტიონს მხარი დაუჭირა ქუჩიშვილ-იმედაშვილ-ეკალაძის ჯგუფმა, ჩიქოვანმაც, სხვებმაც მისი პოზიცია გაამაგრეს, მაგრამ მყარი გამარჯვება სახეზე ეგებ მაინც არ ყოფილიყო, საქმეში რომ გრანელი და მისი ჯგუფი არ ჩარეულიყო. მათ გალაკტიონს დაუჭირეს მხარი. კენჭისყრაში (ბიულეტენების შევსებაში) საერთოდ, ცოტამ მიიღო მონაწილეობა, მაგრამ კამათში, დისკუსიებში, სხვებიც ჩაერივნენ. საბოლოო ჯამში გამარჯვებული გალაკტიონი დარჩა. საერთოდ, უამრავი ლექსი და პოემა დაწერა

გალაკტიონმა, იმ დღეს კი სულ რამდენიმე ლექსი წაიკითხა. ამბობენ, რომ ერთ-ერთი ამ ლექსთაგანი გახლდათ „ეფემერა“, რომლის პირველი ვარიანტი უკვე მაშინ შექმნილი ჰქონდაო პოეტს...

საბოლოოდ, გალაკტიონმა და გრანელმა, ვერცერთ პოეტურ დაჯგუფებაში მოიკიდეს ფეხი. მათ, ეს, ეგებ არც სურდათ, ეგებ არც სჭირდებოდათ. მიუხედავად ამისა, ზოგ დაჯგუფებებთან მაინც ჰქონდათ ახლო ურთიერთობა, თუმცა საქმე ვერ დაალაგეს მათ შორის ყველაზე ძლიერთან – ყანწელებთან. ეს ცამეტკაციანი დაჯგუფება (იაშვილი, ტიცვიან ტაბიძე, გაფრინდაშვილი, ცირეკიძე, რობაქიძე, კარმელი, ნადირაძე, მინიშვილი, ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი, აფხაიძე, გვეტაძე, ჯაფარიძე, ხანდახან არსენიშვილს, ჭიჭინაძეს, სხვებსაც მოიხსენიებენ ხოლმე მათ რიგებში), რომელიც, მაშინ, პირველობდა დაჯგუფებებს შორის, ალმაცერად უყურებდა გალაკტიონსა და გრანელს, რადგან ეს ორი გენიოსი უშლიდა ხელს იმას, რომ მაშინდელი დრო ყანწელთა დროდ დარჩენილიყო. საბოლოო ჯამში, ის, ალბათ, გალას, გრანელის და ყანწელების დრო იყო მაინც, – ერთად შექმნეს ეპოქა ამ მეტოქეებმა. ყანწელები ვერ იმეტებდნენ გალას, – ტიცვიანთან ნათესავობის გამო, ხოლო გრანელთან ჰქონდათ სერიოზული შეხლა-შემოხლა, თუმცა ეს ყოველივე მათი შერიგებით დასრულდა.

1921 წელს თქვა გრანელმა, – გალაკტიონს დავუთმე მეფის გვირგვინიო. ეს მერეც არაერთხელ თქვა, თუმცა, როცა, 1924 წელს, ტერენტიმ, თავისი ლეგენდარული წიგნი – „მემენტო მორი“ გამოაქვეყნა, გრანელსა და გალაკტიონს შორის, გალაკტიონსა და გრანელს შორის, უმძიმესი მეტოქეობა დამკვიდრდა, ალბათ – საუკუნის პოეტური მეტოქეობა (თუმცა ასეთი მეცხრამეტე საუკუნეშიც იყო – ილიასა და აკაკის შორის. მერე, ამათ, ვაჟა შეემატათ. ხოლო გალაკტიონს და გრანელს თავიდანვე არ ასვენებდნენ ყანწელები... საერთოდ, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეები ერთნაირად საინტერესოა, ძალიან საინტერესო... ძალიან საინტერესოა ოცდამეერთე საუკუნეც)... გრანელმაც მეფედ გამოაცხადა თავი და, ასე, 1927 წლამდე, გალასთან ერთად, იგი იყო ერთ-ერთი ლიდერი პოეტური სივრცის. კონკრეტულად პოეტურ პაექრობებშიც ისინი უძლეველნი იყვნენ. ლექსებით შეჯიბრებებში ყველას ამარცხებდნენ. მხოლოდ რომელიმე ყანწელი თუ მიაღწევდა მათთან იშვიათ ყაიმს, ხოლო ერთმანეთს შორის, გალა და გრანელი, მეგობრულ ყაიმებს სჯერდებოდნენ. სხვას ყველას ამარცხებდა ეს ორი, ყანწელებიდან დაწყებული, ფუტურისტებით დასრულებული, ხოლო პროლეტარული მწერლები ხომ, მათთან, საერთოდ, ახლოსაც ვერ მივიდოდნენ... თუმცა ახალი რეჟიმი – წითელი რეჟიმი სწორედ რომ პროლეტმწერლებს (პოეზია, პროზა) უჭერდა მხარს. კრიტიკოსებიც ამათ წაახმარეს. ბესო ჟღენტი და



ტერენტი გრანელი და გალაკტიონ ტაბიძე

სხვანი და სხვანი თავს ესხმოდნენ ახალმოწესეთა მოწინააღმდეგეებს (თუმცა, ბესო, არც პროლეტმწერლებს ინდობდა). პოლიტიკოსებმა თითქმის ყველა გატყვეს სულიერად, და დაიმონეს, ხოლო რომელნიც ვერ გატყვეს, ისინი მოსპეს ან გააძევეს. გალაკტიონმა დაკარგა ყველაფრის ხალისი. იგი, ოცდაათიანი წლებიდან, ასე ვთქვათ, „პროფესიონალ ლოთად“ ჩამოყალიბდა. ისედაც უყვარდა სმა, ხოლო ახლა უკვე ხსნას პოულობდა ალკოჰოლში, არასიფხიზლეში. ოციანი წლების ბოლოს, უფრო კი – ოცდაათიანი წლებში დაიწყო მისი დაცემა, თუმცა, არაერთხელ, გალა მაინც გამოანათებდა ხოლმე, და აფრთხობდა მოშურნეებს. მას, ისევე, როგორც გრანელს, სიცოცხლის ბოლომდე შეეძლო შედეგების შექმნა, თუმცა, ორივემ, ძველებური პოეტური შემართება მაინც დაკარგეს. მიუხედავად ამისა, გალამ მოასწრო და 1927 წელს გამოსცა წიგნი-შედევი: „ზარნიშაიანი წიგნი“ (ხშირად სწორედ ასე მოიხსენიებენ ამ პოეტურ ნაშრომს)... აქვე შემოგთავაზებთ ხუთი საუკეთესო ლირიკული წიგნის რეიტინგ-ლისტს, – ესეც ჩემი ერთ-ერთი სია გახლავთ:

1. ბარათაშვილის ის კრებული, რომელშიაც ქმნილებები არაა დალაგებული ქრონოლოგიის მიხედვით. (თუმცა ასეთი კრებულებს სხვადასხვაგვარად ადგენენ სხვადასხვა ადამიანები. გამომცემლობები მაინც ცდილობენ, რომ უპირატესობა ქრონოლოგიურ კრებულებს მიანიჭონ, რაც, ამ პოეტთან მიმართებაში, წამგებიანია. თანაც, ბოლო-ბოლო, არაქრონოლოგიური თანმიმდევრობის დროსაც ხომ შეიძლება, რომ ქმნილებათა ბოლოებში დაფიქსირდეს მათი შექმნის თარიღები).

2-3. „ზარნიშაიანი წიგნი“.

2-3. „არტისტული ყვავილები“.

4-5. „მემენტო მორი“ – ოთხმოცდაათიანი

წლების გამოშვება ანუ – განვრცობილი ვერსია.

4-5. „მემენტო მორი“ – 1924 წლისა.

ტერენტი გრანელზე ძალიან დიდი იყო ზეწოლა რეჟიმის მიერ. გალა ხომ გაალოთეს, ყანწელთა ლიდერები ხომ დალუპეს, ხოლო გრანელი, რომელმაც არ უღალატა თავის პოეტურ ხაზს, ფსიქიკურად შეარყიეს. ამბობენ, რომ, ოციან წლებში, მას, ნელ-ნელა განუვითარდა ფსიქოლოგიური პრობლემები, და ბოლოს, ამან, მძიმე ხასიათი მიიღო. გრანელმა საერთოდ დაკარგა ხალისი, შემართება. 1926 წელს გამოდის მისი ლექსების ბოლო წიგნი, ხოლო როცა, 1927 წელს, გალაკტიონის წიგნი გამოვიდა, გრანელს აღარც შეეძლო და აღარც საშუალება ჰქონდა, რომ ამ წიგნისთვის პასუხი გაეცა. ის, ფაქტურად, უკვე ჩამოშორებული იყო პოეტურ სივრცეს. მაინც ბოლომდე წერდა. ზოგი თვლის, რომ გრანელს, ბარათაშვილის მსგავსად, ყველა პოეტური ნაწერი დიდებული აქვს, რომ ის სუსტად არასდროს წერდა. ზოგი ასევე თვლის, რომ ამ ორ პოეტს, ისევე, როგორც, ვთქვათ, გალაკტიონს და ფიროსმანს, სიცოცხლის გარკვეულ ეტაპზე განუვითარდათ შავი მელანქოლია, – სულიერი ავადმყოფობა, რომელიც შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოვლინდეს. ეს ავადმყოფობა ანადგურებს სულს (სხეულსაც). იგი იშვიათად იკურნება. მელანქოლიის ეს ფორმა გამოწვეულია მძიმე ცხოვრებისაგან. დიახ, გრანელს მძიმე ცხოვრება ჰქონდა, უმძიმესი ცხოვრება. ადამიანებმა „იზრუნეს“ იმისათვის, რომ მას პრობლემები კი არ მოკლებოდა, არამედ – მომატებოდა. ყველამ ერთად დალუპა გრანელი...

საქართველოს უდიადესი მეფე დავით აღმაშენებელი იყო, – საოცარი ქართველი, რომელმაც საუკუნეებს დახედა ზემოდან. სხვათა შორის, ის მრავალმხრივი ადამიანი გახლდათ, მაგალითად, – პოეზიასაც დაატყო ხელი, როცა შექმნა დიდებული „გალობანი სინანულისანი“, – ეს თავისებური ჰიმნოგრაფიული ნიმუში, და რუსთველამდე პოეტურ მარგალიტებს მანაც შემატა ეშხი. წერდა, პოეზიას, გრიგოლ ხანძთელიც, სხვანიც და სხვანიც.

მერე გამოჩნდა მართლაც რომ უდიადესი მეფე – ქართველი გენიოსი შოთა რუსთაველი, რომელმაც ყველა დაჩრდილა და პოეზიაში ახალი ეპოქა მან დაიწყო – როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში. რუსთველი უპირველესი ქართველია, ხოლო მისი სიდიდე, უდიადესობა, არის განუზომელი, არასდროს მბეზრდება რუსთველის ქება. მას სხვა პოეტები მოყვნენ. გრანელი იყო ერთ-ერთი ბოლო გენიოსი სულ ახალი დროის პოეზიამდე, იმ პოეზიამდე, იმ ხელოვნებამდე, რომელიც ოთხმოცდაათიან წლებში მკვეთრად გამოჩნდა და დღესაც გრძელდება.

მძიმე აღმოჩნდა გრანელის ბედი. ბოლოს, იგი, თითქმის მიივინყეს. მარტოდმარტო დარჩენილი, დახეტიალობდა თბილისის ქუჩებში ნახევრად-შემ-

ლილი გენიოსი. შემოიღო-გენიოსის ეს ხატება ძველი თაობის ბევრ წარმომადგენელს სამუდამოდ დაამახსოვრდა და გრანელთან შეხვედრებს ისევე ხშირად იხსენებდნენ, როგორც შეხვედრებს გალაკტიონთან. მათ, ორივეს, თბილისი ყველაზე მეტად უყვარდათ, თბილისი ისე უყვარდათ, როგორც პოეზია, როგორც ქართული ენა, ის ენა, რომელზედაც დაწერეს თავიანთი წიგნი-შედეგები, ის ენა, რომელზედაც დაიწერა თვით „ვეფხისტყაოსანი“... ერთი-ორჯერ შემოიღოთ სახლშიც მოათავსეს გრანელი, თუმცა იგი გაიქცა იქიდან და ისევ მოედო თავისი საყვარელი თბილისის ქუჩებს, თბილისის ბაღებს, უყვარდა შეხეტება ეკლესია-მონასტრებშიც... ერთხელაც, იგი, ქუჩაში იპოვეს, ეძინა, მკვდარივით ეძინა. საავადმყოფოში გადაიყვანეს. იქ სიმპათიურმა, პოეზიის მოყვარულმა მედდამ იცნო. გრანელმა მას რამდენიმე ლექსი წაუკითხა, რითიც ძალიან გაახარა ქალი. მერე ისევ ჩაეძინა გრანელს, ამჯერად – სამუდამოდ. იგი აღარ დაბრუნებულა სიზმართა მხარიდან, ირეალობიდან... გრანელი მარადისობაში წავიდა სამოგზაუროდ... მახსენდება ვან-გოგის სიკვდილი. ის, მძიმედ დაჭრილი, მისმა ძმამ მოინახულა. ვინსენტს საოცრად უყვარდა უმცროსი ძმა. ისინი მარტო დარჩნენ ოთახში, რომელსაც საათის წიკნიკი ავსებდა. ძმა ყველაფერს დაჰპირდა ვინსენტს, ოღონდაც გენიოსი-მხატვარი არ მომკვდარიყო. ვინსენტი მშვიდად იწვა სანოლზე, ისმენდა ძმის სიტყვებს და მკრთალად იღიმოდა. მერე ეს უთხრა, ძმას, მხატვარმა: „რა კარგია, რომ ერთად ვართ, აი, ზუსტად ისე, როგორც – ჩვენს ბავშვობაში“... შემდეგ ჩაეძინა ვინსენტს და აღარ გაუღვიძია... გარდაცვალების შემდეგ, ვან-გოგი, გენიოსად აღიარა ყველამ. მან, მისმა ხელოვნებამ, შეცვალა სამყარო. გენიოსები ხომ სამყაროს ცვლიან. ვინსენტის შესახებ დაიწერა სიმღერა, რომელიც ასევე ყველამ აღიარა...

გარდაიცვალა გრანელი, მაგრამ მან მაინც გაიმარჯვა, – გავიდა წლები, იგი აღიარეს, გრანელმა შეცვალა სამყარო თავისი ცხოვრებით, თავისი დიდი პოეზიით...

ბევრი სხვა პოეტის მსგავსად, გალას და გრანელს მთები უყვარდათ, განსაკუთრებით – მთაწმინდა, – თბილისის ყველაზე უფრო ლეგენდარული მთა, რომლის გალენგენდებაც ჯერ კიდევ ბარათაშვილმა ჩაუყარა საფუძველი თავისი დაუვინყარი ლექსით. ხოდა ამ სამი სუპერლირიკოსიდან ორი სწორედ რომ მთაწმინდაზე დასაფლავებული, გრანელს კი არც ამაში აღმოაჩნდა ბედი, – ჯერ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაკრძალეს, მერე დიდუბის პანთეონში გადასვენეს, თუმცა მთაწმინდის მიწა არა და არ აღირსეს ამ გენიოს-პოეტს. არაერთხელ ველაპარაკე მისტერ ფენომენს – კახა ბაციკაძეს ამის შესახებ, მაინტერესებდა მისი აზრი. კახა საოცრად პოეტურია, რომანტიკულია, იგი ნამდვილი თბილისელია, და

ვერ წარმოუდგენია მთანმინდა ბარათაშვილის, გალაკტიონის, გრანელის გარეშე. ასევე ფიქრობს ჩემი მეორე უახლოესი მეგობარიც – გიორგი ზუხბაიაც. ზუხბას აზროვნების გიგანტად, გოლიათად, (ტიტანადაც) მივიჩნევ. მისი პოეტური აზროვნება მართლაც რომ გრანდიოზულია, და რა გასაკვირია, რომ ასეთი ადამიანი ღრმად ჩანვდეს გრანელის ხელოვნებას. კახას და ზუხბას ჩემსავით აოცებთ ის, რომ ბარათაშვილს და გალაკტიონს დღემდე დაშორებულია გრანელი. ეს ამბავი სხვებსაც აოცებთ. ნიკო ბარათაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი, – ლირიკის ეს მეფეები, პოეზიის ეს ჯადოქრები, ერთად უნდა იყოს იქ – ქართულ გოლგოთაზე, – თბილისის წმინდა მთაზე... იქ არის ილია და აკაკი, იქ არის ვაჟა, იქ მოიხზრება რუსთველი – პოეზიის ეს ღმერთი... რაც შეეხება რუსთველის რეალურ საფლავს, – ღმერთს საფლავი არა სჭირდება... ადამიანი, რომელიც თავიდანვე ღმერთი იყო, საბოლოოდ განღმერთდა... (უსაზღვროა პოეტთა ძალა. რაც შეეხება თვითონ უსაზღვროებას, უამრავნაირად შეიძლება გავიაზროდ ის. ხანდახან ვამბობ: ზღვარელთა მთელს ქმნილებებს, ერთად აღებულს, უსაზღვროება ჰქვია-მეთქი. ზღვარიც, გარკვეული გაგებით, უსაზღვროება არის)...

პირველ აბზაცშივე დავწერე, რომ ოცდაათიან წლებში გარდაიცვალა გრანელი. მისმა მეგობარმა, გალაკტიონმა, რომელსაც ბოლომდე ახსოვდა იგი, ორმოცდაათიან წლებსაც მიაღწია. გალაკტიონს ყანწელთა „რეაბილიტაციას“, ხოლო ერთ-ერთი მათგანი, – გიორგი ლეონიძე, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეც კი გახდა, – მაშინ, ამ კავშირს, დიდი ძალა ჰქონდა. საქართველოს მეთაური, კავშირის მეთაური და უნივერსიტეტის მეთაური ერთ-ერთ ყველაზე უფრო საპატიო ადამიანებად ითვლებოდნენ საქართველოში. გოგლა ლეონიძე კავშირის მეთაურობამდეც, მას მერეც, სხვადასხვა დანესებულებას დირექტორობდა. გალაკტიონს და გოგლას დიდად ნამდვილად არ უყვარდათ ერთმანეთი, თუმცა ზოგჯერ მაინც უწევდათ ერთმანეთის დაცვა. ბოლოს მთანმინდაზეც ერთად აღმოჩნდნენ, ბარათაშვილის მახლობლად. მანამდე კი, ორმოცდაათიან წლებში, გალაკტიონმა გამოსცა ერთი უსუსტესი პოეტური კრებული თუ რჩეული (ანტიკრებული თუ ანტირჩეული), და დაასრულა დიდი პოემა – „მშვიდობის წიგნი“, – თავისებური, უიღბლო მიბაძვა „ვეფხისტყაოსნისა“. „მშვიდობის წიგნს“, მან, მკვეთრი სიუჟეტიც კი ვერ შეურჩია, და, გარკვეული მიგნებების მიუხედავად, ეს პოემა მაინც ჩავარდა. გარკვეული გაგებით, ლექსიც პოემა (მთელი სამყარო პოემა), და მაინც, როგორც ჩანს, ლექსის დიდოსტატ გალაკტიონს სწორედ პოემაში უნდოდა რუსთველთან ჭიდილი, თუმცა ორმოც-ორმოცდაათიან წლებში გალაკტიონს ვეღარ ბრწყინავდა. საერთოდ, ზოგი სხვა დიდი პოეტის მსგავსად, გალაც არაერთხელ უბრუნ-

დებოდა მის ნაწერებს, მითუმეტეს, – მის ზოგ ნაწერს, და ამ დამუშავებათა შედეგად, ზოგჯერ იმატებდა ნაწერთა დონე, ზოგჯერ კი – იკლებდა. ამბობენ, რომ ასაკში მყოფი გალაკტიონი თავის ახალ და ახალ წიგნებს უფრო და უფრო უგულოდ, უყურადღებოდ ექცეოდაო. მას, ისე, როგორც ახალგაზრდობაში, ახლაც სურდა რაღაცა სრულიად ახალის, სრულიად საოცრების შექმნა, და იმაზე იყო კონცენტრირებული, იმ ლექსებზე, იმ პოემებზე, რომელთაც იგი, აწი, ველარასდროს აზიდავდა. მიუხედავად ამისა, მან ორმოც-ორმოცდაათიან წლებშიც შექმნა არაერთი ლექსი-შედეგრი...

ყანწელთაგან, ყველაზე დიდხანს, კოლაუმ იცოცხლა. ეს მეამბოხე, ეს უკანასკნელი ცისფერყანწელი, ყველას და ყველაფერს გადაურჩა. იგი ბევრ რამეს მოესწრო. როცა იპოვეს პაოლო იაშვილის აუდიოჩანაწერი, სადაც პაოლოს მტკიცე და მჟღერი ხმა ასე დასამახსოვრებლად ისმის, – იგი საკუთარ ლექსს კითხულობს, და ეს ჩანაწერი კოლაუს მოასმენინეს, მან ხმა ვერ ამოიღო, იდგა ასე, გაქვავებული, მერე კი ცრემლები ერთბაშად მოსკდა და კოლაუს თვალთაგან... პაოლო, – მისი დიდი ძმა, ბოლომდე დარჩა, კოლაუსთვის, უმთავრეს ავტორიტეტად. საერთოდ, კოლაუ ბოლომდე ყანწელბთან დარჩა, ყანწელად დარჩა... კოლაუ ნადირაძე იყო დიდებული პოეტი, თუმცა გალა და გრანელი არ უყვარდა. ბევრს არ ესმის ეს. არადა, ეს ამბავი უბრალო ასახსენელია, – არც გალაკტიონს ჰქონდა ყანწელბთან მთლად დალაგებული ურთიერთობა, არც – გრანელს. ასე რომ, კოლაუს წყრომა ადრეული წლებიდან იღებდა სათავეს...


დავუბრუნდეთ კონკრეტულად გრანელის თემას. იგი, სიცოცხლეშივე, ათასჯერ მოკვდა. მთელი ცხოვრება გოლგოთაა, მაგრამ მაინც არსებობს აღდგომა... გრანელი გარდაცვალებიდან კარგა ხნის მერე აღიარეს. მისი „პირველი წიგნი“ მხოლოდ სამოციან წლებში გამოვიდა. ამის მერეც იყო ბრძოლა გრანელის აღიარება-არაღიარების საკითხში. ოფიციალური ყოყმანებდა, ხალხში კი ლეგენდები დადიოდა ქუჩებში, ბალებში, ეკლესია-მონასტრებში, სასაფლაოებზე მოხეტიალე შემოღობილი გენიოსის შესახებ, რომელსაც ყოველ წამს შეეძლო შეექმნა ლექსი... ხალხს უყვარდა გრანელი, თუმცა ბევრი აღარაფერი ახსოვდა მის შესახებ... ყინული ნელ-ნელა გალღვა, ოფიციალზმაც კი უკან დაიხია, ტერენტი გრანელი უფრო და უფრო ნამოვიდა წინა პლანზე, ხოლო ოთხმოცდაათიანელთაგან ზოგმა იგი გენიოსადაც კი გამოაცხადა. ასეა: გრანელი მართლაც გენიოსი იყო.

ტერენტი გრანელი, დღეს, მის პოეზიაში ცოცხლობს. დიდია, მარადიულია პოეტის სიცოცხლე.

სამყაროა სავსე იმ სტროფებით, რომელნიც გენიოსებმა შექმნეს. დიახ, მათ შეცვალეს სამყარო...

თბილისი. 2024 წელი. შემოდგომა

ედღენება დავით გურამიშვილის დაბადებიდან
საიუბილეო – 320 წელს



ვიტალი კოროტიჩი

ლექსი დავით გურამიშვილისადმი

დე, მოხდეს დროზე! დავით, დიდი ხნის წინ წასულო,
გაკვეთილები შენი ბედის გვასწავლე ცოცხალთ.
ჩამოხსენ ცას მზე-ვერ გათბობდა ის წინათ

სულ რომ.

უძლურს, მუნჯს სხივნი დაუპნიე, მსჯავრს დასდებ
მონყვლადს.

რადგან ჭურჭელში რახანია ძმრად გექცა ღვინო,
შენს ლექსს და შენც რომ სულ სტუმარი გაკლდათ
სალხინოდ.

ო, პოეზიავ, უკვდავო, სად სძინავთ შენთ შვილებს?
გადაარჩინე, მათ ამორე – ტკივილი, ურვა,
სიცარიელე – ყველა ეულს, ბედკრულს – ბედს
მდურვა,

ხილვა ციცქნაც კი, სახვალთ ზაფრით შეშლილებს.
აღირსე – მწყურვალთ ჭიქა წყალი, მშიერთ კი
– პური.

პოეტო – იმედი – გაიგონებს მათ სიტყვებს ყური.
დავით, შენს ირგვლივ აბალახდა ორიათასჯერ
და მილიარდი გიგალობდა შენ ჰანგებს ჩიტი.
საქართველოდან შორს ხარ! სიკვდილს აჯობე
სიტყვით.

უკვდავყო სიტყვამ, ასო-ბგერით ბედის გზა გასჭერ.
ხედნე ჯერ კაცთა გაუვლელიც გზასავალი და
რის კაცი – შენ ხარ ლექსი – ლამის დასაბამიდან.
კვლავ რა ტკივილს გვთხოვ, პოეზიავ... გსურდა
რის კვალი.

ფეთქავს მსოფლიო როცა ომის და ხანძრის კვამლით.
თვითმკვლელთა ნასროლს შეუერთდა რამდენს
მეხის ხმა,

შობილ რამდენ ლექსს მზე კი არა, ლპობა ეღირსა.
სიყვარული – თუნდ მცირე – ოღონდ ვაჩუქეთ

ცოცხალთ,
სჭირდებათ პოეტო – შეიყვარონ – ცოცხლობენ
როცა.

სიჩუმით, ტანჯვით იხშობა ხმა სამუზო ფრენის –
გვტკივა დუმილიც, ვით სიყრუე ყრუ ბეთჰოვენის.
ხომ მიუსაფარ სკოვოროდას არც ჰქონდა ჭერი.
შეშლილ კომიტასს უწყევლია მსოფლიო ჭრელი.
რომ არ ვეძებოთ საფლავები ფერფლით ნამტვერი,

გვასსოვდეს მარად, პოეტები სად წვანან ჩვენი.
ოჰ, დავით, გაქრა ჰუსარობა სამოთხის ჟამი.

შენყვითეს მტრებმა სროლა შურით, ბოროტის

შხამით.

დუმს ბალიც, ვორსკლაც, ალუბლის ხმელ ხეზე კი
თეთრი

პერანგის ნაგლეჯს, დროშას თითქოს მოკვდაო

ღმერთი,

პერგამენტივით, სიზმართ სანერ ფურცლად

მოგანდობთ.

ბრწყინავ დიდებით, დრო ვერ ჩაგთვლის, დავით,

ბოგანოდ.

უკვე ვერასდროს! მარმარილოც ხარ და გრანიტიც,
დაფნის გვირგვინი, წიგნი უცხოდ გამოცემული...

მაგრამ შენს ბედს კვლავ რა ფრინველი მოთქმით
განიცდის?

ან რა ცრემლი სდის ცარგვალს წვიმად

ჩამოქცეული?

იდიდე, დავით! რახანია შენი მაგიდა

სავსე ჭიქებით სტუმრებს ხვდება სუფრით თავიდან.

ვასილ სიმონენკო



უკრაინას

სასონარკვეთილს იმედები რომ გამიქრება
და ბოლო ხმაზე იმიშხინებს კოცონზე სტეპის,
შენი სახელით სიხარულით გული მითბება
და მიზეზია ეგ სახელიც ჩემივე სევდის.

მოიქუფრება შორეული საავდარო ცა
და, უნდა წასკდეს რომ ველური მუნჯი ცრემლები,
შენი სახელით მე სამყაროს ამ დროს დავლოცავ
და ისევ შენი სახელითვე დავინყევლები.


დასერავს ზეცას ბოროტება როს მახვილებით
და მარადიულ შენს მშვენებას მოსაპოვს

დამსხვრევით,

მაშინ მე მხოლოდ შენთვის, შენი სახელით –

ვკვდები

და შენს სახელში ვცოცხლობ ისევ – შენი სახელით!



ივან დრახი

ყოფნა დავით გურამიშვილად

გურამიშვილად ყოფნა – ეს ნიშნავს
ეკალ-ბარდს შენსას ართმევდე ნიშას.
გაუვალ ტევრში გზა გაიკვლიო,
სადღეხვალთაო ტალღებსაც სძლიო.
უფესვომ თავი ვერ იგრძნო სახლში,
ასჯერ წაიქცე-წამოდგე ცაში
და იკაშკაშო მზის სხივთა დარად:
დავითად მარად!

იყავი დავით გურამიშვილი –
გაჩნდეს წყლულები ყველგან მიშლილი.
ყოვლისმჭვრეტელი თვალები, მაგრამ
ვერც კი დაღანდო სამშობლო, გაქრა.
რომ წინაპართა საფლავ-საძვალის
ისტორიულ ძილს ვერ ააცალო
მუჭა მიწაც, წლებს დარდით დაითვლი:
იყავ დავითი!

გურამიშვილად ყოფნა – ნეტავ რა...
იმ დამუწვებულ თითთა კვნეტაა,
ხმალზე მჭრელ კალამს რომ ვერ ხმარობდეს.
ბუჩქი ქართული არსად ხარობდეს!
რომ მშობლიურ, თუნდ უფსკრულში ჩახტე,
მნგრეველი სალი კლდის შუბლით გახდე.
სძლიო ყველა ზიზღს, შურს, გულისხმეთქვას:
დავითი გერქვას!


„დავითიანს“ რომ ჰყავდე დავითად –
სიტყვაში ბოლო ძალით დაინთქა.
ვით ხმლის ქარქაშით, მშობლიურ სიტყვის
დაცვა დაგჭირდეს გაღებით სისხლის.
ბევრჯერ დაჭრილმაც, მთლად ნებისყოფამ,
„დავითიანში“ წამებით მყოფმა
თავი მაინც არ გასცე იერით:
დარჩე ძლიერი!

იყო დავითი – ხოროლში არაგვს
იგრძნობ. ნახავ მთებს ტრამალის ალაგს.
დინჯ ხოროლს წყნარად მიმავალს მდორედ,
არაგვად ჩასთვლი – თუნდ წუთით სწორედ.
ხოროლი, შენთვის, ქართულად ქუხდეს.
ნათლის გრძნობ შიმშილს:
დავითად იშვი!

დავითად ყოფნა – ერების ძმობა,
სიმართლის დაცვის მარადი გრძნობა.
დაინვა, მაგრამ ფერფლიდან აღდგე,
პრომეთესავით მიჯაჭვულს ჰგავდე
სივრცეებს – ჩემი სტეპისა მკერდით.
ბედს ეურჩო და სამმაგი ბედით
სამ ხალხს შერწყმულმა სცადო თავიდან.
ყოფნა დავითად!

დავითობაა-ათრევდე სახნისს,
ასი სისინის უძლებდე სახმილს შეურაცხყოფის,
დე, მხრები მოსტყდეს
ტყუილს, ასი ფრთის ხომ ძალა მოგდევს!
ყოფნა-არყოფნის ითმინო ზღვარი,
ფრთებდაკარგულმაც კი გადამდნარი
მახვილი კალმად არ მოიცვილო:
მრავალჟამიერ, გურამიშვილო!

პავლო ტიჩინა



დავით გურამიშვილს

გვაქვს დიდებული სამშობლო ერთი,
ოჯახი მტკიცე და მეგობრული.
რუსეთი, უკრაინა, მათ გვერდით
კი საქართველო – შენი მამული!
მიზანიც ერთი გვაქვს ყველას – ვცდილობთ,
რომ გავამტკიცოთ საბჭოთა მხარე.
შენც ჩვენთან ერთად, გურამიშვილო,
სჭექე სიმღერა და გაიხარე!

ცხოვრობდი ჩვენთან დიდი ხნის წინათ,
ჩვენ კი დღეს ასე გვგონია მტკიცედ,
დროში სხვაობა არც კი ყოფილა,
არც კი წასულხარ, ჩვენთან ხარ ისევ;
შენს ბრგე სხეულს კი ძარღვებში უვლის
და სისხლი კვლავაც ჩუხჩუხებს ცხელი,
გურამიშვილო, ხარ სიყვარულიც
და სიამაყეც შენ დღემდეც ჩვენი...
ჩვენთან მოდიხარ მედგრად ბოლომდე
და სამშვიდობო ბრძოლები გშვენის,
საგურამოა, თუ მირგოროდი –

ახარებთ ყველგან სახელი შენი!
 ჟინიც ბრძოლის და შემოქმედების
 ზღვასავით ხალხებს ჩვენს აქვთ უძირო,
 გურამიშვილო, განთიადს ვხვდებით?-
 ახალ დროს ყველამ ერთად ვუცქიროთ...
 სისხლს გწოდდა მტერი ბევრი, ვერ გთმობდა,
 მაგრამ ვერაგიც ვერ დადგა ფეხზე,
 უბრალო ხალხთან გქონდა ერთობა,
 მოსკოვიც მეტად გიყვარდა სხვებზე!
 გიძღვნიტ ყვავილებს – წითელი, თეთრი,
 მიიღე ჩვენგან, პატივს იფერებ,
 გურამიშვილო, იყავ ჩვენს გვერდით
 და ერთად მოვსპოთ ტანჯვა, სიბნელე.

ასხმია მძივად ბელორუსს, სომეხს,
 შენი აზრ-სიტყვის კრიალოსანი,
 სიბრძნით ამარცხებ შენ დროის ომებს,
 ბრწყინავ, ხარ თვალი პატიოსანი.
 გვიყვარს ყველა ეგ სიმღერა, ლექსი
 და შენ ყველაფრით ხარ მკვიდრი ჩვენი
 და სიჭაბუკის მარადი ფესვით,
 გურამიშვილო, ჩვენს ხალხში რჩები!



ფედორ გარმინი

პოეტის სიტყვა

დ. გურამიშვილს

სადაც ხოროლი¹ სტეპებს მოივლის, –
 ზუბოვკა² სოფელს
 აქვს კორომები მოოქროვილი,
 ჰყვავის და სუფევს.

დიდებულ ქართველ პოეტს და მებრძოლს,
 მხვნელ-მთესველს მიწის,
 ამ მიდამოში ეცხოვრა ძველ დროს,
 ღრუბლებმაც იცის...

ეს გახლავთ დავით გურამიშვილი,
 მისი სიმღერა
 უკრაინაში ცეცხლივით თბილი
 ბრწყინავს და ელავს.


¹ ხოროლი-მდინარე მირგოროდში.

² ზუბოვკა-სოფელი სადაც მირგოროდთან ერთად დ. გურამიშვილს ჰქონდა მამული ხანგრძლივი სამხედრო სამსახურისთვის

უყვარდა ბალი, მუხნარი წყნარი,
 ეს ცისკიდური,
 საქართველოს შვილს ეტრფის, შეჰხარის
 მხარეც მდიდრული.

ვარჩევთ, ვაფასებთ დამსახურებით,
 საქმით, სიტყვითაც
 პოეტს, მეგობარს, ვინც ერთგულებით
 ძნელ გზებს იტვირთავს...
 გზებს, რომ შეურწყა დრომ, შეანივთა
 ზუბოვკა-სახელს.
 სად შემოდგომა ფოთლებს ხალიჩად
 ვით სუფრას, აფენს.

1980წ.



ანანოლი ორიონი

საქართველოს

განშორება ჩვენი ხანმოკლეა, არ თქვა,
 გავემგზავრე, აღარ გესტუმრები მეტად.
 გნამდეს, ახლოა ჩემი ვორსკლა³ მტკვართან,
 სულ არ მეშორება ეს მანძილი ბედად.
 მიმოიხედე გვაქვს მინა ერთიანი,
 სულს ჰანგი წკრიალა ეღვრება კაშკაშით.
 ასე მოცურავდა ვოლინი⁴ ტყიანი
 ლესიასთან მყისვე მთებიდან, კავკასით.
 ერთ მინაზე ყველგან, სადაც გინდა ვიყო –
 მარად მარტოსული არ ვიქნებით, არა.
 მოტაცებულსაც ვერ მოსტაცა ამიტომ
 გურამიშვილს მტერმა სამშობლო ქვეყანა.
 გვერგო ერთი მინა, ბედი... კმარა ბჭობა –
 ერთი გვაქვს ცისფერი ზეცა სანათელო...
 შეხვედრისას ძმურად გეტყვი – გამარჯობა,
 კვლავაც დავბრუნდები შენთან, საქართველოვ!


³ ვორსკლა – მდინარე უკრაინაში, ქ. პოლტავასთან

⁴ ვოლინი – უკრაინის ოლქი, რომელშიც შედის ქ. ნოვო-გრად-ვოლინსკი, ლესია უკრაინკას სამშობლო

მირგოროდის შემოდგომა

/დ.გურამიშვილი-275/

უმნარესი უკან დარჩა... მეტი ფიქრი არ მსურს.
გაქვთ სიმშვიდე და სიმდიდრე – მონმენი ვართ
ახლა.
ვერძნობ ორიოდ ნაიარევს, რომ შემორჩა
წარსულს,
პორუჩიკო და თავადო, მონყენილი რად ხართ?!
დაგიფასდათ, რაც ერთგულად ემსახურეთ მეფეს.
გაქვთ ძვირფასი საცხოვრისი, გყავთ შავთვალა
ცოლი...
მძიმე ფიქრი ხამს ხოროლის⁵ გაატანოთ შხეფებს.
ბრძანეთ თქვენო ბრწყინვალეზავ, დაილაღეთ
ბრძოლით?
ხომ სიხარულს სიხარული, უწყით, არ ჰგავს
განცდით,
ნოსტალგია უმნარესი მგოსნის გულში სახლობს.
რომ შეგეძლოთ, ყოველივეს მყის ხალისით
გასცვლით
ერთ პატარა მიწურ ქოხზე, ოღონდ მტკვართან
ახლოს.
რაც არ უნდა თაყვანი გცეთ, ხიზანი ხართ სხვათა,
არ გამშვიდებთ აქ დიდება, ღამეს თეთრად ათევთ.
მხოლოდ სიზმრად თუ იხილავთ მშობლიურ მთებს
ნათლად,
ვაგლახ, ბედის განაჩენის მორჩილება გმართებთ.
შეეგუეთ... დაივიწყეთ... სიტყვა ურჩი ბედის
ჯიუტად ფუთფუთებს გულში, კინძავთ ლექსის
ბნკარებს...
მოუხშირა წვიმამ ცივ წვეთს, შემოდგომა შედის
ძალაში და უკაკუნებს დაჟინებით კარებს.



ანდონ შეჰენაკო


სევდიანი ოხვრა

დ. გ. – ს


ესიზმრა დავითს ბევრჯერ სამშობლო წართმეული,
სტკიოდა ძლიერ სისხლმდინარი ფესვი მოჭრილი,
ტანჯვის ღარებით მაღალ შუბლზე ხანმოთეული
სიტყვებს ეძებდა სევდიანი ოხვრის მორჩილი.

ზუბოვკის სახლებს შეხიზნულ მწირს ტანჯულს
დაღლამდე,
იზიარებდა ნამხელ ტკივილს ვისაც ქვეყანა,
დაჰქონდა დევნაც, როგორც ლოდი მამის
სახლამდე
და ლოცვაც, ყველგან გზად ეკლები რომ შეეყარა.
... სიცოცხლის გზებზე მზით ლაქიან სადგურთ
ლამობდა,
ცვარით ნაბანი მონანავე ფიქრების მთაზე:
გათენდებოდა... წყლულს კურნავდა საგურამო და
ირაოს ჰკრავდნენ არწივნი ფიქრთ ღრუბლიან ცაზე.
შორს დარჩა ის დრო... მას არასდროს უცხოვდ არ
ვთვლიდით,
მის მწველ ტკივილებს ტკივილსიტყვა მოება
ხორცად.
გულს რომ უსმენდა მარტოსული, ფიქრით
დაღლილი,
იმედს ეფერა, იმედი კი, თურმეა ცოცხლად!
ფრთებიც აკლდა და საფრენად ვერც ძალა იკმარა,
მთის ბილიკებით ვეღარ ნახა მშობელი მიწა...
ძილგატეხილი საქართველოს გულში იკრავდა
და სტრიქონებში უკვდავებად დღეები იქცა.

უკრაინულიდან
თარგმნა თამარ გაბოძემ



5 ხოროლი – მდინარე მირგოროდში



ნანა ჭიჭინაძე

„პატარა კახი“ – მეფე, რომელმაც 500 ბრძოლაზე მეტი გადაიტანა (გახსენება-შეხსენება)

2025 წელს კრწანისის ბრძოლიდან 230 წელი
შესრულდება, მეფე ერეკლეს დაბადებიდან კი – 305

იდგა 1720 წლის 7 ნოემბერი. თელავის სასახლეში უფლისწული დაიბადა – ძე თეიმურაზისა და თამარისა, შვილიშვილი მეფე ვახტანგ მეექვსისა. სახელად უწოდეს ერეკლე, ხალხისაგან შემდგომ „პატარა კახად“ წოდებული. ქართლ-კახეთის უკანასკნელი დიდი ხელმწიფე.

ერეკლე II ბაგრატიონი – ეს იყო მეფე, რომელიც ძველი ვიკინგი იარლივით თვითონ მიუძღოდა ლაშქარს წინ და თავადვე აჩვენებდა ბრძოლის მაგალითს. ასეთი სიმამაცე მმართველისგან დიდი ხანია დავიწყებული იყო, მსოფლიოში ამას თითქმის აღარავინ აკეთებდა, მმართველებიდან თავს არავინ უქმნიდა ამხელა საფრთხეს და მხოლოდ შორიდან ჯარისათვის ბრძანებების გაცემით შემოიფარგლებოდნენ. ეს, თავის მხრივ, სწორი სტრატეგია იყო, მაგრამ არა ერეკლესთვის. ისტორიული ფაქტია, რომ მას მარჯვენა მხარ-ბეჭი ბევრად უფრო განვითარებული ჰქონდა ზედმეტი და ხშირი ხმლის ქნევისაგან ბრძოლებში, ვიდრე მარცხენა და ეს კარგად იყო შესამჩნევი გარეშე თვალისთვის.

დიდი მეფის პირველი საბრძოლო ნათლობა 1735 წელს შედგა, როდესაც იგი მხოლოდ 15 წლისა იყო. ქიზიყს შემოსეული ლეკები არასრულწლოვანმა უფლისწულმა ახალგაზრდა კახელი მხედრების მცირე რაზმით სასტიკად დაამარცხა. ეს იყო ბატონიშვილის პირველი ბრწყინვალე გამარჯვება. ლევან სანიკიძის „დედა ისტორიაში“ ვკითხულობთ:

„1735 წელი პირველი გამოსვლაა პატარა კახისა, დასაწყისი უკანასკნელი დიდი ხელმწიფისა და მამულიშვილისა. ცხენზე ზის ერეკლე ბატონიშვილი და 60 წელიწადი ვერ ჩამოხტება საომარი უნაგირიდან“.

მან მთელი ახალგაზრდობა ბრძოლებში გაატარა ჩრდილოეთ კავკასიიდან, კერძოდ, დაღესტნიდან, მოძალბებული უამრავი მოთარეშე მუსლიმ ლეკთა რაზმებთან ან დიდ ლაშქრებთან. შემდეგ იხსენებდა შვილიშვილებთან საუბრისას, „მე რომ არ შევსწრებოდი, ახლა ქართველის სახსენე-

ბელი არ იქნებოდა ქართლ-კახეთში“. ეს მოვლენა „მთის ჩამოწოლადა“ ცნობილი. ეს იყო დიდი ქართულ-კავკასიური ომი, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გაიწელა. ამ დროის განმავლობაში თითქმის არ მოიპოვებოდა დაღესტანში მამაკაცთა საფლავები, ვისაც კი ბრძოლა შეეძლო და არ იყო სიბერისგან დაუძლურებული, მთლიანად ქართლ-კახელებთან განუწყვეტელ ბრძოლებში დაიღუპნენ.

1744 წელს 24 წლის ერეკლე კახეთის მეფედ აკურთხეს და ეს ტიტული 1762 წლამდე ატარა. 1762 წელს კი, როდესაც მამამისი, თეიმურაზ მეორე გარდაიცვალა, მას მემკვიდრეობით გადაეცა ქართლის მეფობაც და ის ქართლ-კახეთის მეფე გახდა. ქართლ-კახეთი გაერთიანდა ერეკლეს კვერთხის ქვეშ და იმეფა 1798 წლამდე.

ამ დროის განმავლობაში, შეიძლება, ერთი თვეც ვერ გამოინახოს ისეთი, როცა სრული მშვიდობა სუფევდა სამეფოში და პატარა ბრძოლები მაინც არ მომხდარიყო ყოველი მხრიდან მოძალბებული უცხოელების მხრიდან. განუწყვეტელმა ომებმა და ამ ომებში გამარჯვებებმა სახელი ევროპაშიც კი იმდენად გაუთქვა მას, რომ ფრიდრიხ II დიდმა (1712-1786) თქვა: „დასავლეთში მე ვარ და აღმოსავლეთში პრინცი ერეკლე, ქართველთა მეფე“.

წარმოგიდგენთ ერეკლე II ბაგრატიონის (ბატონიშვილი) არასრულ, მხოლოდ უმთავრესი ბრძოლების სიას:

1747 წელს – ომი აბდულა-ბეგსა და ერეკლეს შორის. ეს ომი მოიცავს რამდენიმე ბრძოლას:

1. ბრძოლა სამშვილდის ციხესთან
2. ბრძოლა თბილისთან
3. ბრძოლა სოლოლაკთან
4. ბრძოლა წავკისთან
5. ერეკლეს მიერ თბილისის ირანელ მეციხოვნეებზე შეტევა და მათი დამარცხება.

1749 წ. – დაღესტნელების ურიცხვ მარბიელ მოლაშქრეებთან ბრძოლებს ბოლო არ უჩანდა. თითქმის ყველა ბრძოლაში ერეკლე თავად სარდლობდა ჯარს და პირისპირ ებმოდა მტერს. ხშირად უწევდა კავკასიუ რაზმების ბელადებთან ერთი-ერთზე შებრძოლებაც.

ამავე წელს ნადირ შაჰის მკვლელობაში მონაწილე მაჰმად ხანმა ერევნის სახანოს დაპყრობა გადაწყვიტა. ერევნელების თხოვნით, ერეკლემ დაამარცხა მაჰმად-ხანი და სომხები განადგურებისგან იხსნა. ამის შემდეგ ერევნის სახანო ერეკლეს ხარკს 1795 წლამდე უხდიდა;

1750 წელს – ყარაბაღის მფლობელი ფანა-ხანი, რომელიც განჯის დაპყრობას აპირებდა, დიდი ლაშქრით მიაღწა განჯას. განჯის ხანმა და ყარაბაღელმა სომხებმა ერეკლეს დახმარება სთხოვეს. გმირულ ბრძოლაში ერეკლეს და თეიმურაზის სარდლობით ქართველებმა დაამარცხეს ფანა-ხანი.



1751 წლის თებერვალში მდინარე აგრი-ჩაისთან აჯი-ჩალაბმა დაამარცხა ქართველები. ამ ბრძოლაში მდინარეში ცხენიანად ჩავარდნილი ერეკლე ბებურიშვილ-ვაჩნაძის დახმარებით გამოვიდა წყლიდან. მაჩხანელმა გლეხმა დათუნა ბოსტაშვილმა კი თავისი ცხენი დაუთმო და ერეკლე ასე გადარჩა დატყვევებას..

ამავე წლის ივლისში თავრიზის მმართველი და ირანის ტახტის მაძიებელი აზატ ხანის 18 000 კაციანი ლაშქარი ერეკლემ ერევნის მახლობლად, ყირზულახის ბრძოლაში საოცრად საზრიანი და საკუთარი გმირული ბრძოლის წყალობით დაამარცხა.

მის თოფს უნდა ახსოვდეს გამარჯვება 1751 წლის ივლისში ყირზულახთან გამართულ უთანასწორო ბრძოლისას. მასზე ასეთი წარწერაა: „ირაკლის სიქადულო, საძლევლო მტერთა, ჯვარო ქრისტესო“.

1752 წელს აჯი-ჩალაბმა განჯასთან ისევ დაამარცხა ქართველები. ამავე წლის სექტემბერში ყაზახ-შამშადილუს საზღვარზე, თულქითეფეს ბრძოლაში, აჯი-ჩალაბის ჯარი, რომელსაც მისი ვაჟი აღარ-ქიში სარდლობდა, ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს.

1754 წელს ავარიელი, ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი მრავალრიცხოვანი ჯარით ქართლში შემოიჭრა. არაგვის მიდამო და დუშეთი დაარბია, მჭადიჯვრის ციხეს ალყა შემოარტყა. ერეკლემ და თეიმურაზმა იგი სასტიკად დაამარცხეს მჭადიჯვრის ბრძოლაში, დიდი დანაკარგები აწვეწვეს და ისე განდევნეს ქართლ-კახეთიდან.

1755 წელს ნურსალ-ბეგი ყვარელს მოადგა ქართველების მიმართ სხვა მტრულად განწყობილ მუსლიმური სახანოების ლაშქართან ერთად. მათ ალყა შემოარტყეს ყვარლის ციხეს. თუ კახეთი დაეცემოდა, ქართლსაც დაიპყრობდა ამხელა

ძალის მქონე მტერი და შემდეგ დასავლეთ საქართველოსაც გადასწვდებოდნენ. ერის მომავალი დასალუბად იყო განწირული. ქართლ-კახეთის მეფე მამა-შვილის გონიერი და გაბედული საბრძოლო მანევრების შედეგად ყვარლის ბრძოლაში ქართველებმა მინიმალური დანაკარგებით სძლიეს მტრს, მოიგერიეს და დაამარცხეს ის.

1759 წელს ლეკების 8 ათასიანი ჯარი ერეკლემ ჯერ ატოცის ციხესთან და შემდგომ დვანის ციხესთან დაამარცხა. ამ ბრძოლაში მას სოლომონ I ეხმარებოდა.

1760 წელს ერეკლემ ყარაბაღის ხანი დაამარცხა. ამავე წელს ერეკლემ მოაწყო დიდი ლაშქრობა განჯაში, შემდგომ ლაშქრობა ერევანში, შემდეგ კი დიდი ბრძოლა გადაიტანა შინდისთან დაღესტნელების ლაშქრის წინააღმდეგ. მთელი 1760 წლის განმავლობაში ჩრდილო კავკასიელი დაღესტნელები ძალიან გააქტიურდნენ და მეფე განუწყვეტელ არა უკვე ყოველთვიურ ან ყოველკვირეულ, არამედ ყოველდღიურ თავდასხმებს იგერიებდა. თავდასხმები ეწყობოდა ქართლში, ქიზიყში, კუმისისა და ბოლნისის მიდამოებში. მტრის ძალების მოწოლა იმდენად დიდი იყო, რომ მთელი სომხითი და საბარათიანო თითქმის მთლიანად დაიცალა ადგილობრივი მოსახლეობისგან. თბილისის გარშემო მდებარე უამრავ დასახლებასაც უტევდა მტერი, თუმცა კი უმეტეს შემთხვევაში დამარცხებული უკან იხევდა. ერეკლეს მთელი ქართლ-კახეთის ყველა მამაკაცი იარაღში ჰყავდა ჩასმული და ყოველწუთიერად მზად ქუდზე კაცის გამოსაყვანად. ამ პერიოდიდან მას კავკასიაში, მცირე აზიასა და ირანში „გურჯისტანის აშვებული ლომის“ სახელით იხსენიებდნენ. მარტო ამ წელს მან გადაიტანა მინიმუმ 50 დიდი და მცირე ბრძოლა.

1765 წელს ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო, რომელსაც სათავეში პაატა ბატონიშვილი ედგა. შეთქმულებს ერეკლეს ფიზიკური განადგურება ჰქონდათ ჩაფიქრებული, რაც უდიდეს დანაშაულთან ერთად არღვევდა ურყევ წესს – „ბაგრატიონი ბაგრატიონის სისხლს არ ღვრის!“ – ერეკლემ შეიტყო შეთქმულების შესახებ და სასტიკად დასაჯა მოწინააღმდეგენი.

1768 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი. ერეკლემ ქრისტიანი რუსების მხარე დაიჭირა ამ ომში.

1769 წელს გრაფი ტოტლებენი ჩამოვიდა საქართველოში რუსის ჯარით. ერეკლე და ტოტლებენი გაერთიანებული ქართულ-რუსული ჯარით ახალციხისკენ დაიძრნენ. მოღალატე ტოტლებენმა მოულოდნელად მიატოვა ერეკლე და უკან გამობრუნდა.

1770 წლის 20 აპრილს მოხდა ასპინძის ბრძოლა. 8 000 თურქი 3 000 ქართველის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ქართული ჯარის სრული ტრიუმფით დასრულდა. სრულად განადგურდა თურქული

ჯარი, ხოლო ქართველებს მხოლოდ 25 კაციანი დანაკარგი ჰქონდათ..

1771 წელს ერეკლემ ხერთვისის ციხე გაათავისუფლა ოსმალებისგან.

1778 წელს ერეკლემ დაამარცხა განჯის მმართველი ფათ-ალი-ხანი.

1779-1780 წლებში მიმდინარეობდა ბრძოლები ერევნის ხანთან. ამავე წელს ლეკების დიდი ლაშქარი თავს დაესხა თუშეთს, თავდასხმები იყო ქიზიყსა და ცხინვალში.

1773 წელს ნურსალ-ბეგი დიდი ჯარით ბოდბეს დაესხა თავს. ლეკები იმდენად გააქტიურდნენ, რომ ბრძოლებით თბილისამდეც კი მოდიოდნენ და ანიოკებდნენ ათობით სოფელსა და დაბას, თუმცა აწყდებოდნენ ქართველთა გააფთრებულ წინააღმდეგობას

1785 წელს თბილისში რუსის ჯარი შემოვიდა და მათ ქართველენთან ერთად რამდენი ბრძოლაში მიიღეს მონაწილეობა.

ამავე წელს ქართლ-კახეთის სამეფოს თავს დაესხა ნურსალ-ბეგის ვაჟი, ომარ-ხანი, 20 000-იანი ჩრდილო კავკასიური, მუსლიმური ლაშქრით. ამის მიუხედავად, მან ვერ გავზედა პირისპირ შებრძოლებოდა ერეკლეს ქართულ ლაშქარს და ვერც ქართველებმა მოიხელთეს მისი სარბევად გამოყოფილი რაზმები, რომლებიც ახალციხეში შემოვლითი გზით გადავიდნენ და გზად ყველაფერს აოხრებდნენ. დაანგრეს ახტალის ლითონის მადნებიც. დიდი ზარალი მიაყენეს ქართლ-კახეთის მთელ სამეფოს და იმერეთსაც კი გადასწვდნენ.

მიუხედავად ქართველების საბრძოლო გამარჯვებებისა, მტრის შეუჩერებელი თავდასხმები მაინც არ წყდებოდა. ქართლ-კახეთი სისხლისაგან იცლებოდა. ხალხი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენა სამეფოს ომარ-ხანის თავდასხმებმა.

1787 წელი დიდი შეტევითი ომების წელი გახ-

ლდათ: ამ წელს ერეკლემ მოაწყო ყარაბაღის დალაშქერა, ქართულ-რუსული ჯარით ჯერ განჯის, შემდეგ ყარაბაღის, ნახიჩევანის დამორჩილება; დიდი ბრძოლა რუსთავეში ომარ-ხანის წინააღმდეგ; ბრძოლა ქიზიყში და თიანეთში კვლავ ომარ-ხანის წინააღმდეგ.

1795 წლის ივნისში ერეკლემ გენერალურ ბრძოლაში ალა-მაჰმად ხანის 8 000 მეზრდოლისგან შემდგარი არმია დაამარცხა ყარაბაღის მიდამოებში. ქართველთა ერთადერთ მოკავშირედ ამ დროს რჩებოდა ყარაბაღის ხანი იბრაჰიმი.

ამავე 1795 წელს, რევანში აიღო ალა-მაჰმად ხანმა და 75 000-იანი არმიით ქართლ-კახეთის სამეფოს დააცხრა თავს. მოხდა გენერალური ბრძოლა, რომელიც კრწანისის ბრძოლის სახელითაა ცნობილი. ერეკლეს მხოლოდ 6 000 ჯარი ჰყავდა, ამიტომ მტრის რიხვობრივი უპირატესობის გამო ამ ბრძოლაში დამარცხდა.

1796 წელს ქართველებმა განძა დალაშქრეს. მოლაღატე განჯის ხანი დააჩოქეს, იქიდან მრავალი ტყვე წამოიყვანეს. დაიწყეს სრულიად განადგურებული თბილისის ფერფლიდან აღდგენა.

1797 წელს, ისევე როგორც ქართულ-კავკასიურ ომში, ერეკლეს ბრძოლების 62 წლიანი პერიოდის განმავლობაში, არ წყდებოდა ჩრდილო კავკასიელთა განუწყვეტელი თავდასხმები. ქართლ-კახელებმა ამ წელსაც გადაიტანეს ათეულობით დიდი და მცირე ბრძოლა. ქართულ-კავკასიური ომი ერეკლე მეფის მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიმდინარეობდა და მოიცავდა ასეულობით ბრძოლას. არათუ წელიწადი, თვეც კი არ ყოფილა ისეთი, თავდასხმები არ მომხდარიყო. ერეკლემ მოახერხა და განადგურებულ ქვეყანას მაინც ბოლომდე გააძლებინა ისე, არათუ მოხდა აღმოსავლეთ საქართველოში ქართველების სრული ეთნიკური გადაშენება და გენოციდი, არამედ მან ბოლო 300 წლის განმავლობაში რაც კი ყოფილა, მასთან შედარებით ძლიერების ზენიტში აიყვანა ქართლ-კახეთი თავისი გენიალური სამხედრო ნიჭის წყალობით. მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში „პატარა კახს“ მინიმუმ 500 დიდი და მცირე ბრძოლა ჰქონდა გადატანილი.

ეს არის ერეკლეს ხმალი წარწერით: „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონი ირაკლისა“. ამან გადაარჩინა აღმოსავლეთ საქართველო გამუსლიმანებასა და განქართველებას.





ია ხოხნა უჯი

ნათლისღება და მარადიული ღირებულებები დედოფლისწყაროში

19 იანვარს აღინიშნება ნათლისღება – საეკლესიო დღესასწაული, რომელიც სულიერი განახლებისა და რწმენის სიმტკიცის სიმბოლოა.

საქართველოს თითოეული კუთხე უნიკალურია – არქიტექტურული ღირსშესანიშნაობებით, ხუროთმოძღვრების ძეგლებით, ტრადიციებითა და სტუმარ-მასპინძლობის კულტურით. თუმცა, ტრადიციებს განსაკუთრებულობას სძენენ ადამიანები, რომლებიც ერთგულებასა და მარადიულ სიყვარულს უკვდავყოფენ.

ამ ღირებულებების ნამდვილი განსახიერებაა თბილისის, ბორჯომისა და დედოფლისწყაროს კოლორიტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, მრავალი საპატიო ჯილდოს მფლობელი ქალბატონი ნანა ჭიჭინაძე. სწორედ მისი ინიციატივით ვენჭიერ დედოფლისწყაროს რაიონს და პატივი მივაგეთ მისი ან გარდაცვლილი მეუღლის, ბატონი მურთაზ პოპიაშვილის ხსოვნას.

ასეთი დღეები ხაზს უსვამს მარადიულ გრძნობებს და აცოცხლებს წარუშლელ მოგონებებს...

ასევე, ქალბატონი ნანას ინიციატივით დავათვალიერეთ კახეთში, დედოფლისწყაროს რაიონში მდებარე ულამაზესი და ახლადგახსნილი პარკი.

შემდეგ, ვენჭიერ სოფელ სამრეკლოში მდებარე წმინდა სერაფიმე საროველის სახელობის უნიკალურ ტაძარს, რომელიც 1903 წელს აიგო და თავისი ისტორიული მნიშვნელობით წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე (სწორედ 1903 წლის აგვისტოში შეიარაცხა სერაფიმე საროველი წმინდანად და სავარაუდოდ სოფელ სამრეკლოს ტაძარი მის სახელზე ნაკურთხი პირველი ტაძარია მსოფლიოში);

დღის ბოლოს საღამო ღამაში წვეულებით დავასრულეთ, რომელსაც ორგანიზება ქალბატონი ნანას ქალიშვილმა, მარიკა პოპიაშვილმა გაუწია.

მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტები – მაყვალა ასპანიძე და არმაზ დარაშვილი ოჯახებითურთ; ბატონი მურთაზის ახლო ნათესავები – ბიძაშვილები და ერთადერთი ძმისშვილი მეუღლით,




სტუმრები დედოფლისწყაროს მეორე სკოლაში

ბადრი პოპიაშვილი და თამთა შონია; ხორნაბუჯის სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

ქალბატონმა მარიკამ განსაკუთრებული სიტბოთი და სიყვარულით გაიხსენა მშობელი მამის ამაგი, უდიდესი გრძნობა ჩააქსოვა მოგონებებში, რითაც ხაზი გაუსვა მის ხსოვნას და პატივისცემას.

ასეთი ღონისძიებები კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ სიყვარული და ერთგულება ის ფასეულობებია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ამდიდრებს ჩვენი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას.



მაყვალა ასპანიძე და ია ხოხნა უჯი
წმ. სერაფიმე საროველის ტაძართან



**მარიამ
კოპიაშვილი**

საიუბილეო კონცერტი ფილარმონიაში

თბილისის ფილარმონიაში, ალექსი მაჭავარიანის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში, ამა წლის 15-16 თებერვალს გაიმართა „იუმორინას“ დაარსებიდან 25 წლისთავისადმი მიძენილი საიუბილეო კონცერტი. სამხატვრო და მუსიკალური ხელმძღვანელები – მამა-შვილი, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეები – ჯემალ და გია ბალაშვილები.

საიუბილეო კონცერტი „იუმორინა 25-ის“ ვიდეო ჩანაწერი ტელევიზია „იმედის“ არხზე 3 მარტს, 22 საათზე, დედის დღესთან დაკავშირებით გავიდა და ჩემი აზრით, მიეძღვნა, პირველ რიგში, გია ბალაშვილის დედის, ქალბატონ მანანას ხსოვნას და მისი სახით ყველა წასულ დედა ქალბატონსაც – სოფლისა და ზესთა სოფლის მკვიდრთ თანაბრად: „ჰოი დედანო, მარად ნეტარნო“ – ასე მიმართავდა მათ ბარათაშვილი!

ორსაათნახევრიან კონცერტში მონაწილეობდნენ როგორც ძველი თაობის, ისე ახალი თაობის მუსიკოს-შემსრულებლები და პაროდისტები. როგორც გია ბალაშვილმა „იმედის“ ეთერში გამოსვლისას აღნიშნა, საიუბილეო კონცერტში 100-ზე მეტი პიროვნება მონაწილეობდა, მათ შორის აშშ-დან სპეციალურად ჩამოსული ვლად არამოვი, რომლის გამოსვლას მაყურებელი ხანგრძლივი აპლოდისმენტებით შეხვდა. რადგან „იუმორინა – 25“ მთელმა საქართველომ ნახა, ამაზე ბევრს აღარ ვიტყვი და ლიტერატურული აღმანახ „ხორნაბუჯის“ მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ 2016 წელს საკონცერტო დარბაზის წინ ჯემალ და გია ბალაშვილების ვარსკვლავის გახსნაზე, რასაც წინ უძღოდა ალექსი მაჭავარიანის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული მამა-შვილის საიუბილეო კონცერტი. მისი წამყვანები გახლდნენ ნინაკა გელაშვილი და გია ბურჯანაძე.

ამ კონცერტზე ძალიან საინტერესო იყო ვიდეო-კოლაჟი მიუზიკლებიდან: „ჩხიკვთა ქორნი-

ლი“ (რომელშიც ჯემალ ბალაშვილი თომას როლს ასრულებს), „არგონავტები“, „თოვლის ბეზოს ზღაპარი“ და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლ „ივერიის“ კონცერტებიდან. როდესაც ამ ვიდეო-კოლაჟს თვალს ვადევნებდი, ჩემს მეხსიერებაში ამოტივტივდა ის ბედნიერი დღეები, წითელწყაროდან ჩემი ოჯახის წევრები სპეციალურად რომ ჩამოვდიოდით ამ ბრწყინვალე კონცერტის სანახავად. ჯემალ ბალაშვილისა და კომპოზიტორ ალექსანდრე ბასილაიას გენიალური კონცერტები-სათვის საქართველოს ყველა რეგიონიდან მიკროავტობუსებით ჩამოდიოდნენ. მათ მიერ დადგმული „მღერიან და ხუმრობენ ქართული კინოსა და თეატრის ვარსკვლავები“ თითქმის 10 წელი ამშვენებდა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზს. ეს ყველაფერი თითქოს გუშინ იყო. ნატავი იმ დროს!

განვლილი ათი წელი ვერ აუფერულებს ამ მშვენიერ მოგონებებს: ეკრანზე ვიხილეთ ვიდეოკადრები, სადაც იუბილარ მამა-შვილს მიესალმნენ ქართული კინოსა და თეატრის ცნობილი ლეგენდები – კახი კავსაძე და გივი ბერიკაშვილი. ისინი წლების მანძილზე უცვლელი წამყვანები იყვნენ „იუმორინასი“, ასევე ვიდეო კოლაჟით მიესალმნენ რობერტ სტურუა, მერაბ კოკჩიაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ დოჩანაშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, ჯემალ ლაღანიძე, ჯემალ ჭკუასელი, თემურ ჩხეიძე, ლევან ნულაძე, ვახტანგ კახიძე, ჟანრი ლოლაშვილი, ოთარ ტატიშვილი, დავით ოქიტაშვილი, ომარ მხეიძე, ფრიდონ სულაბერიძე, დავით



ჯემალ და გია ბალაშვილები


საყვარელიძე, დათო დოიაშვილი და სხვები. ისაუბრეს მათ შემოქმედებაზე და მიულოცეს საიუბილეო თარიღი. ეკრანზე ერთმანეთს ენაცვლებოდა ჯემალის მიერ განვლილი შინაარსიანი ცხოვრების გზის ამსახველი ვიდეო-კადრები: საქორწინო ხელმოწერის რიტუალი ულამაზეს მეუღლესთან, ქალბატონ მანანასთან ერთად, რომელიც ახლა საკონცერტო დარბაზში იმყოფებოდა. პირადად მას თემურ ნიკლაურმა მიუძღვნა სიმღერა „საქართველოს მანანებო“. აქვე მინდა შეგახსენოთ სასიამოვნო მოვლენა თქვენ, ჩვენს მკითხველს. 2017 წელს საქართველოს მასშტაბით მოსახლეო-

ბის გამოკითვის შედეგად ერთ-ერთ წარმატებულ ოჯახად დასახელდა ბალაშვილების ოჯახი, ასევე დასახელდნენ მათთან ერთად: ამირან არაბული და ეთერ თათარაიძე (თბილისი), გივი ლვინიაშვილი და რეგინა ჯანიაშვილი (დედოფლისწყარო), სოსო და მარინე თევზაძეები (დედოფლისწყარო, სოფ. ოზანო), რომან მჭედლიშვილი და ნინო გომარელი (ბორჯომი) და სხვანი.

ნინაკა გელაშვილმა საიუბილეო კონცერტზე მოსულ მაყრებელს კიდევ ერთი სიურპრიზი შესთავაზა: ჩართვა ნიუ-ორკიდან. ნინი ხვედელიანმა, ბატონი ჯემალ ბალაშვილის შვილიშვილმა და გია ბალაშვილის დისშვილმა, რომელიც სასწავლებლად იმყოფებოდა ამერიკაში, პაპას დაბადებიდან 75 და

ბიძას 25 წლის შემოქმედების საიუბილეო თარიღი მიულოცა. მან ანა კალანდაძის ლექსზე შექმნილი სიმღერა – „ქარი გიმღერის ნანასა, ზღაპარს გიამბობს ჭადარი“ – უმღერა. ბატონმა ჯემალმა და გიამ გიტარის თანხლებით თვალცრემლიანებმა აკომპანიმენტი გაუწიეს ნინის და მათთან ერთად მთელი დარბაზი მღეროდა...

2025 წლის „იუმორინას“ საიუბილეო კონცერტი კი სატელევიზიო არხმა „იმედმა“ გადაიღო და მისი ნახვის შესაძლებლობა კვლავაც გვექნება. „დიდი მადლობა დაფასებისთვის და ერთგულებისათვის, იუმორონა გაგრძელდება!“ – ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა ბატონი ჯემალი.



ნანა ჭიჭინაძე

პერტერი

ფრანგი კომპოზიტორი ჟიულ მასნეს საოპერო ხელოვნების მწვერვალია ოპერა „ვერთერი“, რომელიც 1886 წლიდან იდგმება

მსოფლიოს საოპერო სცენებზე.

კლასიკური მუსიკა უკვდავია, ამის დასტური გახლავთ კლასიკური მუსიკის დიდებული ნაწარმოებები ჯუზეპე ვერდის ოპერები: „რიგოლეტო“, „ტრუბადური“, „ტრავიატა“, „ბედის ძალა“, დონ კარლოსი“, „ნაბუქო“, „აიდა“, „ოტელო“ – ვერდის მთელი შემოქმედების უმაღლესი მწვერვალი. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ოპერა სრული ანშლავით იმართება ჩვენს საოპერო თეატრში.

ლიტერატურულ აღმანახ „ხორნაბუჯის“ მკითხველებისათვის ყურადღებას გავამახვილებთ ოპერა „ვერთერზე“, რომლის ოთხივე სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად 2024



ნატალია ქუთათელაძე და მარიამ როინიშვილი

წლის ბოლოს. მთავარ პარტიებს მღეროდნენ:

ვერთერი – ახალგაზრდა პოეტი –) ტაცუია ტაკაჰაში (იაპონია), მიკაილ სპადაჩინო (იტალია, ბელგია);

ალბერტო – შარლოტეს დანიშნული – ზაალ ხელაი;

შარლოტე – ირინა შერაზადიშვილი, თეა დემურიშვილი, ნატალია ქუთათელაძე, ირინა ალექსიძე;

სოფო, შარლოტეს და – მარინა ბერიძე, მარიკა მაჩიტაძე, მარიამ როინიშვილი, ირა იოსებიძე;

ბრწყინვალე დებიუტი შედგა კონსერვატორიის პედაგოგის დოდო დიასამიძის (საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი საუკეთესო პროფესიონალის) აღზრდილი მომღერლების ნატალია ქუთათელაძის და მარიამ როინიშვილის. მათ ფურორი მოახდინეს სპექტაკლის მსვლელობისას; თითოეული არიის შესრულებას ხანგრძლივი აპლოდისმენტი სდევდა თან.

კომენტარი ვთხოვე დოდო დიასამიძეს: „ყველა მეცო-სოპრანო ისურვებდა ნატალია ქუთათელაძის ხმას და არტისტულ მშვენიერ გარეგნობას. ქართველებმა უნდა იამაყონ ნატალიას და უნიჭიერესი სოპრანოს მარიამ როინიშვილის მიერ ნამღერით. ვულოცავ ორივე მათგანს წარმატებით გამოსვლას“.

შეუდარებელი იყო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი, გუნდი და ბავშვთა გუნ-

დი.

დამდგმელი დირიჟორი: ზაზა აზმაიფარაშვილი, ფაბრიციო კასი.

დირიჟორები: ფილიპო კონტი, კახი სოლომონიშვილი.

დამდგმელი რეჟისორი: ჯოზეფ ფრანკოლი.

სცენოგრაფი: მანუელ ფავრე.

კოსტიუმების მხატვარი: ესტერ მარტინე.

მხატვრული განათება: შტეფანო გორერი.

ბავშვთა გუნდის ქორმაისტერები: რუსუდან მექვაბიშვილი, ეთერ ჩილუნაძე.

მხატვარი მოდელიორი: თამარ ჩარგეიშვილი.

სპექტაკლის წამყვანი რეჟისორი: მარინა ბურჭულაძე.

ტოკიოს ახალი ნაციონალური ოპერის პროდუქციის პრემიერა საქართველოში შედგა 2018 წლის 22, 23, 26, 29 და 30 დეკემბერს.

ჟიულ მასნეამ გოეთეს რომანის „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანის“ მიხედვით დადგა. პრემიერა ვენის ოპერაში 1892 წლის 16 თებერვალს შედგა.

პრემიერა საქართველოში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 1904 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა.

უღრმესი მადლობა სამხატვრო ხელმძღვანელს ბადრი მაისურაძეს, რომელმაც ოპერის რეპერტუარში „ვერთერი“ დააბრუნა.



ტაცუია
ტაკაჰაში და
ნატალია
ქუთათელაძე



დიაკვანი მირიან ფალიანი

დაიბადა 1962 წლის 20 ნოემბერს, სვანეთში, დაბა-მესტიაში. ბავშვობიდან გამოირჩეოდა ხატვის და ლექსის წერის ნიჭით.

დაამთავრა ორი უმაღლესი, თეატრალური, სარეჟისორო მიმართულებით, ასევე თბილისის ალექსანდრე პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, სახვითი ხელოვნების მიმართულებით. ასწავლიდა სახვით ხელოვნებას სვანეთში, დაბა მესტიის პირველ და მეორე საშუალო სკოლებში.

მისი ლექსები პერიოდულად იბეჭდებოდა სხვა და სხვა ლიტერატურულ ჟურნალსა თუ გაზეთებში. აქტიურად ეწევა შემოქმედებით საქმიანობას, ხატ-

ავს და წერს. იგი არის საქართველოს მწერალთა და მხატვართა კავშირის წევრი.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი. გამოცემული აქვს ერთი პოეტური კრებული თანავტორობით მეუღლესთან, მსახიობ, პოეტ, ქალბატონ ლალი აბშილავასთან ერთად, სახელწოდებით „მირანლალიანი“.

იგი გახლავთ მღვდელმსახური – თბილისის ანჩისხატის მაცხოვრის ტაძრის დიაკვანი.

მისი ბიოგრაფია შევეცდები შევამოკლო, რადგან უმჯობესია, მხატვრის ფერწერულ ნამუშევრებზე, მის სემანტიკურ ფერწერაზე მივიქციო თქვენი ყურადღება. აქ წარმოდგენილ, ზეთოვან პასტელში შექმნილი ნამუშევრებით, მიხვდებით, თუ როგორ დიდოსტატთან გვაქვს საქმე, თანაც ვისაც ზეთოვან პასტელთან გქონიათ შეხება, დამეთანხმებით, როგორი რთულია მასზე მუშაობა; იგი შეცდომას არ გპატიობს! მხატვრის ნამუშევრებში შეხვდებით სურეალისტურ, აბსტრაქტულ გრადაციებს, კომპოზიციურ გარდასახვებს, ფიგურათა შეგნებულ დაშლასა და განწყობის მოულოდნელ ცვლილებას, ასევე ნატურმორტებსა თუ პორტრეტებს, სადაც ფერთა მეტყველება, ექსპრესია, თავად ამყარებს სინტაქსურ კავშირს, თითქოს ფერები ერთმანეთს ეძებენ, პოულობენ და ერთიანდებიან... სწორედ ეს არის ის მთავარი მახასიათებელი, რაც მის ჩამოყალიბებულ, ორიგინალურ და ინდივიდუალურ მხატვრობაზე მიუთითებს.

პ.ს. იმასაც გაგიმხელთ, რომ მან არ იცის, ამ წერილის შესახებ არც ის, რომ მისი ნამუშევრები იბეჭდება ჟურნალ „ხორნაბუჯში“ და მისგან დაუკითხავად ჩავდივარ ამ „ცუდ“ საქციელს, რადგან არ უყვარს და არც არასოდეს ხიბლავდა მისი შემოქმედების ასე დიდ სარბიელზე, საჯაროდ გამოტანა, სწორედ ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ ჯერ არასოდეს ჰქონია პერსონალური გამოფენა. ეს ის მხატვარია, რომელიც მაგალითია თავმდაბლობის, ფუნჯთან მარტოობის და დიდი სულიერების; ყველა დიდი შემოქმედება ხომ მარტოობაში იბადება.


მის პერსონალურ გამოფენას, ალბათ ძალიან მალე იხილავს მნახველი, რასაც ძალიან დიდი ხანია ველოდებით მთელი ოჯახი. დანარჩენი თქვენთვის მომინდია თვალხილულ მნახველო!




ჯვარცმის სიმბოლე




კოშკების ტაყვა




ირაკლი უარჯიანი



სილურჯა ტბაზე



ნატურმორტი



მოდლინი



ლოქის სივრცე



უთქველი სკვდა